წინასაარჩევნო ციებ-ცხელება და სეპარატისტთა დაპირისპირება A3
სტილი B4-B5
ფოტოკონკურსი B8

www.24hours.ge
24 საათი
ყოველდღიური
© გაზეთი 24 საათი
ორშაბათი, 18 ნოემბერი, 2002 წელი. №169
ფასი 50 თეთრი

# თბილისის გაფერადება ჩიქოვანის ქუჩიდან დაიწყო



*აქცია, რომელსაც ორგანიზატორებმა, პირობითად, "თბილისის გაფერადება" უწოდეს, სიმონ ჩიქოვანის ქუჩიდან დაიწყო. დღეს ამ აქციის რიგით მეთერთმეტე დღეა. მათ კი, ვისაც "თბილისის გაფერადების" შესახებ ჯერ კიდევ არაფერი სმენია, ვეტყვით, რომ დროის გამონახვა და ხილიანზე ასვლა ნამდვილად ღირს. აქ, ამ ადგილას, ათას ხუთასი კვადრატული მეტრი ფართობის კედელზე, 20-25 წლის გოგო-ბიჭები უჩვეულო ფერად ფიგურებს ხატავენ.*

ეთერ მამულაშვილი

აქცია, რომლის ორგანიზატორია სამშენებლო კომპანია "არსი", მიზნად ისახავს თბილისის არქიტექტურული იერსახის შენარჩუნებას. კომპანია ყოფილი ჩიქოვანის ქუჩის ბოლოს, ახალ, ჯერ კიდევ უსახელო უბანში, რამდენიმე საცხოვრებელ კორპუსს აშენებს.

ამ უბანში 300-მეტრიანი კედლის მოხატვის იდეა სამშენებლო კომპანიის ერთ-ერთ წარმომადგენელს, თორნიკე აბულაძეს ეკუთვნის. თორნიკემ, საკუთარი იდეის სისრულეში მოსაყვანად, გია ბუღაძეს სთხოვა დახმარება. მხატვარმაც, თავისი სტუდენტების დახმარებით, "დავალებას" მშვენივრად გაართვა თავი.

გაგრძელება A6 გვერდზე

# რატომ ჩხუბობენ პარლამენტარები

*უფლებამოსილების ვადის მიწურულს, პარლამენტი ძალისმიერი დაპირისპირების არენად გადაიქცა. ყველგან, სადაც ტელეკამერა აღწევს, პლენარულ თუ კომიტეტის სხდომებზე, ერთი და იგივე სანახაობა მეორდება - ხალხის რჩეულები ერთმანეთს ფიზიკურად უსწორდებიან. შემდეგ კი, მომდევნო დღეებში, ურთიერთობის გარკვევა და ჩხუბი დერეფნებში გრძელდება. მოკლედ, ხალხის რჩეულები საკუთარი სტატუსისთვის სრულიად შეუფერებლად და ამომრჩეველი საზოგადოებისთვის მიუღებლად იქცევიან. ბუნებრივად ჩნდება შეკითხვა: რატომ ჩხუბობენ პარლამენტარები?*

ია ანთაძე
*რადიო "თავისუფლება"*
*სპეციალურად "24 საათისთვის"*

ამ შეკითხვაზე ფსიქოლოგებს თავისი პასუხი აქვთ, პოლიტიკის ექსპერტებს კი - სულ სხვა. თუმცა, იმის შესახებ ყველა თანხმდება, რომ პარლამენტარების გაბმული ჩხუბი რაღაც ძალიან არსებითს გამოხატავს, უფრო ზუსტად - ფარულად მიმდინარე პროცესის ხილული და თვალსაჩინო შედეგია. პარლამენტარებისთვის სრულიად შეუფერებელი ქცევა, რაც ხშირი ძალისმიერი დაპირისპირებით ვლინდება, პოლიტიკური პროცესის შინაგან ლოგიკას და დაძაბულობას უკავშირდება.

იქ, სადაც ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკა უნდა იქმნებოდეს; იქ, სადაც საკადრო გადაწყვეტილებები უნდა მიიღებოდეს; იქ, სადაც აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კონტროლი უნდა ხორციელდებოდეს - არაფერი მსგავსი არ ხდება. სამაგიეროდ, პარლამენტარები მუშტებს და წიხლებს სთავაზობენ ერთმანეთს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რაში სჭირდება საქართველოს ბალცეროვიჩის რეკომენდაციები

*დღეს თბილისში ეკონომიკურ საკითხებში პრეზიდენტის პოლონელი მრჩევლის ლეშეკ ბალცეროვიჩის ჯგუფის წევრები ჩამოდიან. წინასწარი ინფორმაციით, უცხოელი ექსპერტები საქართველოს მთავრობას საბაჟო სისტემისა და კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების სრულყოფისკენ მიმართულ რეკომენდაციებს წარუდგენენ. თუმცა, დაზუსტებული ინფორმაცია ამ ჯგუფის ვიზიტის შესახებ ხელისუფლებაში არ არსებობს. უფრო მეტიც, ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი, ზოგადად, ბალცეროვიჩის კონსულტაციების ეფექტურობას მეტად საეჭვოდ მიიჩნევს.*

გვანცა კვინიკაძე

ცნობილი პოლონელი ექსპერტი ლეშეკ ბალცეროვიჩი საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური მრჩევლის მოვალეობას აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაქირავების შემდეგ, 2000 წლიდან ასრულებს. პირველი ერთწლიანი ვადის პერიოდში, მისი ჯგუფის რეკომენდაციები საქართველოს მაკროეკონომიკურ საკითხებს, ამჟამად კი - ფისკალურ და კონტრაბანდის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების გატარებას ეხება. თუმცა, საქართველოს მთავრობასთან, თითქმის, ორწლიანი მუშაობის შედეგებს თავად ხელისუფლების წარმომადგენლები არადამაკმაყოფილებლად აფასებენ. ეკონომიკური რეფორმების საკითხებში პრეზიდენტის მრჩევლის თემურ ბასილიას განცხადებით, ბალცეროვიჩის ჯგუფის საქართველოსთან თანამშრომლობის შედეგები საკმაოდ მოკრძალებულია. **"ბალცეროვიჩის ჯგუფთან თანამშრომლობის წარმატებულობა დამოკიდებულია ქართული მხარის სურვილზე, გაითვალისწინოს მისი რეკომენდაციები. ჯერჯერობით, ამ თანამშრომლობის შედეგები მეტად უმნიშვნელოა,"** – განაცხადა ბასილიამ.

გაგრძელება A4 გვერდზე

# გემი სწორი გზით მიცურავს

*სუათ კინიქლიოღლუ, ანკარის ბილკენტის უნივერსიტეტში რუსეთის კვლევების ცენტრის კოორდინატორია. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.*

შოთა უტიაშვილი



*სუათ კინიქლიოღლუ სტუმრად "24 საათის" რედაქციაში.*

**- რა გავლენას მოახდენს თურქეთის არჩევნების შედეგები ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე და უსაფრთხოებაზე?**

- ეს არჩევნები ისტორიული მნიშვნელობისაა. 11 წლის მანძილზე პირველად გვყავს ერთპარტიული მთავრობა. ეს, თავისთავად, მისასალმებელი ფაქტია.

90-იანი წლები თურქეთისათვის დაკარგული წლები იყო. ჯერ ერთი, ქურთების პრობლემის გამო და მეორე - მუდმივი ეკონომიკური და ფინანსური რყევების გამო. ახალი მთავრობა კი იმედებს გვისახავს.

თურქეთის არჩევნები საერთაშორისო მედიამ სწორად ვერ შეაფასა. "სი-ენ-ენი" და "ბი-ბი-სი" აცხადებდნენ, რომ თურქეთში ხელისუფლებაში კონსერვატორი ისლამისტები მოვიდნენ. რეალურად კი, "სამართლიანობისა და განვითარების" პარტია არის ახალგაზრდა, რეფორმისტულად განწყობილი ხალხის გაერთიანება. მათ იმიტომ კი არ გაიმარჯვეს, რომ ისლამისტები არიან, არამედ - იმიტომ, რომ ისლამიზმზე უარი თქვეს და ცენტრისაკენ გადმოინაცვლეს.

რაც შეეხება საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას, მნიშვნელოვან ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ. ყველამ იცის, რომ თურქეთში მხოლოდ მთავრობა არ განსაზღვრავს ამ პოლიტიკას. პარტიამ განაცხადა, რომ მისი პრიორიტეტია ევროკავშირში ინტეგრირება. ერდოქანი ამჟამად ევროპის ქვეყნების დედაქალაქებში მოგზაურობს.

**- როგორი პერსპექტივა აქვს თურქეთის ევროკავშირში ინტეგრაციას?**- თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთებობში, სხვა საკითხებთან ერთად, ძალზე მნიშვნელოვანი

გაგრძელება A5 გვერდზე

## პოლიტიკა

### ცუდი მაგალითი გადამდებია

ხელისუფლების მიერ მართული ფრაქციების მოთხოვნა, რომ 79 ხმა, ანუ მათი ხმები საკმარისია იმისათვის, რათა რომელიმე დეპუტატს უფლებამოსილება მოუხსნან, ძალიან ჰგავს დემოკრატიის კანცელარიისეულ გაგებას.

A3

## ეკონომიკა

### მირცხულავა გაზს სამშაბათიდან გვპირდება

დღეს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა გაზის საერთაშორისო კომპანიის "იტერას" ხელმძღვანელობასთან დედაქალაქისათვის ბუნებრივი აირის მიწოდების აღდგენასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს განაახლებს. შესაძლოა, მას ამისთვის მოსკოვში გამგზავრებაც დასჭირდეს. სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი იმედოვნებს: მოლაპარაკებებით ქართული მხარე აუცილებლად მიაღწევს იმას, რომ ხვალ "იტერამ" დედაქალაქს გაზის მიწოდება განუახლოს.

A4

## უცხოეთი

### უშველის თუ არა უკრაინას ახალი პრემიერ-მინისტრი?

უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ პრემიერ-მინისტრის - ანატოლი კიხანის ხელმძღვანელობით ქვეყნის მინისტრთა კაბინეტი გადააყენა. პარალელურად, კუჩმამ უკრაინის პარლამენტს – უმაღლეს რადას პრემიერ-მინისტრის პოსტზე დონეცკის ოლქის გუბერნატორის, ვიქტორ იანუკოვიჩის კანდიდატურა შესთავაზა.

A5

## საზოგადოება

### როგორ დავფაროთ ელექტროენერგიაზე ძველი დავალიანება?

1999 წლის იანვრამდე მოსახლეობის მიერ ელექტროენერგიაზე არსებულ დავალიანებაზე, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ (სემეკ), გასული წლის ერთ-ერთი განკარგულებით, დროებითი მორატორიუმი გამოაცხადა. 1999 წლის ოთხი იანვრის შემდეგ წარმოქმნილ ვალებს კი თბილისელები ეტაპობრივად გადაიხდიან.

A6

## სამართალი

### ვის და რატომ ეშინია ხობელი მხედრიონელების გათავისუფლების

რამდენიმე დღეც და ყველა მებრძოლი პატიმრისათვის ნანატრი შეწყალების დღეც მოახლოვდება. ვის გაუღიმებს ბედი და ვის გადახედავს პრეზიდენტი მოწყალე თვალით, წინასწარ არავინ იცის. თუმცა, იმედი ყველას აქვს - განურჩევლად დანაშაულისა.

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 21 |
| ქუთაისი | 25 |
| ბათუმი | 26 |
| სოხუმი | 24 |
| ფოთი | 25 |
| თელავი | 19 |
| ზუგდიდი | 26 |
| გორი | 17 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1900 |
| ევრო | 2.1988 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4569 |
| რუბლი | 0.0688 |

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 რუსეთი
B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 სტილი B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

## მოკლედ

**თბილისი** - ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების გაერო-ს საკოორდინაციო საბჭოს სხდომა, რომელიც დიდი ხანია აღარ ჩატარებულა სოხუმის პრეტენზიების გამო კოდორის ხეობაში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით, შეიძლება, დეკემბერში თბილისში გაიმართოს.

როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა მალხაზ კაკაბაძემ, ჯერჯერობით შეხვედრის ჩატარების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის, მაგრამ ამ საკითხზე კონსულტაციები მიმდინარეობს.

შეხვედრის გამართვის შემთხვევაში მხარეთა დელეგაციებს უხელმძღვანელებენ საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე და სოხუმის მთავრობის პრემიერ-მინისტრი ანრი ჯერგენია, აღნიშნა მან.

მალხაზ კაკაბაძემ განაცხადა, რომ კოდორის ხეობიდან აფხაზებს საფრთხე არ ემუქრებათ. სოხუმი თავის მხრივ ამტკიცებს, რომ კოდორში მყოფი 1000-მდე შეიარაღებული ქართველი მესაზღვრე და გვარდიის რეზერვისტი პლაცდარმს ქმნის აფხაზეთზე შეტევის განსახორციელებლად. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი** - ერთიანი კომუნისტური პარტიის ლიდერი პანტელეიმონ გიორგაძე საქართველოს 5 კაციან დელეგაციას უხელმძღვანელებს აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი სსკრ-ს კომპარტიების და სახალხო-პატრიოტული ძალების ფორუმზე, რომელიც 10-11 დეკემბერს მინსკში გაიმართება.

როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა პანტელეიმონ გიორგაძემ, ერთიანი კომპარტია 28 ათასზე მეტ წევრს ითვლის. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** - თბილისის საკრებულოს ფრაქცია "ლეიბორისტი" ორშაბათს დედაქალაქის არჩევითი ორგანოს სხდომაზე კვლავ დააყენებს თბილისის პრემიერის გიორგი შერაძისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხს.

როგორც ფრაქცია "ლეიბორისტის" ლიდერმა გიორგი გუგავამ პრაიმ-ნიუსს განუცხადა, ალოგიკური იქნება შერაძის თანამდებობაზე დარჩენა, რადგან გასულ კვირას დედაქალაქის მთავრობა გადადგა, ამასთან, თავად თბილისის მერს ივანე ზოდელავას საკრებულომ უნდობლობა გამოუცხადა.

გუგავას ინფორმაციით, დედაქალაქის პრემიერისთვის უნდობლობის გამოცხადებისთვის 49 ადგილიან საკრებულოში სიითი შემადგენლობის 2/3 ხმაა საჭირო. ამასთან, მისი თქმით, იმის გამო, რომ საკრებულოში ამჟამად მხოლოდ 46 დეპუტატის უფლებამოსილებაა ცნობილი, საჭიროა 31 დეპუტატის თანხმობა პრემიერისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხის გადასაწყვეტად. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის ხელისუფლებამ სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანა თავისი შეიარაღებული ძალები. როგორც კავკას-პრესს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტმა ვალერი არშბამ განუცხადა, ეს გამოწვეულია 19 ნოემბერს ფოთში დაგეგმილი თურქეთ-საქართველოს ერთობლივი წვრთნებით.

სამხედრო წვრთნებში "ფარი-2002" მონაწილეობას მიიღებს 2000 სამხედრო მოსამსახურე. სწავლების მიზანია სახმელეთო და საზღაო ქვეყდანაყოფების შეთანხმებული ქმედებების დამუშავება და მათი ბრძოლისუნარიანობის გაზრდა. სწავლებებში მონაწილეობას იღებს ორი ვეტმფრენი მი-8, 11 მცურავი საშუალება, ასევე თურქეთის შეიარაღებული ძალების ფრეგატი "ფატიფი". სწავლების სცენარით გათვალისწინებულია იერიშის, დესანტის როგორც ჰაერიდან, ასევე ზღვიდან გადმოსხმის მანევრების დამუშავება. სწავლებებს ხელმძღვანელობს სამხედრო-საზღვაო ძალების მეთაური გენერალ-მაიორი გიგლა ირემაძე.

არშბამ განაცხადა, რომ ადრე მიღწეული იყო შეთანხმება ყულევის პოლიგონზე ფართომასშტაბიანი წვრთნების ჩატარებისაგან თავის შეკავების შესახებ, ვინაიდან ის შედის შეიარაღების შეზღუდვის ზონაში. "ჩვენს შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ქართველი სამხედროები ამუშავებენ დესანტის გადმოსხმის მეთოდებს, რაც შეიძლება მივიჩნიოთ აფხაზეთში შეჭრის განხორციელებისათვის მოსამზადებელ ეტაპად", - მიიჩნევს აფხაზთა ვიცე-პრეზიდენტი. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** - დედოფლისწყაროს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ბეჟან გონაშვილი კახეთში სატელევიზიო სიგნალების გამაძლიერებელი გადამცემი სადგურების აღდგენა-რეაბილიტაციისათვის 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფას ითხოვს.

როგორც "ინტერ-პრესს" გონაშვილმა განუცხადა, კახეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი ქართულ არხებს ვერ ნახულობს და იძულებულია აზერბაიჯანის სატელევიზიო პროგრამებს უყუროს. "აზერბაიჯანის არხებს რომ ვღებულობთ, თავისთავად კარგია, მაგრამ მაშინ მოსახლეობას იქაური ენაც უნდა ვასწავლოთ, რადგან მეზობელ ქვეყანაში რა ხდება, ის მაინც გაიგოს", - განაცხადა გონაშვილმა.

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს გადამცემი სადგურების აღდგენა-რეაბილიტაციის მიზნობრივი პროგრამა შემუშავებული აქვს, თუმცა მისი დაფინანსება ბიუჯეტიდან ვერ ხერხდება. მთელი საქართველოს მასშტაბით აღნიშნული სამუშაოების ჩასატარებლად 8 მილიონი ლარია საჭირო. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა საკრებულოს ახალ თავმჯდომარეს მიხეილ სააკაშვილს ერთ თვეში კარიერის დასრულებას უწინასწარმეტყველებს; ეს იმ შემთხვევაში, თუ „თბილგაზის" მართვაზე პასუხისმგებლობას სააკაშვილი აიღებს, რისი სურვილიც, როგორც ამბობენ, მას აქვს. როგორც „მედია-ნიუსს" დავით მირცხულავამ განუცხადა, იგი თანახმაა მოიხსნას პასუხისმგებლობა „თბილგაზზე" და კომპანია სამართავად დედაქალაქის საკრებულოს გადასცეს. „მე ეს სააკაშვილს ორი დღის წინათ შევთავაზე, საკრებულოს სხდომაზე", — განაცხადა მირცხულავამ. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** სახალხო ფრონტის თავმჯდომარის ნოდარ ნათაძის აზრით, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება ჰაერივით სჭირდება, თუმცა, „ეს ქვეყნის გადარჩენისთვის ასპროცენტიანი გარანტია ვერ იქნება".

როგორც „მედია-ნიუსს" ნოდარ ნათაძემ უთხრა, ნატო არ ერევა მისი წევრი ქვეყნების ურთიერთობებში, ამდენად, თავდაცვის სფეროში, ნატო-ს გარდა, საქართველოს ისეთი ორმხრივი ხელშეკრულებების დადება სჭირდება, რომლებიც მას ნებისმიერი ქვეყნის სამხედრო აგრესიისაგან დაიცავს.

მისივე თქმით, ნატო-ს წევრი, შესაძლოა, რუსეთიც გახდეს, ამდენად საქართველოს ორ დიდ მეზობელთან, თურქეთთან და რუსეთთან სამხედრო ურთიერთობების მოგვარება დამოუკიდებლად მოუწევს.

ქვეყნის თავდაცვის სისტემაში არსებული მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას ნოდარ ნათაძე ნატო-ში შესვლისათვის პრინციპულ დაბრკოლებად არ მიიჩნევს და აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ნატო-ს წევრი გახდება, ის არსებული პრობლემების გადასაჭრელად ქვეყანას სათანადო დახმარებასაც გაუწევს. ნათაძის აზრით, 21 ნოემბერს ნატო-ს სამიტზე პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე საქართველოს ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების შესახებ განცხადებას იძულებით გააკეთებს, რადგან „ნატო-ში შესვლა მისი პიროვნული ნება არ არის". **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური მოძრაობა „მთის აღორძინების ალიანსი" დამფუძნებელი ყრილობისთვის ემზადება, რომელიც თბილისში წლის ბოლომდე გაიმართება.

ყრილობა მთიელთა მოძრაობას პოლიტიკურ პარტიად გამოაცხადებს და სამოქმედო პროგრამას დაამტკიცებს. როგორც „მედია-ნიუსს" მთის აღორძინების ალიანსის თავმჯდომარეობის კანდიდატმა კობა ბუჩუკურმა უთხრა, მთიელთა მოძრაობის რეგიონული ორგანიზაციების პირველადი ყრილობები მცხეთა-მთიანეთის რეგიონის უმეტეს რაიონში უკვე ჩატარდა.

კობა ბუჩუკურის თქმით, პოლიტიკური მოძრაობის პროგრამაში ყველა ის სოციალური და პოლიტიკური პრობლემაა თავმოყრილი, რაც მთას აწუხებს.

„რაც მეტს ვხმაურობთ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მით მეტად ცდილობენ გააქტიურებას", — აცხადებს ყოფილი სამხარეო რწმუნებული.

მისი თქმით, დამფუძნებელ ყრილობაზე მიწვეულ სტუმართა შორის იქნებიან როგორც ოპოზიციური, ისე სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენლები, რადგან მას მიაჩნია, რომ მთა ყველა პოლიტიკურ პარტიას თანაბრად აინტერესებს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი** საქართველოს შეიარაღებული ძალები ყოველწლიურად კარგავენ მინიმუმ ერთ ოცეულ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც მშვიდობიან დროს სხვადასხვა მიზეზით იღუპებიან, განუცხადა პრაიმ-ნიუსს სახალხო დამცველის თანაშემწემ ნოდარ ეფრემიძემ.

მისი თქმით, თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკა, რომლის მიხედვით 1995-2002 წლებში სამხედროთა სიკვდილის სულ 136 შემთხვევაა დაფიქსირებული, ნამდვილად არ არის სრული.

ნოდარ ეფრემიძემ აღნიშნა, რომ მის მიერ სამხედრო პროკურატურაში მოპოვებული მასალების თანახმად, შეიარაღებულ ძალებში მკვლელობების, თვითმკვლელობების და უბედური შემთხვევების რიცხვი მთლიანობაში 160-ს აღემატება.

მისი თქმით, სახალხო დამცველის აპარატმა, უკვე ერთ წელზე მეტია, მიმართა პარლამენტს რეკომენდაციით შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც დეტალურად შეისწავლის მშვიდობიან დროს თითოეული სამხედრო მოსამსახურის დაღუპვის შემთხვევას, მაგრამ ეს წინადადება დღემდე უპასუხოდ რჩება.

ნოდარ ეფრემიძე არმიაში მკვლელობებისა და თვითმკვლელობების მთავარ მიზეზებად ასახელებს არასაწესდებო ურთიერთობებს და მძიმე ყოფით პირობებს.

ამასთან, იგი ყურადღებას ამახვილებს სამხედრო პროკურატურის მუშაობის არასაკმარის დონეზე, რომლის გამომძიებლებიც ხშირად ხურავენ სიკვდილის შემთხვევების გამოუძიებელ საქმეებს.

სახალხო დამცველის თანაშემწე ასევე თვლის, რომ აუცილებელია არმიაში ფსიქოლოგების მიწვევა სამხედრო მოსამსახურეებთან სამუშაოდ, რაც ასევე ხელს შეუწყობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სიკვდილიანობის საგანგაშო სტატისტიკის შემცირებას. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "მოქალაქეთა კავშირის" ერთ-ერთი ლიდერი, საპარლამენტო ფრაქცია "ალიანსი ახალი საქართველოსთვის" თავმჯდომარე ირაკლი გოგავა მიიჩნევს, რომ თბილისის მერის პოსტი არჩევითი უნდა გახდეს 2005 წლიდან.

როგორც მან პრაიმ-ნიუსს განუცხადა, დღეს სამოქალაქო საზოგადოება არ არის ისე მყარი, რომ თბილისში არჩეული მერი იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში "ეს იქნება სახელმწიფო სახელმწიფოში".

ამასთან, მისი აზრით, მომდევნო 3 წლის განმავლობაში სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის საფუძვლები იმდენად გამყარდება, რომ 2005 წელს შეიძლება მერის არჩევითობის დაკანონება.

ირაკლი გოგავას თქმით, იგი მხარს არ უჭერს გასულ კვირას თბილისის საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას თბილისის მერის ივანე ზოდელავასთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ, ვინაიდან ზოდელავა "მოქალაქეთა კავშირის" წევრია.

საკრებულომ თბილისის მერისთვის უნდობლობის გამოცხადებასთან ერთად, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს მიმართა მისი თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე. თბილისის საკრებულოს არჩევნებში გამარჯვებული ლეიბორისტული პარტია აცხადებს, რომ პრეზიდენტის მიერ დანიშნულ ყველა მერს გამოუცხადებს უნდობლობას, ვიდრე ეს პოსტი არჩევითი არ იქნება. **პრაიმ-ნიუსი**

# რატომ ჩხუბობენ პარლამენტარები

პირველი გვერდიდან



ჩხუბი საპროცედურო კომიტეტის სხდომაზე.

ყველაზე მარტივი ახსნა ისაა, რომ უსაქმოდ დარჩენილი სრულწლოვანი მამაკაცები თავს ირთობენ და ენერგიას ჩხუბში ხარჯავენ. ეს ახსნა, პრინციპში, არ გამოდგება, რადგან, დიდი ხანია, პარლამენტი შრომისუუნარო შეიქნა, ჩხუბი კი "სანქცირებულ" ქმედებად სულ ბოლოხანს ჩამოყალიბდა. მაშ, რა არის ასეთი გაუმართლებელი, უკიდურესი ფორმის აგრესიის მიზეზი?

■ ■ ■

დღევანდელ საქართველოში ერთიანი სახელისუფლო სივრცე დაყოფილია ორ მთავარ ნაწილად: აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებად. სასამართლო ხელისუფლება ჩრდილშია. პარლამენტი უნდა აყალიბებდეს პოლიტიკას, ღებულობდეს ამ პოლიტიკის გასატარებლად საჭირო კანონებს, შემდეგ აღმასრულებელი ხელისუფლება ამ კანონებს უნდა ასრულებდეს, ხოლო პარლამენტი - აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობას აკონტროლებდეს.

რა ხდება ჩვენს რეალობაში?

იმის გამო, რომ საკონსტიტუციო წესრიგი დარღვეულია, ვერც პარლამენტი და ვერც მთავრობა თავის მოვალეობას ვერ ასრულებს. "სახელისუფლო მანქანა" არ მუშაობს - ეს მრავალწლიანი რეალობაა. მაგრამ, ძალიან კონკრეტულად შეიძლება ითქვას, რომ გასულ წლამდე ამ მხრივ სხვა მდგომარეობა იყო, ბოლო ერთი წლის განმავლობაში კი სულ სხვა ვითარებაა.

1995 წლიდან ხელისუფლებაში ერთმნიშვნელოვნად წამყვანი ფიგურა იყო საქართველოს პრეზიდენტი. იგი მეთაურობდა აღმასრულებელ ხელისუფლებას და თავადვე აკონტროლებდა საპარლამენტო უმრავლესობას. ედუარდ შევარდნაძე, როგორც ქვეყნის პირველი პოლიტიკური ფიგურა, იდგა ორ ბურჯზე - საპარლამენტო უმრავლესობასა და სახელმწიფო კანცელარიაზე. პირველის მართვაში მას ზურაბ ჟვანია ეხმარებოდა, მეორის მართვაში - ნუგზარ საჯაია. პრეზიდენტის ირგვლივ პოლიტიკური სივრცე შევსებული იყო ამ ორი საყრდენით და, მართალია, ქვეყანა კონსტიტუციური წესით და რიგით არ იმართებოდა, მაგრამ პრეზიდენტის ინსტიტუტი მყარ საყრდენებზე იდგა. ეს რეალობა, ასე თუ ისე, ინარჩუნებდა სტაბილურობის ილუზიას ხელისუფლებაში და, აქედან გამომდინარე, ქვეყანაში.

პრეზიდენტის ირგვლივ არსებული პოლიტიკური სივრცის საკითხი უაღრესად პრობლემურად მაშინ გადაიქცა, როდესაც ტრაგიკულად გარდაიცვალა ნუგზარ საჯაია. გავიხსენოთ, რომ ამ დროს ედუარდ შევარდნაძეს უკვე აღარ ჰყავდა უმრავლესობა პარლამენტში და ზურაბ ჟვანიაც გადამდგარი იყო.

ის ფაქტი, რომ პრეზიდენტმა საკუთარი ნებით თქვა უარი საპარლამენტო უმრავლესობაზე, ჯერ კიდევ არ ნიშნავდა პრეზიდენტის ირგვლივ არსებული პოლიტიკური სივრცის დაცარიელებას. ვიდრე ნუგზარ საჯაიას კომპეტენცია და ერთგულება პრეზიდენტის მიმართ ეჭვს არ იწვევდა, ედუარდ შევარდნაძე, როგორც ქვეყნის პირველი პირი, პოლიტიკურად მეტ-ნაკლებად დაცული იყო.

მაგრამ პრეზიდენტს ორივე საყრდენი ერთმანეთის მიყოლებით გამოეცალა და არა მხოლოდ შევარდნაძის, არამედ - მთელი ხელისუფლების და ქვეყნის პრობლემად გადაიქცა პრეზიდენტის ირგვლივ არსებულ პოლიტიკურ სივრცეში მოულოდნელად წარმოქმნილი ვაკუუმის შევსება. ვინ შეავსებდა ამ ვაკუუმს? ვინ დაიკავებდა სივრცეს პრეზიდენტის უშუალო გარემოცვაში? ვინ ჩაანაცვლებდა ძველ საყრდენებს? ამ შეკითხვაზე პასუხს ართულებდა ორი ფაქტორი: ერთი მხრივ, ბუნდოვანი იყო მოტივი, რის გამოც შევარდნაძემ ნებაყოფლობით თქვა უარი საპარლამენტო უმრავლესობაზე. მეორე მხრივ, კიდევ მეტად ბუნდოვანი იყო მოტივი, რის გამოც თავი მოიკლა უშიშროების საბჭოს მდივანმა. ადამიანი, რომელიც თავისი ფუნქციით და პიროვნული ავტორიტეტით პრეზიდენტის პოლიტიკური დაცულობის ერთ-ერთ უმთავრეს გარანტად იყო მიჩნეული, თავად აღმოჩნდა დაუცველი.

ამის შემდეგ ბუნებრივად გაჩნდა ეჭვი, რომ ედუარდ შევარდნაძის ირგვლივ გამოთავისუფლებულ სივრცეს – ყველაზე მტკივნეულ და მგრძნობიარე სივრცეს ნებისმიერი ქვეყნის პრეზიდენტისთვის - უსათუოდ შეავსებდა ის, ვისი ძალისხმევითაც პოლიტიკური ვაკუუმი შეიქმნა.

■ ■ ■

როდესაც უშიშროების საბჭოს მდივნად თედო ჯაფარიძე დაინიშნა, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა საქართველოს პრეზიდენტს კვლავინდებურად გარანტირებული აქვს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ ედუარდ შევარდნაძის - ქვეყნის პირველი პირის - ირგვლივ გამოთავისუფლებულ პოლიტიკურ სივრცეს უსათუოდ თედო ჯაფარიძე შეავსებდა. ნამდვილად საკითხავი იყო, შეძლებდა კი იგი, საქართველოდან კარგა ხნის წინ წასული ადამიანი, თავისი წინამორბედის მსგავსად, პრეზიდენტის პოლიტიკური დაცულობის გარანტად ჩამოყალიბებულიყო? ამ კითხვაზე სავარაუდო პასუხიც უარყოფითი იყო და მალე რეალურადაც დადასტურდა, რომ უშიშროების საბჭოს ამჟამინდელი მდივანი ნუგზარ საჯაიას ფუნქციას ვერ ან არ შეასრულებდა.

დღეს საყოველთაოდ ცნობილია, ვინ არის ის ფიგურა, ვისაც ამჟამად ეყრდნობა საქართველოს პრეზიდენტი; ვინ არის სახელმწიფო კანცელარიის და სახელისუფლო პარტიის ლიდერი. ოღონდ, ჯერ კიდევ გაურკვეველია, შევარდნაძის ირგვლივ გაჩენილი ვაკუუმის შევსება მაინცდამაინც ავთანდილ ჯორბენაძეს დაევალა, თუ მან ეს მოვალეობა საკუთარი ინიციატივით იტვირთა.

ნუ ვიტყვით, რომ ედუარდ შევარდნაძე იმდენად გამოცდილი და შორსმჭვრეტელია, იმდენად უკეთ ფლობს პოლიტიკური ჭადრაკის ხელოვნებას თავის ოპონენტებთან შედარებით, რომ პოლიტიკურ საყრდენებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებს; რომ მისთვის სულერთია, ვინ შეავსებს პოლიტიკურ ვაკუუმს პრეზიდენტის უშუალო გარემოცვაში. ნებისმიერი ქვეყნის პრეზიდენტს პოლიტიკური სიბრძნე და გამჭრიახობა პირველ რიგში სწორედ იმისათვის სჭირდება, რომ ეს სივრცე ქვეყნისთვის სასარგებლოდ შეავსოს.

■ ■ ■

მთელი მიმდინარე წელიწადის განმავლობაში პოლიტიკური ლიდერები რწმუნდებოდნენ, რომ პრეზიდენტის ახალი საყრდენი სუსტია. შესაბამისად, ძლიერდებოდა წნეხი ედუარდ შევარდნაძეზე, ღრმავდებოდა დაპირისპირება პარლამენტსა და კანცელარიას შორის, საზოგადოებაში კი მყარდებოდა აზრი, რომ ხელისუფლებაში რადიკალური ცვლილებების დროა. ეს განწყობა მთლიანად აისახა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. თბილისის საკრებულო, რომელიც პროპორციული წესით, ანუ პარტიული სიით აირჩა, პირწმინდად ოპოზიციური აღმოჩნდა. დედაქალაქის მოსახლეობამ უნდობლობა გამოუცხადა ქვეყნის ხელისუფლებას, ხოლო ნდობა გამოუცხადა იმ პოლიტიკურ ლიდერებს, რომლებიც, სხვებთან შედარებით, ყველაზე მწვავედ აკრიტიკებდნენ პრეზიდენტს.

საზოგადოების აშკარა რევოლუციური განწყობის ანალიზი პოლიტიკურ ხმაურსა და ამაოებაში ჩაიკარგა.

სამაგიეროდ, საზოგადოების განწყობამ მკვეთრად იჩინა თავი სახელისუფლო სივრცეში. რა იცის რიგითმა მოქალაქემ თავისი ქვეყნის ხელისუფლების შესახებ?

პირველ რიგში ის, რომ პრეზიდენტის უშუალო გარემოცვა სუსტია, ესე იგი, თავად პრეზიდენტიც სუსტდება. მეორე რიგში ის, რომ სახელმწიფო კანცელარია და მთავრობა პოლიტიკურად უპირისპირდება პარლამენტს, რაც გამოწვეულია თავისი უშუალო ფუნქციების ვერშესრულებით. მესამე რიგში ის, რომ პარლამენტი უუნაროა, მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება. გამოდის, რომ ჩვენი ქვეყნის ჩვეულებრივი მოქალაქისათვის ხელისუფლება მთლიანად ჩიხშია მოქცეული: პარლამენტი ვერ იღებს კანონებს, მთავრობა მიღებულ კანონებსაც ვერ ასრულებს, პრეზიდენტი კი ვერც კონსტიტუციური წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს და ვეღარც ერთპიროვნულად აკონტროლებს სახელისუფლო სივრცეს.

რაგინდ უცნაურად გვეჩვენებოდეს, კანონისა და მოქალაქის ურთიერთობა ქვეყნის სტაბილურობის მთავარი საფუძველიცაა და დესტაბილიზაციის მთავარი საფრთხეც. ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი ბრძენი პერსონაჟი, გრაფი სეგედი ამგვარად განმარტავს მოქალაქისა და კანონის ურთიერთმიმართებას არადემოკრატიულ გარემოში: "კანონი ძალადობს ადამიანზე და წინააღმდეგობას აწყდება. კანონი ფიზიკურად ძლიერი, მაგრამ მოუქნელია; ადამიანი გაცილებით უძლური, მაგრამ მოქნილია და მის ხელთ ყოველთვის არის კანონის გვერდის ავლის, მისი ნაწილობრივი აღსრულების თუ საერთოდ შეუსრულებლობის საშუალებები და ხერხები. კანონი იბრძვის, რომ ადამიანმა თავისი ინტერესები იმპერიის ინტერესებით შემოფარგლოს. ადამიანი ცდილობს, კანონები პირად ინტერესებში გამოიყენოს და, უპირველეს ყოვლისა - მათი გვერდის ავლის გზით. ბრძოლა უთანასწოროა და სუსტი მხარე, ანუ ადამიანი, იძულებულია, ზნეობრივ კომპრომისებზე წავიდეს, გამოიყენოს ყველა საშუალება, რაც კი კანონის მოგერიებაში, არსებობის შენარჩუნებაში დაეხმარება. ამგვარად, იმპერიის პირობებში კანონისა და ადამიანის ურთიერთზემოქმედება იძლევა, ერთი მხრივ, გამწარებულ, მოძულე მოქალაქეს, რომელიც მხოლოდ რევოლუციაში ხედავს ხსნას და ხდება კიდეც მისი მებრძოლი და, მეორე მხრივ, დაუძლურებულ, ფორმალობამდე დაყვანილ სამართლებრივ პროცედურას".

ეს ციტატა კარგად ხსნის დღევანდელი ჩიხური მდგომარეობის არსს. მოსახლეობა ითხოვს რადიკალურ გარდაქმნებს და იმის გამო, რომ ხელისუფლების არც ერთ შტოში გარდაქმნები არ ხორციელდება, საზოგადოება სულ მეტად და მეტად იმუხტება რევოლუციური განწყობით. ეს განწყობა თვალნათლივ დაადასტურა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა. ხელისუფლება, ერთი მხრივ, გრძნობს საზოგადოების სულისკვეთებას, მეორე მხრივ კი, კარგად ხედავს საკუთარ უუნარობას, შეასრულოს საზოგადოების დაკვეთა. ამის გამო, ხელისუფლების როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო სივრცე გაჯერებულია შიშით საკუთარი მომავლის გამო.

■ ■ ■

არსებულ ვითარებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჩვენი ხელისუფლებისთვის დამახასიათებელი ერთი მავნე სენი.

დემოკრატიული ქვეყნის ხელისუფალი – პრეზიდენტიდან დაწყებული, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და, ხშირად, სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებით დასრულებული – ყოველთვის წინასწარ იცის, რომ იგი თავის თანამდებობას დროებით იკავებს და გარკვეული პერიოდის შემდეგ უსათუოდ მოუხდება მისი დატოვება.

ის, რაც ყველაზე მეტად აშინებს ქართველ ხელისუფალს – პრეზიდენტიდან დაწყებული, ნებისმიერი საშუალო რანგის მოხელით დასრულებული – თანამდებობის დაკარგვაა. ედუარდ შევარდნაძის ოცდაათწლიანი მმართველობა საქართველოს ხელისუფლების მთავარი პარადიგმაა – ყველა დანარჩენსაც, პრეზიდენტის მსგავსად, სამარადჟამო ძალაუფლება წყურია.

ყოფილა შემთხვევა, საქართველოს ხელისუფლებაში მინისტრად ან სახელმწიფო კანცელარიის მაღალი თანამდებობის პირად დაუნიშნავთ ადამიანი, რომელსაც არც ნომენკლატურული წარსული აქვს, არც კორუფციული იმიჯი და საზოგადოებრივი ავტორიტეტითაც სარგებლობს, ინტელექტიდან და ადამიანური ბუნებიდან გამომდინარე. შედეგად კი ყოველთვის ის მიგვიღია, რომ თანამდებობას კი არ შეუძენია ადამიანური სახე, არამედ ადამიანი გადაქცეულა თანამდებობის პირად და თავისი პირვანდელი სახე დაუკარგავს. ეს სამწუხარო მოვლენა იწვევს არა მხოლოდ ხელისუფლების გაუცხოებას საზოგადოების მიმართ, არამედ – ხელისუფლების წევრების გაუცხოებას თავისი ადამიანური არსის მიმართაც. როგორც კი საზოგადოებრივი ფუნქცია – თანამდებობა – ტოტალურად ნთქავს პიროვნებას, თავის გადასარჩენად იგი იძულებული ხდება, სამკვდრო-სასიცოცხლოდ ჩაეჭიდოს ახალ როლს, ახალ დანიშნულებას, დავუშვათ, ამგვარს – მუდმივად იყოს პრეზიდენტის გუნდის წევრი.

თანამდებობის პირის მიერ ადამიანური სახის დათმობა და ფუნქციად გადაქცევა იწვევს სკამებზე ჩაბღაუჭებას და მისგან გამომდინარე მავნე შედეგებს, როგორც საზოგადოებისთვის, ისე ხელისუფლებისთვის.

იმის გამო, რომ პარლამენტი, ღია, გაშლილი სივრცეა, შიშის სინდრომმა ყველაზე ადრე სწორედ პარლამენტში იჩინა თავი. ის, რაც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ხდება: კანონების მიღების ნაცვლად გაუთავებელი ხელჩართული ბრძოლა – სწორედ ხელისუფლებაში გამეფებული შიშის სინდრომის გამოვლენაა. როდესაც ინტელექტუალური რესურსი ამოწურულია, საქმეში გაუვარჯიშებელი ნერვული სისტემა და [illegible]

საყურადღებოა, რომ მოვაზრებით შიშის სინდრომი თავს იჩენს ისეთ ჩაკეტილ სივრცეში, როგორიც სახელმწიფო კანცელარიაა. და, ცხადია, ეს მოვლენა ყველაზე მწვავედ თავს დაატყდება პრეზიდენტს. ის, რაც პარლამენტში ხდება, პროცესის მხოლოდ დასაწყისია. გოგი გვახარიამ ამ პროცესს "პატრიარქალური ეპოქის დაისი" უწოდა.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# ცუდი მაგალითი გადამდებია

ეკა კვესიტაძე



შერისხულნი.

გასული საპარლამენტო კვირა ჟვანიას გუნდის სამი წევრის, ელდარ შენგელაიას, გია ბარამიძისა და ელენე თევდორაძის პარლამენტიდან გაძევების საკითხს დაეთმო. დეპუტატებს ბრალად ედებათ საკრებულოს პირველ სხდომაზე თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობის მიღება. ამ ბრალდების დამამძიმებელი გარემოება კი ის არის, რომ საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე მათ მხარი სააკაშვილს დაუჭირეს. იგივე ბრალი, ოღონდ დამამძიმებელი გარემოებების გარეშე, გიორგი თარგამაძეს და გოგი თოფაძესაც წაუყენეს.

საკრებულოს მუშაობის დაწყების დღიდან ეს თემა პარლამენტში ყველაზე აქტუალურია, მაგრამ კითხვაზე, დაარღვიეს თუ არა დეპუტატებმა კანონი, ცალსახა პასუხი არ არსებობს. ერთადერთი, რაზეც ყველა მხარე თანხმდება, განსაკუთრებით კი - დამოუკიდებელი ექსპერტები, არის ის, რომ ამ გაუგებრობების თავი და თავი გახდა კანონმდებლობის სისუსტე; კერძოდ, თავის დროზე, კანონმა უფლება მისცა ერთი არჩევითი ორგანოს დეპუტატს მეორე არჩევითი ორგანოს დეპუტატად იყაროს კენჭი.

მნიშვნელოვანია ერთი დეტალი - ცვლილება, რომელიც პარლამენტის დეპუტატს უფლებას აძლევს, საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს, კანონში სწორედ მაშინ შევიდა, როცა ამის საჭიროება ვახტანგ რჩეულიშვილისთვის დადგა, როცა ახალანდელ ვიცე-სპიკერს პირველი ადგილობრივი არჩევნების დროს საკრებულოს წევრობაც მოუნდა.

ის, რომ კანონის დაცვა უპირველესი მოვალეობაა, ჩვენს "დემოკრატიულ" სახელმწიფოში ყველამ დაივიწყა. დემოკრატიის ეს უმთავრესი მოთხოვნა კი, პირველ რიგში, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში მიივიწყეს. თუ ლაპარაკია კონსტიტუციის და კანონის იმ მოთხოვნაზე, როცა დეპუტატს სხვა სამსახურის შეთავსების უფლება არ აქვს, ეს ნორმა, დიდი ხანია, ბევრი დეპუტატის მიერ ირღვევა, მაგრამ აქამდე საკანონმდებლო ორგანოს წევრები ამ კანონდარღვევას ყოველთვის ზედმეტად ლოიალურად ეკიდებოდნენ.

ამ ფონზე ჟვანიას გუნდის წევრებისათვის უფლებამოსილების ჩამორთმევისთვის ბრძოლა აშკარად ატარებს ორმაგი სტანდარტისა და პოლიტიკური ბრძოლის ხასიათს. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს ის ტენდენციაც, რომელიც ბოლო დროს აშკარად თვალშისაცემი და დომინანტური გახდა ქართულ პოლიტიკაში.

ხელისუფლების მიერ მართული ფრაქციების მოთხოვნა, რომ 79 ხმა, ანუ მათი ხმები საკმარისია იმისათვის, რათა რომელიმე დეპუტატს უფლებამოსილება მოუხსნან, ძალიან ჰგავს დემოკრატიის კანცელარიისეულ გაგებას.

შევარდნაძე, ადრე, თავისი ცნობილი დაბალანსების პოლიტიკის წყალობით, როგორღაც ახერხებდა, რომ რადიკალური ოპოზიციის არსებობა არ დაეშვა და ოპოზიციურ ჯგუფებს მისი პოლიტიკური გავლენის სიახლოვეს ამყოფებდა. მაგრამ პრეზიდენტი, ბოლო დროს, უჩვეულოდ ხისტი და მოუქნელი გახდა.

შესაძლოა, შევარდნაძის სტილის შეცვალა ჯორბენაძის დამსახურებაა. სახელმწიფო მინისტრი გაცილებით უფრო ამბიციური აღმოჩნდა - მას კარტ-ბლანშიც მიღებული აქვს და, გარდა ამისა, მისი წინამორბედებისაგან განსხვავებით, გაცილებით მეტად უწევს ზრუნვა პოსტ-შევარდნაძისტულ ეპოქაში ოჯახისთვის გარანტიების შექმნაზე.

ჯორბენაძე დღეს ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ შევარდნაძესთან ახლოს არავინ მიუშვას; განსაკუთრებით - პრეზიდენტის მიერ ოპოზიციად არაღიარებული ჟვანია და გამყრელიძე, რადგან სწორედ მათში ხედავს სახელმწიფო მინისტრი ყველაზე საშიშ მეტოქეებს.

სავარაუდოა, რომ სწორედ ამან განაპირობა ის სრულებით ალოგიკური და აუხსნელი ნაბიჯი, როცა შევარდნაძემ საკმაოდ პოპულარულ "ახლებთან" თანამშრომლობას, ერთპროცენტიანი რეიტინგის მქონე, სრულიად უპერსპექტივო "მოქალაქეთა კავშირის" აღდგენა ამჯობინა.

ჯორბენაძე დღეს ყველაფრის უფროსია - მთავრობის, პარტიის და გამოსაზამთრებელი კომისიისაც კი. პოზიციების საბოლოოდ გასამყარებლად მას უკვე პარლამენტის უფროსობაც სჭირდება.

მას შემდეგ, რაც "დემარშისტებმა" მუქარა ვერ აუსრულეს და მისი იმპიჩმენტის მოთხოვნაც წარსულს ჩაბარდა, როგორც ჩანს, სახელმწიფო მინისტრს სერიოზული ილუზიები გაუჩნდა და პარლამენტის სრული დამორჩილებისთვის იბრძვის. ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს ჟვანიას ფრაქციის წინააღმდეგ ბრძოლაც და მისი დასუსტების მცდელობა, ისევე, როგორც ახლების წინააღმდეგ მიტანილი იერიში, როცა სადაზღვევო ბაზარზე "ალდაგის" მრავალწლიანი მონოპოლისტობა ხელისუფლებას მხოლოდ ახლა გაახსენდა.

ყოველივე ამას კიდევ შეიძლებოდა, ხელისუფლებისთვის ბრძოლა დარქმეოდა, რომ არა შკარად გამოკვეთილი სავალალო პერსპექტივა: არჩევნების, პარლამენტერიზმისა და პოლიტიკური პლურალიზმის დისკრედიტებით, საქართველო თანდათან კარგავს დემოკრატიულ ღირებულებებს და უკან, ავტორიტარიზმისკენ მიექანება. ეს პროცესი მითუმეტეს საგანგაშოა, ვინაიდან იგივე ტენდენციები, მეტ-ნაკლები სიმძაფრით, შეინიშნება თითქმის მთელ პოსტსაბჭოურ სამყაროში. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ცუდი მაგალითი მართლაც გადამდებია.

# წინასაარჩევნო ციებ-ცხელება და სეპარატისტთა დაპირისპირება

## ალექსეი ვაშჩენკო ანრი ჯერგენიას აფხაზეთის გაყიდვაში ამხელს

რუსუდან ნიკურაძე
*საკ. კორ. მოსკოვში*

სოხუმის პრესაში ადგილობრივი ხელისუფლების კრიტიკისათვის, რუსეთის პარლამენტში კავკასიის, ახლო და შორი აღმოსავლეთის საქმეთა სამუშაო ჯგუფის მდივანი ალექსეი ვაშჩენკო ანრი ჯერგენიასა და მისი მოსკოველი თანამოაზრეების "შავ სიაში" მოხვდა.

**"ჩემს პუბლიკაციებში ჯერგენიას ხელისუფლებას ბრალად ვდებ კრიმინალთან შეზრდასა და ისედაც გაჩანაგებული რესპუბლიკის საბოლოოდ განიავებას,"** -განუცხადა "24 საათს" ალექსეი ვაშჩენკომ.

რუსეთის სათათბიროს კავკასიის საქმეთა სამუშაო ჯგუფის მდივნის თქმით, **"დღეს არძინბა-ჯერგენიას რეჟიმს საკმაოდ ძლიერი ოპოზიცია ჰყავს, რომელიც ხელისუფლებას ბრალად სდებს რიწის უნიკალური ნაკრძალის გაკაფვას, სასაფლაოების გაძარცვას, საფლავების ქვების მოპარვასა და გაყიდვას, არქიტექტურის ძეგლების განადგურებას, საზღვაო მონაკვეთების თურქებზე მიყიდვას, ადამიანთა გატაცებასა და მკვლელობებს. ამ ყველაფერს ადგილი აქვს დღეს აფხაზეთის სინამდვილეში და ჯერგენიას მთავრობას არ აწყობს, როცა მათ ბნელ საქმეებზე ვინმე ხმამაღლა ლაპარაკობს,"** - ამბობს ვაშჩენკო.

მისი თქმით, ჯერგენიას დამცველი **"ქალბატონი კურ-ოგლი მოსკოვში აფხაზეთის წარმომადგენლობაში ხანგრძლივად მუშაობის წყალობით, აფხაზეთში მმართველი რეჟიმის ინტერესების გამტარებლად იქცა, იმის მიუხედავად, რომ თვითონაც მშვენივრად იცის, თუ რა განუკითხაობა სუფევს დღეს აფხაზეთში."**

ჯერგენიას თანამზრახველებს არაფრის გაბათილება არ შეუძლიათ. როგორც ვაშჩენკო ამტკიცებს, **"დღეს აფხაზეთში ნგრევისა და ძარცვის პროცესი მიმდინარეობს. ამის შესახებ სოხუმის ხელისუფლების ოპოზიცია 1993 წლიდან აკეთებს სერიოზულ განცხადებებს, რის გამოც ისინი ჯერგენიასა და მისი თანამოაზრეების მიერ იდევნებიან."**

**"დაპირისპირება უფრო გამწვავდა, როცა მე აფხაზეთის ტელევიზიაში გავუშვი მოსკოვის რესტორან "პიოტრ ველიკიში" ქართველი და აფხაზი ბიზნესმენების კურიოზული შეხვედრის ამსახველი კადრები. ამ შეხვედრის მთავარი მიზანი ბიზნესმენების მხრიდან რესპუბლიკის ინტერესების გაყიდვა იყო და მეტი არაფერი. არძინბა-ჯერგენიას რეჟიმს, საბოლოოდ, კოდორის მოლვნების დროს განვუდექით. ასე აღმოვჩნდით ხელისუფლებასთან შეურიგებელ ოპოზიციაში მე და ჩემი მეგობრები: ალექსანდრე ანქვაბი, ლეონიდ ლაკერბაია, ოლეგ დამენია, იზიდა ჭანია..."** - ამბობს ვაშჩენკო.

კავკასიის საქმეთა სამუშაო ჯგუფის მდივანი ყურადღებას ამახვილებს, რომ ჯერგენია დღესაც მოსკოვში იმყოფება და რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებების გამართვას ცდილობს. ვაშჩენკო არ იზიარებს მოსკოვის ოფიციალური წარმომადგენლების პოზიციას ჯერგენიასთან მიმართებაში. **"დღეს ანრი ჯერგენიას მთავრობას აფხაზეთის მოსახლეობის მცირე ნაწილი ემხრობა. სინამდვილეში, უმრავლესობა ოპოზიციის მხარეზეა, ხოლო აფხაზეთის ოპოზიციას კი, რეალურად, მხარს უჭერენ არა მარტო აფხაზეთის საღად მოაზროვნე ძალები, არამედ მოსკოვიც,"** - ამტკიცებს ვაშჩენკო. მისი თქმით, **"ზელა კურ-ოგლი არ არის ავტორიტეტული მოსკოველი აფხაზი. მე მას საკმაოდ კარგად ვიცნობ, ამიტომ შემიძლია მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ რუსეთის აფხაზური დიასპორა ამ ქალბატონის შეხედულებებს არ იზიარებს, რადგანაც კურ-ოგლი მუდამ ოფიციალური სოხუმის მიერ შეკვეთილ მოსაზრებებს ახმოვანებს".**

აფხაზეთის ოპოზიციის მოსკოველი წარმომადგენელი ალექსეი ვაშჩენკო დარწმუნებულია, რომ ოპოზიციისადმი ჯერგენიას რეჟიმის ასეთი გამოხდომები აფხაზეთში მოახლოებული წინასაარჩევნო ციებ-ცხელებით აიხსნება, რაც ამ თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში სიტუაციას კიდევ უფრო გაამწვავებს.

# „სოციალისტებს" საკასაციო ვადა ჭერაც არ გამოუყენებიათ

*საოლქო სასამართლომ "სოციალისტებს" სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი კი უთხრა, მაგრამ საკრებულოს არჩევნების ხელახალი ოქმის მოქმედება საკასაციო ვადის გასვლამდე მაინც შეაჩერა.*

თამარ მჭედლიშვილი



*გაატარებს თუ არა რეგისტრაციაში იუსტიციის სამინისტრო საკრებულოს გადაწყვეტილებებს?*

ასეთ ვითარებაში ცალსახად საკმაოდ ძნელია იმის თქმა, ახალი მოწვევის საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტები თუ გადაწყვეტილებები რამდენად კანონიერია და იუსტიციის სამინისტრომ იგი რეგისტრაციაში უნდა გაატაროს თუ არა.

სოციალისტების ლიდერი ვახტანგ რჩეულიშვილი ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ აცხადებდა, რომ **"ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საარჩევნო უბნების შემაჯამებელი ოქმი გადათვლის შედეგად არ შეუდგენია, აქედან გამომდინარე, არ არსებობს საფუძველი შემაჯამებელ ოქმში მოყვანილი ციფრებისა. ისინი ყალბი და ფალსიფიცირებულია."**

შეგახსენებთ, რომ მაშინვე "24 საათი" განმარტებისთვის დაუკავშირდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს გია ზესაშვილს, რომელმაც განაცხადა, რომ "სოციალისტების" ინფორმაცია სიმართლეს ნაწილობრივ შეესაბამება, რადგან **"სასამართლომ, გადაწყვეტილების მიღებამდე არა თბილისის საკრებულოს საქმიანობა, არამედ ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმის მოქმედება შეაჩერა."**

ამის მიუხედავად, გია ზესაშვილმა განაცხადა, რომ **"სასამართლოს ვერდიქტამდე თბილისის საკრებულოს შეკრების საფუძველი აღარა აქვს. და თუკი შეიკრიბება და რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებს, ამ განკარგულებას თუ დადგენილებას რეგისტრაციაში არ გაატარებენ."**

როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ (სწორედ ამ სამინისტრომ უნდა გაატაროს რეგისტრაციაში საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილებები და ამით მათი კანონიერება სცნოს), მათ არ უნახავთ სასამართლოს გადაწყვეტილება და მხოლოდ ამ პროცესის დეტალები თუ იციან.

იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ზურაბ ეზუგბაიამ "24 საათს" განუცხადა, რომ მას არა აქვს ნანახი საოლქო სასამართლოს გადაწყეტილება. **"ყურმოკვრით ვიცი, რომ მიმდინარეობდა ამაზე საუბარი. სანახავია თვითონ სასამართლოს გადაწყვეტილებები. საოქმო ჩანაწერებს, იურიდიულ ლოგიკას და მათ ერთ კომპლექსში განხილვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ცალ-ცალკე რამდენი იურისტიც არსებობს, შესაძლოა, ყველას თავისი პოზიცია ჰქონდეს.**

**მეორე მხრივ, თუკი საკრებულო არალეგიტიმურია, მაშინ მერიას არ ჰქონდა უფლება მუნიციპალური, გნებავთ სახელმწიფო ქონების ფართის გამოყოფისა არალეგიტიმური ორგანოსათვის. როგორ გგონიათ, მერიაში ამაზე არ უფიქრიათ? თუ სასამართლო ვერდიქტი სწორედ ისეთია, როგორსაც თქვენ ბრძანებთ, მაშინ მერიას ეს ჯგუფი, ანუ საკრებულოს ახალი შემადგენლობა, არ უნდა შეეშვა სახელმწიფო შენობაში. ასე რომ, დამეთანხმეთ, აბსურდია ამაზე საუბარი,"** - განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

ფრაქცია "სოციალისტის" ლიდერი ირაკლი მინდელი კი ამაში "აბსურდულს" ვერაფერს ხედავს, რადგან დარწმუნებულია, რომ **"ახალი მოწვევის საკრებულო უკანონოდ შეიკრიბა."** თუმცა, მასაც არ აქვს პასუხი კითხვაზე – უნდა გაატაროს თუ არა იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილებები თუ ნორმატიული აქტები. და კიდევ: "სოციალისტები" ჯერაც ფიქრობენ, შეიტანონ თუ არა სარჩელი უზენაეს სასამართლოში.

რაც შეეხება სარჩელს, "24 საათის" ინფორმაციით, იგი უახლოეს დღეებში უზენაეს სასამართლოში აუცილებლად შევა. ოღონდ ვისი ავტორობით, ეს ჯერ კიდევ უცნობია.

ამაში დარწმუნებულები არიან თავად "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები, თუმცა, ისინი ეჭვობენ, რომ ამ სარჩელის ავტორები "სოციალისტები" იქნებიან. **"შესაძლოა, ეს ფუნქცია "ახალმა მოქკავშირმაც" იტვირთოს,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას მიხეილ სააკაშვილმა.




# რაში სჭირდება საქართველოს ბალცეროვიჩის რეკომენდაციები

## პოლონელი ეკონომისტის რჩევები საქართველოსთვის უშედეგოა

პირველი გვერდიდან

კიდევ უფრო კრიტიკულად არის განწყობილი პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე. მისი შეფასებით, ბალცეროვიჩის ჯგუფის მუშაობის შესახებ მეტად მწირი ინფორმაცია არსებობს, მაგრამ ეს მაინც საკმარისია იმის დასადგენად, რომ ამ ჯგუფის მუშაობას საქართველოსთვის პრაქტიკულად არანაირი შედეგი არ მოუტანია. ამის უმთავრეს მიზეზად, გოცირიძე საქართველოს მთავრობის მიდგომას ასახელებს. **"მთავრობას ბალცეროვიჩი მხოლოდ შირმად სჭირდება, რომელითაც თავის უმოქმედობას დაფარავს",** -- აცხადებს გოცირიძე. მისი აზრით, პრეზიდენტის სპეციალურ მრჩევლად ბალცეროვიჩის დაქირავება, USAID-ის მიერ საქართველოში განხორციელებული საკონსულტაციო პროექტებიდან ყველაზე დაბალეფექტურია, რისი მიზეზიც მხოლოდ და მხოლოდ ქართული მხარეა, რომელსაც არ სურს მიიღოს და შეასრულოს ბალცეროვიჩის ჯგუფის რეკომენდაციები.

მიუხედავად იმისა, რომ რეკომენდაციები საბაჟოსა და კონტრაბანდის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს შეეხება, ბალცეროვიჩის ჯგუფის მომავალი ვიზიტის შესახებ ნაკლებინფორმირებულია ფინანსთა სამინისტროც. მინისტრის მოადგილის ლევან ჩრდილელის განცხადებით, ამის მიზეზი ის არის, რომ ჯგუფი, ცალკეული სამინისტროების ნაცვლად, მთლიანად მთავრობასთან მუშაობს. ჩრდილელი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ საქართველოს ხელისუფლება ბალცეროვიჩის რეკომენდაციებს არ იზიარებს და მაგალითად ფინანსთა სამინისტროს მიერ პარლამენტში წარდგენილი საგადასახადო კოდექსის ცვლილებები მოჰყავს, რომლებსაც, მისი თქმით, პოლონელი ეკონომისტის ჯგუფი გაცნობილია. საერთოდ, ფინანსთა მინისტრის მოადგილე მიიჩნევს, რომ ლეშეკ ბალცეროვიჩთან თანამშრომლობა საქართველოსთვის მომგებიანია, მით უმეტეს, რომ ამ მაღალკვალიფიციური ექსპერტის მომსახურების საფასური ქვეყნის ბიუჯეტს არ აწვება ტვირთად.

დღეს დაწყებული ვიზიტის ფარგლებში, ბალცეროვიჩის ჯგუფი შეხვედრებს ფინანსთა სამინისტროში, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში, საბაჟოსა და სახელმწიფო კანცელარიაშიც გამართავს. უახლოეს მომავალში საქართველოში თავად ლეშეკ ბალცეროვიჩის ჩამოსვლას კი, მისი ჯგუფის მუშაობის დაბალეფექტურობის გათვალისწინებით, ქართველი ექსპერტები ნაკლებსავარაუდოდ მიიჩნევენ.

## მოკლედ

**ბაქო.** რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის მიერ დაფინანსებული, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ინსტიტუციონალური განვითარების ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელობამ ბაქოს გაზგამანაწილებელი ქსელის პრივატიზაციის სფეროში კონსულტანტად დაამტკიცა კომპანია Deloitte&Touche.

როგორც მსოფლიო ბანკის ბაქოს წარმომადგენლობაში განაცხადეს, 2002 წლის ბოლომდე დასრულდება შესაბამისი კონტრაქტების დადების პროცედურა კონსულტანტებთან და მათ მიერ მთავრობის დავალებების შესრულების გრაფიკის დამტკიცება.

ადრე ანალოგიური პროექტების - ბაქოს წყლგამანაწილებელი ქსელის და სამრეწველო საწარმოების პრივატიზაციის სტრატეგიის შემუშავება - ფინანსურ კონსულტანტებად განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკმა შეარჩია ამერიკული კომპანია Consulting Group და საერთაშორისო აუდიტორული ჯგუფი Ernst&Young. აზერბაიჯანის ინსტიტუციონალური განვითარების ხელშეწყობის ტექნიკური პროექტი შეფასებულია 18 მილიონ დოლარად. საკრედიტო შეთანხმება რესპუბლიკის მთავრობასა და მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელობას შორის დაიდო ჯერ კიდევ 1996 წელს. ***კავკას-პრესი.***

■ ■ ■

**თბილისი.** საგზაო დეპარტამენტი მსოფლიო ბანკის კრედიტს ვერ აბრუნებს. მიზეზი — დეპარტამენტის თანხებით ცენტრალური ბიუჯეტი ივსება. აღნიშნულის თაობაზე დეპარტამენტის თავმჯდომარემ, ბორის სარალიძემ, სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს აუწყა და დახმარება სთხოვა.

როგორც მოგვიანებით სარალიძემ „მედია-ნიუსს" განუმარტა, საუბარია 1996 წელს მსოფლიო ბანკის მიერ გზების რეაბილიტაციისათვის გამოყოფილ 7.100.000 აშშ დოლარის ოდენობის კრედიტზე, რომლის დაბრუნება, სარალიძის თქმით, დეპარტამენტს გასულ წელს უნდა დაეწყო. **„კრედიტს ვერ ვფარავთ, რადგან საბაჟო დეპარტამენტმა ჩვენი კუთვნილი 3.5 მლნ ლარი ჩუმად გადაქაჩა ცენტრალურ ბიუჯეტში",** — აცხადებს სარალიძე. ***მედია-ნიუსი.***

■ ■ ■

**ერევანი.** 2003 წლის პირველი იანვრიდან სომხეთი რუსეთს ელექტროენერგიას მიჰყიდის. ამის შესახებ განცხადება სომხეთის ენერგეტიკის მინისტრმა არმენ მოვსესიანმა გააკეთა. მისი თქმით, მიწოდებას განახორციელებს "არმენენერგო", მყიდველი კი რუსული РАО ЕЭС იქნება.

მინისტრმა აღნიშნა, რომ შესაბამისი ოპერაციის განსახორციელებლად დოკუმენტი მზადაა და ის უახლოეს მომავალში ხელმოწერილი იქნება. გარიგების საერთო ღირებულბა 77,5 მილიონი დოლარია, საიდანაც 39,5 მილიონი დოლარი სომხური ატომური ელექტროსადგურისათვის ბირთვული საწვავის ყიდვისათვის არსებული დავალიანების დაფარვას მოხმარდება.საწვავის ახალი პარტიის შესაძენად გამოყოფილი იქნება 7,5 მილიონი დოლარი. ***კავკას-პრესი.***

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 12 – 18 ნოემბრის მდგომარეობით




**მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები**

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6337 | 0.6382 | 0.0053 |
| US$ | 1.5781 | | 1.007 | 0.0083 |
| €uro | 1.5672 | 0.9931 | | 0.0083 |
| ¥en | 189.96 | 120.37 | 121.2 | |

### 2002 წლის 18 ნოემბრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1988 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.4569 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.5005 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1900 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3586 ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1815 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0688 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4475 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.2365 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.1085 ლარი |

### საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება

საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტი გაცნობებთ, რომ თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 112-ე კილომეტრზე, დაბა აგარასთან არსებულ გზაგამტარზე, მიმდინარე სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით 2002 წლის 18 ნოემბრიდან საავტომობილო მოძრაობა გადაერთვება სარკინიგზო გადასასვლელზე.

მძღოლებს ვთხოვთ ყურადღებით იმოძრაონ და დაემორჩილონ გზის ამ მონაკვეთზე განთავსებულ საგზაო ნიშნებს.

*საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის პრესცენტრი*

# მირცხულავა გაზს სამშაბათიდან გვპირდება

## შესაძლოა, თბილისში გაზის შეწყვეტა სქემიდან "საქგაზის" მოსალოდნელმა ამოგდებამ განაპირობა

*დღეს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა გაზის საერთაშორისო კომპანიის "იტერას" ხელმძღვანელობასთან დედაქალაქისათვის ბუნებრივი აირის მიწოდების აღდგენასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს განაახლებს. შესაძლოა, მას ამისთვის მოსკოვში გამგზავრებაც დასჭირდეს. სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი იმედოვნებს: მოლაპარაკებებით ქართული მხარე აუცილებლად მიაღწევს იმას, რომ ხვალ "იტერამ" დედაქალაქს გაზის მიწოდება განუახლოს.*

სოფიკო ოხანაშვილი



*დავით მირცხულავა*

მირცხულავას ოპტიმიზმს იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისს ბუნებრივი აირის მიწოდება მიმდინარე კვირას აღუდგება, "თბილგაზშიც" იზიარებენ. **"ვიმედოვნობთ, რომ ორშაბათ-სამშაბათიდან "საქგაზი" განაახლებს გაზის მოწოდებას. დავტვირთავთ დედაქალაქს და ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობას გავაგრძელებთ",** - განაცხადა "თბილგაზის" საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ლალი ხუციშვილმა.

ბუნებრივი აირის გამორთვამდე თბილისის ორივე სანაპირო 800 ათას კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს მოიხმარდა. ამ ეტაპზე სისტემა ექსტრემალურ რეჟიმში მუშაობს. ბუნებრივი აირის მიღება მხოლოდ გაჩიანის გაზგამანაწილებელი სადგურიდან ხორციელდება. ამჟამად, დედაქალაქს მხოლოდ 300 ათასი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი მიეწოდება, რის გამოც მთლიანად მარცხენა სანაპირო და მარჯვენა სანაპიროს ნაწილი გაზის გარეშეა დარჩენილი. დედაქალაქის ნაწილის გაზიფიცირება შაბათს, საღამოს ოთხი საათიდან განახლდა. თბილისის მოსახლეობის ბუნებრივი აირით უზრუნველყოფა გაზის საერთაშორისო კორპორაციის კუთვნილი ბუნებრივი აირის იმ ათი პროცენტით ხორციელდება, რომელიც ამ კორპორაციას გაზის რუსეთიდან სომხეთში ტრანზიტიდან რჩება. სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავას განცხადებით, გაზის ის რაოდენობა, რასაც გაზის საერთაშორისო კორპორაცია აწვდის თბილისს, დედაქალაქის მოსახლეობის 50 პროცენტის უზრუნველსაყოფად საკმარისია.

შაბათს მხოლოდ შვიდი ათასი აბონენტის ჩართვა მოხერხდა. "თბილგაზის" ინფორმაციით, ორივე სანაპიროს სრული გაზიფიცირება მხოლოდ "იტერას" მიერ თბილისის გაზმომარაგების პროცესის განახლების შემდეგ იქნება შესაძლებელი. "იტერას" მიერ გაზის გამოშვების შემთხვევაში მთლიანად დედაქალაქის მოსახლეობა ოც დღეში მიიღებს ბუნებრივ აირს. ამის მიზეზად "თბილგაზში" ბუნებრივი აირის გაშვებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ ტექნიკურ პრობლემებსა და უსაფრთხოების ნორმების დაცვას ასახელებენ. **"გაზის გამოშვებიდან ოცი დღე გვჭირდება, რომ ქსელების ჩატვირთვა განხორციელდეს, ძველ რეჟიმს დავუბრუნდეთ და ბუნებრივი აირი მოსახლეობამდე მივიდეს. აუცილებლად უნდა დავიცვათ ტექნიკური უსაფრთხოების ნორმები",** - განაცხადა ლალი ხუციშვილმა.

ამჟამად, თბილისის მარცხენა სანაპიროს მოსახლეობა კვლავ გაზის მოლოდინშია. მარჯვენა სანაპიროს გაზიფიცირება შაბათს დაიწყო, გუშინაც მიმდინარეობდა და ეს პროცესი დღესაც გრძელდება. ლალი ხუციშვილის ინფორმაციით, დღეისთვის უკვე გაზიფიცირებულია მთაწმინდის, კრწანისის, საბურთალოს, ვაკის ნაწილი. **"დღეს ვრთავთ საბურთალოსა და ვაკის ნაწილს. მარჯვენა სანაპიროს დატვირთვა ხვალაც გაგრძელდება. ამ ეტაპზე მხოლოდ ერთი სანაპირო იღებს ბუნებრივ აირს",** - განაცხადა საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა.

ბუნებრივი აირის გათიშვა მთავრობისთვის მოულოდნელი იყო. მაშინვე რამდენიმე ვერსია გაჩნდა იმასთან დაკავშირებით, თუ რამ განაპირობა თბილისისათვის ბუნებრივი აირის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. კულუარებში იმაზეც ალაპარაკდნენ, რომ "საქგაზის" შეფმა ლეონიდ დეიკალომ "თბილგაზისათვის" გაზის მიწოდების შეწყვეტის შესახებ განკარგულება "იტერას" ხელმძღვანელთან შეუთანხმებლად გასცა. იმავე წყაროს ცნობით, ამის მიზეზი ის გახდა, რომ სახელმწიფო მინისტრმა, ავთანდილ ჯორბენაძემ, გასულ კვირას გამართულ თათბირზე შუამავალი კომპანიების ზედმეტობაზე იმსჯელა და დღის წესრიგში "საქგაზის" არსებობის აუცილებლობის საკითხის გადახედვა დააყენა. ამის აუცილებლობა კი იმით ახსნა, რომ "საქგაზის" მსგავსი შუამავალი კომპანიები ტარიფში მძიმედ აისახება და მოსახლეობას ზედმეტ ტვირთად აწვება. როგორც "24 საათს" აცნობეს, სწორედ ეს გახდა ლეონიდ დეიკალოს გაღიზიანებისა და თვითნებური გადაწყვეტილების მიზეზი.

შეგახსენებთ, რომ "თბილგაზის" ოქტომბერში მოხმარებული ბუნებრივი აირის დავალიანება "იტერასადმი" მილიონ 700 ათას ლარს შეადგენდა, რომელიც პრემიერის გია შერაძის და "თბილგაზის" გენერალური დირექტორის ვახტანგ ცაავას ინფორმაციით, შეთანხმებისამებრ, 15 ნოემბერს 100 პროცენტით დაიფარა. ამ თანხის მობილიზება რამდენიმე წყაროს მეშვეობით განხორციელდა. ერთი მილიონი ლარის 18-პროცენტიანი კრედიტი სახელმწიფომ "გაერთიანებული ქართული ბანკიდან" აიღო, 500 ათასი ლარი "თბილგაზმა" საკუთარი ძალებით გადაიხადა, რასაც ცაავა მოსახლეობის დიდ დამსახურებად მიიჩნევს, ხოლო 200 ათასის გადახდა მერიამ ითავა. ახლაც გაურკვეველია, რა წყაროებიდან მოხდება იმ 255 ათასი ლარის მობილიზება, რომელიც თბილისისათვის გაზის შეწყვეტის მიზეზი გახდა. საუბარია თავდაცვის სამინისტროს, უშიშროების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოხმარებული გაზის საფასურზე, რომელიც ფედერალური ბიუჯეტიდან უნდა დაიფაროს. ამ ვალის არსებობას არ აღიარებს ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი. თუმცა, "მედია-ნიუსის" ინფორმაციით, ფინანსთა მინისტრმა, თავისი პოზიციის მიუხედავად, შევარდნაძის თანხმობის შემთხვევაში, შესაძლოა, ეს თანხა გადაიხადოს. ამავე დროს, გოგიაშვილი კატეგორიულად აცხადებს, რომ **"პრეზიდენტის თანხმობის შემთხვევაში, ვალის დასაფარავად გაღებული 250 ათასი ლარი "თბილგაზისათვის" გაწეული ბოლო დახმარება იქნება."**

# არგენტინას მსოფლიო ბანკის „გადაგდება" აპატიეს

თორნიკე შარაშენიძე

*აშშ-ს ხელისუფლება იმედიანად უყურებს არგენტინის ეკონომიკის პერსპექტივებს მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ბუენოს-აირესმა ახლახან მსოფლიო ბანკის მიმდინარე ვალი ვერ გაისტუმრა. ამერიკის ხაზინის მდივანი პოლ ო`ნილი აცხადებს, რომ მისი აზრით, არგენტინა მაინც მიიღებს დაფინანსებას საერთაშორისო სავალუტო ფონდისაგან.*

ო`ნილის ეს განცხადება, რომ იტყვიან, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა არგენტინისათვის, რადგან მსოფლიო ბანკის ვალზე დეფოლტის გამოცხადების შემდეგ, ამ ქვეყნის მომავალს ბევრი სპეციალისტი ეჭვის თვალით უყურებდა. ეჭვს აძლიერებდა ის გარემოებაც, რომ ბუენოს-აირესს ერთობ გაურთულდა მოლაპარაკებები სავალუტო ფონდთან, რადგან ამ უკანასკნელმა, არგენტინელ ხელისუფალთა თქმით, ბიუჯეტის მეტად მკვეთრი შეკვეცა მოითხოვა.

მაგრამ ჩანს, ვაშინგტონი სულაც არ აპირებს გაჭირვებაში მიატოვოს თავისი უახლოესი მოკავშირე ლათინურ ამერიკაში და, თუკი საჭირო გახდება, იგი სავალუტო ფონდსაც შესაბამის მითითებებს მისცემს. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ო`ნილზე სულ ცოტა ხნით ადრე ანალოგიური ხასიათის განცხადება გააკეთა ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ჰორსტ კიოლერმა. მისი თქმით, სავალუტო ფონდი კვლავაც ეცდება საერთო ენის გამონახვას ბუენოს-აირესთან.

ფონდსა და არგენტინას შორის მოლაპარაკებათა რაუნდი, უკვე 11 თვეზე მეტია, მიმდინარეობს და დათმობას, ჯერჯერობით, არცერთი მხარე არ აპირებს. არგენტინას ზურგს უმაგრებს ცნობილ ექსპერტთა ჯგუფი სახელგანთქმული ჯოზეფ შტიგლიცის (მსოფლიო ბანკის ყოფილი მთავარი ეკონომისტი და ნობელის პრემიის ლაურეატი) მეთაურობით, რომლებიც აცხადებენ, რომ ქვეყანა ეკონომიკურ კრიზისამდე სწორედ ფონდის გაუაზრებელმა პოლიტიკამ მიიყვანა და არგენტინამ მასთან მიმართებაში მკაცრი პოზიცია უნდა დაიჭიროს. კაცმა რომ თქვას, ფონდი საკმაოდ ლოიალურად ეკიდება ბუენოს-აირესს, მიუხედავად იმისა, რომ არგენტინამ მიმდინარე წლის დასაწყისში ყველა საგარეო ვალზე დეფოლტი გამოაცხადა. სავალუტო ფონდი ახალი კრედიტების გამოყოფისგან აქამდე თავს იკავებდა, რადგან არგენტინა თითქმის არანაირ გარანტიას არ იძლევა, რომ ფონდის რეკომენდაციებს გაატარებს.

ო`ნილის განცხადება იმას ნიშნავს, რომ ორივე მხარემ ახლა კომპრომისის გამოძებნა უნდა სცადოს. **"ბოლო 6 თვეა, არგენტინის ეკონომიკა აღმავლობას განიცდის და ჩვენ ეს ფაქტი უნდა გავითვალისწინოთ,"** – აღნიშნა ხაზინის მდივანმა.

არადა, სიტუაცია თითქმის უიმედო იყო სულ რამდენიმე დღის წინ, როცა არგენტინამ მსოფლიო ბანკს მორიგი თანხის – 805 მილიონი დოლარის – გასტუმრებაზე უარი უთხრა და მხოლოდ პროცენტი -- 79,2 მილიონი გადაიხადა. ამის საპასუხოდ ბანკმა განაცხადა, რომ იგი შეწყვეტდა არგენტინის დაფინანსებას, თუკი ქვეყანა უახლოესი 30 დღის განმავლობაში არ დაფარავდა მიმდინარე ვალს. ბუენოს-აირესის პასუხი მრავლისმეტყველი იყო: მსოფლიო ბანკისათვის თანხა იმის გამო აღარ დაგვრჩა, რომ ფონდთან შეთანხმებას ვერ ვახერხებთო. როგორც არგენტინელები აცხადებენ, ფონდი მეტისმეტს ითხოვს და ინფლაციასთან ბრძოლისა და საზოგადო დანახარჯების შემცირებისათვის ქვეყნის მთავრობას "არაადამიანურ" რეფორმებს სთავაზობს.

"არაადამიანურ" რეფორმებზე კი ფონდი თავის ურჩ კლიენტს, ალბათ, ვერ დაიყოლიებს ერთი უბრალო მიზეზის გამო: არგენტინა ახლა ისეთ პირობებში იმყოფება, რომ უკან დასახევი გზა არ დარჩენია და ბევრს აღარ დათმობს. იგი, დაახლოებით, ისეთ ვითარებაშია, როგორშიც იმყოფებოდა ცოტა ხნის წინ რუსეთი – **"უნდა გვიშველოთ, თორემ მთელ მსოფლიოს წავიყოლებთო"**. რუსეთს ბირთვული იარაღი აქვს და მართლაც შეუძლია მთელი სამყაროს გადაყოლება. არგენტინას ბირთვული იარაღი არა აქვს, მაგრამ, სულ მცირე, მთელ რეგიონს ჩაითრევს ეკონომიკურ დეპრესიაში, თუკი მას რაიმე არ ეშველა. ლათინური ამერიკა რომ, ამდენი ხანია, წესიერად ფეხზე ვერ დადგა, სწორედ არგენტინული კრიზისის დამსახურებაა. აქაური ეკონომიკა, უკვე 4 წელია, რეცესიაშია და წელს მისი მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 10 პროცენტით შემცირდება (და ეს იმის მიუხედავად, რომ ო`ნილი ბოლო 6 თვის განმავლობაში მიღწეულ წარმატებებზე საუბრობს). ქვეყნის 36-მილიონიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღატაკის ზღვარს მიღმა იმყოფება. ერთი დეფოლტით მეტი იქნება თუ ნაკლები, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მოსახლეობაც, დიდი ხანია, მიეჩვია იმ ფაქტს, რომ მათ მთელი მსოფლიოს ვალი აქვთ და ამას ნელ-ნელა მთელი მსოფლიოც მიეჩვია. თუკი რამდენიმე თვის წინ ბომბივით გასკდა ცნობა, არგენტინა 140-მილიარდიან ვალზე დეფოლტს აცხადებსო, ახლა ეს თითქმის არავის აკვირვებს.

# გეზი სწორი გზით მიცურავს

პირველი გვერდიდან

ემოციური კომპონენტიც არსებობს. თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობები არის 500-წლიანი კონფლიქტი. 17-ე საუკუნეში ჩვენ ვენის კედლებთან ვიდექით. ისტორია გავლენას ახდენს ჩვენი გაწევრიანების პროცესზეც.

დღეს ბევრ ევროპულ ქვეყანას - იტალიას, ესპანეთს, საბერძნეთს - სურს თურქეთი ევროკავშირში იხილოს. რაც შეეხება გერმანიას, სოციალ-დემოკრატები ჩვენს მხარს არიან, კონსერვატორები - პირიქით. მაგრამ არიან ისეთი ლიდერებიც, როგორიცაა ჟისკარ დ`ესტენი, რომელსაც მთლად კარგად არ ესმის, რა ხდება.

ვფიქრობ, რომ ბოლო წლებში ჩვენ სწორ გზაზე ვდგევართ. მთავარი არ არის ის, რამდენ ხანს გასტანს ინტეგრირების პროცესი, ხუთ თუ ათ წელიწადს. მთავარია ის, რომ ევროკავშირმა აღიაროს თავის შემადგენლობაში დიდი, არაქრისტიანული ქვეყნის მიღების შესაძლებლობა. ეს კი ჰელსინკის სამიტზე უკვე მოხდა, როდესაც თურქეთი კანდიდატ ქვეყნად აღიარეს. ჯერ კიდევ გადასაწყვეტია რაღაც საკითხები, ძირითადად - ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ, მაგრამ გეზი სწორად მიგვიყავს.

საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთშიც კი ბევრი იმედით უყურებს თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივას. ეს მათი განვითარების შანსსაც გაზრდის. ჯერ ერთი, საქართველო უშუალოდ დაუმეზობლდება ევროკავშირს. მეორეც, ეს ამ ქვეყნებში გაზრდის რეფორმების გატარების მოტივაციას და კიდევ უფრო გააადვილებს ევროპის ბაზარზე შეღწევას.

ბულგარეთი და რუმინეთი 2007-ში გაწევრიანდებიან ევროკავშირში; საუკეთესო შემთხვევაში, თურქეთიც მაშინ გაწევრიანდება, მაგრამ თარიღი დიდად მნიშვნელოვანი არაა. თუმცა, თურქეთს, უკვე 15 წელია, განაცხადი შეტანილი აქვს და მოსახლეობა მუდმივად ელოდება ევროპიდან პასუხს. 15 დეკემბერს ევროკავშირის სამიტზე, შეიძლება რაღაც პასუხი მივიღოთ.

ამასობაში აქტიურად მიდის მუშაობა კვიპროსის კონფლიქტის გადაწყვეტაზე. გაერო-მ წარმოადგინა გეგმა და მხარეებს სთხოვა, 30 დღის ვადაში გამოთქვან თავიანთი მოსაზრება. მე არ მინახავს ამ გეგმის დეტალები, მაგრამ ვფიქრობ, თურქეთისთვის იგი მისაღებია. ბერძნულ ნაწილს კი მისი მიღების უფრო დიდი სტიმული აქვს, რადგან ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე დგას. თუ კვიპროსის პრობლემა მოგვარდება, 2007-ში შეიძლება შევიდეთ ევროკავშირში.

**- გაწევრიანების პროცესი გავლენას ახდენს შიდა პოლიტიკაზეც, განსაკუთრებით, უმცირესობების უფლებებისა და ქვეყანაში სამხედროების როლის საკითხებზე.**

- ჩვენ მათ ვუწოდებთ არა უმცირესობებს, არამედ - "ქურთული წარმოშობის თურქეთის მოქალაქეებს". ახლა ჩვენ მივიღეთ ქურთული ენის კანონი. შეიცვალა ოჯალანის განაჩენიც. ასე რომ, პროგრესი არის. უფრო რთულია რეფორმების გატარება საპოლიციო სისტემაში.

ევროკავშირში გვსაყვედურობენ, რომ სამხედროები ზედმეტად არიან პოლიტიკაში ჩართული. მაგრამ მე ვიცი უამრავი პოლიტიკოსი, რომელიც გაცილებით უფრო კონსერვატიულია, ვიდრე გენერალიტეტი. უნდა ითქვას, რომ არმია თურქეთის ერთ-ერთი ყველაზე პროგრესული ძალაა.

**- ახალ მთავრობას სერიოზული პრობლემა დახვდა ერაყ-ამერიკის მომავალი ომის სახით...**

- ჩვენთვის ეს ომი რამდენიმე ასპექტის გამოა მნიშვნელოვანი. 1999 წლიდან, ოჯალანის დაპატიმრების შესახებ, ქურთების დასახლებულ სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ვითარება ნორმალიზაციისაკენ წავიდა. ეს კუთხე ახლა იდგამს წელს, იწყება ეკონომიკის გამოცოცხლება, იზრდება ტურიზმი. ომი კი ყველაფერს შეცვლის. გარდა ამისა, ტურიზმით თურქეთი წელიწადში 10 მილიარდ დოლარს შოულობს. ერაყში ომის დაწყების შემდეგ, ტურიზმი სერიოზულად დაზარალდება. ამიტომ აშშ-სგან ფინანსურ კომპენსაციას ვითხოვთ.

მეორე განზომილება: ჩვენ არ გვინდა ჩრდილოეთ ერაყში ქურთული სახელმწიფოს შექმნა. ჩვენი პოზიცია ძალზე მკაფიოა და ამერიკელებმა ეს იციან. ჩვენ განვაცხადეთ, რომ თუ ქურთული სახელმწიფო შეიქმნება, საქმეში ჩაერევიან თურქეთის შეიარაღებული ძალები.

**- ერაყის არა დაშლას, არამედ მის ფედერალიზებას როგორ შეხედავს ანკარა?**

- გააჩნია, რა ფორმით. თუ ფედერალიზმის საფარქვეშ განხორციელდება ფაქტობრივად დამოუკიდებელი ერთეულების ჩამოყალიბება, ანკარა იძულებული იქნება, ზომები მიიღოს. თუ ეს იქნება ნამდვილი ფედერალიზმი, ძლიერი ცენტრალური ხელისუფლებით, რაც მაინც არ არის იდეალური სცენარი, შეიძლება, ამას შევურიგდეთ.

ჩვენ ერთმნიშვნელოვნად მხარს ვუჭერთ ერაყის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას. ამ პოზიციას იზიარებენ ირანი და სირიაც. ერაყის დაშლა მთლიანად შეცვლის ძალთა წონასწორობას რეგიონში.

**- ნათელია, რომ თურქეთს არ შეუძლია ნეიტრალური დარჩეს.**

- თუ ამერიკელები გვთხოვენ ინჯირლიკის საჰაერო ბაზის გამოყენების უფლებას, ალბათ, ამას მიიღებენ. მაგრამ, ჩემი ინფორმაციით, მათ ეს ჯერ არ მოუთხოვიათ. როგორც ჩანს, ისინი დაელოდებიან, სანამ ინსპექტორები დაასრულებენ. ეს, დაახლოებით, 100 დღეა. არა მგონია, რომ თურქეთის არმიამ მიიღოს ომში მონაწილეობა.

**- ბოლო წლებში ახლო აღმოსავლეთში ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო თურქეთ-ისრაელის დაახლოება. რას იღებთ ამ კავშირით ან თქვენ, ან ისინი?**

- ეს ორმხრივად სასარგებლო თანამშრომლობაა. ჩვენ მხარს ვუჭერთ ისრაელს და მას მოკავშირედ მივიჩნევთ, მაგრამ არ ვიწონებთ შარონის პოლიტიკას პალესტინაში.

ამის მიუხედავად, ჩვენს შორის ნამდვილი სტრატეგიული პარტნიორობა ჩამოყალიბდა - როგორც ორი დემოკრატიული სახელმწიფო ვართ ახლო აღმოსავლეთში და ორივეს მჭიდრო კავშირი გვაქვს აშშ-სთან.

ისრაელისათვის მნიშვნელოვანია თავად ის ფაქტი, რომ ისლამური ქვეყანა მისი მოკავშირეა. ჩვენ კი აქტიურად ვიყენებთ ებრაულ ლობის ამერიკაში და სხვა ქვეყნებში.

მნიშვნელოვანია ეკონომიკური კავშირებიც. ჩვენ წყალს ვყიდით ისრაელში, ისინი კი არმიის მოდერნიზებაში გვეხმარებიან.

**- რა არის თურქეთისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი თემები კავკასიაში?**

- საქართველო და აზერბაიჯანი თურქეთის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ. პირველ რიგში, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება და ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლება. ჩვენ ასევე მხარს ვუჭერთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების გადაწყვეტას. თურქეთი მიესალმება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ეკონომიკის აღორძინებისაკენ გადადგმულ ყველა ნაბიჯს.

ყარაბაღის პრობლემის გამო, ჩვენ არა გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობები სომხეთთან, სანამ ის არ გაათავისუფლებს ოკუპირებულ ტერიტორიებს. რა თქმა უნდა, ეს პრობლემა უფრო ამ ქვეყნებმა უნდა გადაწყვიტონ, ვიდრე ჩვენ, მაგრამ კონფლიქტის გადაჭრაში წვლილი შეგვაქვს და მხარს ვუჭერთ "კავკასიის სტაბილურობის პაქტის" ხორცშესხმას.

**- ახალმა მთავრობამ თუ გამოხატა პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით?**

- არა, ჯერ იგი დაკავებულია კოპენჰაგენის მომავალი სამიტით. ამაზე ფიქრობს ყველა, მათ შორის - მომავალი პრემიერ-მინისტრი ერდოქანიც.

**- მაგრამ ერდოგანი პარლამენტის წევრიც კი არ არის?**

- მისმა პარტიამ ხმების 35 პროცენტი მიიღო. გარკვეული დროის შემდეგ, იგი აუცილებლად იქნება პრემიერი. ახლა მიდის მუშაობა იურიდიული პრობლემების გადაჭრაზე. რაც შეეხება დეპუტატობას, შეიძლება რომელიმე რაიონში განმეორებითი არჩევნების მოწყობა. ამასობაში, მთავრობაც ჩამოყალიბდება, დაინიშნება ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი და პოლიტიკაც უფრო მკაფიოდ განისაზღვრება. მაგრამ, მას შემდეგ რაც ამ პარტიის ბევრ წარმომადგენელს შევხვდი, ვფიქრობ, რომ ახალი მთავრობა უფრო მეტ ინტერესს გამოიჩენს ცენტრალური აზიისა და კავკასიის მიმართ.

**- მაგრამ, ანკარა საკმაოდ დაკავებული იქნება ევროპითა და ერაყით.**

- თურქეთის საგარეო პოლიტიკა დასავლეთზეა ორიენტირებული და მთავარი პრიორიტეტი ევროკავშირის წევრობაა. მაგრამ, ორი მიმართულება ერთმანეთის ხარჯზე არ განხორციელდება. პირიქით, თურქეთის წონა კავკასიაში დამატებითი კოზირია ევროკავშირთან ურთიერთობებში. ევროკავშირი, თურქეთის მიერთების შემდეგ, ავტომატურად იღებს თურქეთის გავლენასაც კავკასიაში.

**- როგორია თურქეთის პოზიცია ჩეჩნეთის ომთან დაკავშირებით?**

- ეს ძალზე დელიკატური თემაა. თურქი ხალხი სიმპათიით უყურებს ჩეჩნებს. ჩვენ ჩრდილოკავკასიური წარმოშობის ბევრი მოქალაქე გვყავს. რაც შეეხება მთავრობას, ის უფრო ფრთხილია. პირველი ომის დროს ჩეჩნების მიმართ სიმპათია უფრო მეტი იყო, ვიდრე ახლა.

რუსეთი სერიოზულ ზეწოლას ახორციელებს ჩვენზე; ამასთან, იგი ჩვენთვის მნიშვნელოვანი მეზობელია. ასე რომ, ანკარის აზრით, ჩეჩნეთი რუსეთის საშინაო საკითხია, მაგრამ, ამავე დროს, თურქეთი უაღრესად შეწუხებულია ჩეჩნების წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევებით.

სტამბოლში ფუნქციონირებს არასამთავრობო ორგანიზაცია "კავკასიის ფონდი", რომელიც აფიქსირებს და აღწერს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს ჩეჩნეთში. არის რიგი სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც ამ თემაზე მუშაობენ. რუსეთი ამით აღშფოთებულია. მაგრამ, ყველამ იცის, რომ ჩეჩნეთში სერიოზულად ირღვევა საერთაშორისო ნორმები და სტანდარტები. სანამ ეს არ შეწყდება, იქნებიან არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ამაზე გაამახვილებენ ყურადღებას.

11 სექტემბერი იყო ნამდვილი ტრაგედია ჩეჩნებისთვის, რადგან მას შემდეგ საერთაშორისო საზოგადოება დაუპირისპირდა ყველაფერ ისლამურს. ყველა, ვისაც გრძელი წვერი აქვს, უკვე პოტენციურ ტერორისტად ითვლება. ეს რუსებმა პროპაგანდისათვის ძალზე ეფექტურად გამოიყენეს, მათ ჩეჩნები გაათანაბრეს ისლამ რადიკალებთან. ეს არ არის მართალი, რადგან ისინი თვითგამორკვევისთვის იბრძვიან, და თანაც, რბილად რომ ვთქვათ, ეთნიკური წმენდის მსხვერპლნი გახდნენ. აშკარაა, რომ ბრძოლა იქამდე გასტანს, სანამ რუსები არ დათანხმდებიან ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში ჩეჩნეთისათვის რაიმე სტატუსის მინიჭებაზე.

**- მაგრამ მოსკოვი არათუ მშვიდობიან მოლაპარაკებაზე არ მიდის, საქართველოშიც ცდილობს ომის გადმოტანას. როგორი პოზიცია ეკავა თურქეთს საქართველო-რუსეთის კრიზისისას?**

- ბუნებრივია, ჩვენ მხარს ვუჭერდით საქართველოს. რამდენადაც მე ვიცი, ჩვენმა მთავრობამ ძალიან ნათლად აუხსნა რუსეთს, რომ ჩვენთვის მიუღებელი იყო მათი არგუმენტები და რომ კონფლიქტის შემთხვევაში, ჩვენ ქართველების გვერდით დავდგებოდით. ჩვენი პოზიცია თანხვდება აშშ-ს პოლიტიკას საქართველოში. თუ აქ არიან ტერორისტები, მაშინ მათ საქართველოს მთავრობამ უნდა მიხედოს.

**- როგორ შეაფასებდით რუსეთ-თურქეთის ამჟამინდელ ურთიერთობებს?**

- ისტორიულად, რუსეთი და თურქეთი ხშირად ომობდნენ. სამწუხაროდ, თითქმის ყოველთვის ჩვენ ვაგებდით. ცივი ომის დროსაც, სხვადასხვა ბანაკში ვიყავით. 1991 წლიდან ურთიერთობები შეიცვალა. ყოველწლიურად ჩვენთან მილიონი რუსი ტურისტი ჩამოდის, ვაჭრობის მოცულობა წლიურად ათ მილიარდ დოლარს შეადგენს. 90-იანი წლებში რუსეთში თურქული ტექსტილის ნამდვილი ბუმი იყო. ეკონომიკური ურთიერთობების გამოცოცხლებამ პოლიტიკაზეც იმოქმედა. ამის შედეგად, 2001 წლის ნოემბერში ივანოვმა და ჯემმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ევრაზიაში თანამშრომლობის შესახებ. მაგრამ ბუნებრივია, ათი წელი მცირე დროა საიმისოდ, რომ 500-წლიანი მეტოქეობა შეცვალოს.

ჩვენი სტრატეგოსები ფიქრობენ, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ჩვენ რუსეთთან პრობლემები არ უნდა გვქონდეს. ბევრ საკითხში ჩვენი პოზიციები ემთხვევა, მაგრამ კავკასიაში ჩვენს შორის გარკვეული წინააღმდეგობები არსებობს. საქართველოში, მაგალითად, შეუძლებელია ჩვენ ერთნაირი მიდგომა გვქონდეს.

რუსეთშიც ბევრი ფიქრობს, რომ თურქეთთან თანამშრომლობა მათ ინტერესებში შედის. რაც უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს რუსეთი და ევროპა, მით უფრო მეტ საერთოს ვნახულობთ ჩვენ და რუსეთიც. მაგრამ ვფიქრობ, რუსეთმა ჯერ კიდევ უნდა გაარკვიოს, რა სურს მას - ეროვნული სახელმწიფოს შექმნა, თუ იმპერიის აღდგენა.

**- შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, ბისეკი, დიდი ენთუზიაზმით შეიქმნა. როგორ ფიქრობთ, რეალურად ის კიდევ ცოცხალია?**

- ვფიქრობ, კითხვა უკვე გულისხმობს პასუხს. პრეზიდენტმა ოზალმა დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც საბერძნეთი ბისეკში მიიწვია, აზერბაიჯანისა და სომხეთის შეყვანაც, შეიძლება, არ იყო სწორი. ბისეკი მნიშვნელოვანია, როგორც საკომუნიკაციო არხი, მოქმედებს შავი ზღვის ბანკი, გარემოსდაცვითი პროგრამა, ერთობლივი სამხედრო- საზღვაო დაჯგუფება, მაგრამ მან ვერ გაამართლა მასზე დამყარებული იმედები. თურქეთმა ვერ მოახერხა მასში დინამიზმის ჩადება. თუმცა, ბერძნებმა და რუსებმაც შეუშალეს ხელი ორგანიზაციის აქტიურობას. შემცირდა წარმომადგენლობის დონეც. ბისეკის გამოცოცხლება შეიძლება, თუ ამას სახელმწიფოთა მეთაურები მოინდომებენ.

**- როგორია თურქეთის როლი ცენტრალურ აზიაში?**

- 90-იანი წლების დასაწყისში თურქეთში დიდი ეიფორია იყო. ჩვენ გვეგონა, რომ დაკარგული ძმები ვიპოვეთ - უზბეკები, აზერბაიჯანელები და სხვები. ამ ეიფორიას 90-იანების ბოლოს რეალიზმი მოჰყვა.

თავიდან დასავლეთს სერიოზულად ეშინოდა ცენტრალურ აზიაში ფუნდამენტალიზმის ახალი კერის აღმოცენებისა. ამიტომ ისინი ეხმარებოდნენ თურქეთს, რათა თურქეთი დახმარებოდა ცენტრალური აზიის ქვეყნებს ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობაში. მაგრამ, დასავლეთი მალე მიხვდა, რომ ეს საფრთხე ნაკლებრეალური იყო. თანაც ამერიკელებმა, ევროპელებმა და ისრაელმა გადაწყვიტეს, პირდაპირ დაემყარებინათ მათთან ურთიერთობა. ჩვენ დიდი შეცდომები დავუშვით. ზოგიერთი თურქი ბიზნესმენი და ჩინოვნიკი ჩადიოდა იქ და უფროსი ძმის როლში გამოდიოდა. შუა აზიელებს კი ერთი უფროსი ძმა უკვე მობეზრებული ჰყავდათ და მეორე აღარ სჭირდებოდათ.

ახლა უფრო რეალისტურად ვუდგებით ამ საკითხს. ჩემი აზრით, ნათელია, რომ თურქეთისთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია კავკასია, ვიდრე ცენტრალური აზია. ჩვენთვის იქ მნიშვნელოვანია უზბეკეთი და ყაზახეთი.

**- თურქეთს აქვს გაზსადენები, რომლითაც აირი შემოაქვს ირანიდან, რუსეთიდან, განიხილება თურქმენეთის პროექტიც. რაში გჭირდებათ ამდენი გაზი?**

- პირველ ყოვლისა, ჩვენი გაზის კომპანია "ბოტაში" გეგმავს მთელი ქვეყნის გაზიფიკაციას. დღეს ბევრ დიდ ქალაქს აქვს გაზი, მაგრამ რეგიონები და შავი ზღვის სანაპიროს ქალაქები ჯერ არ არის გაზიფიცირებული. თურქეთს სურს ქვანახშირიდან და ნავთობიდან უფრო სუფთა და იაფ გაზზე გადასვლა. მეორეც, 90-იან წლებში თურქეთის გაზის მოხმარების ზრდის მაჩვენებლები ხელოვნურად გაბერეს, კერძო კომერციული თუ სხვა ინტერესების გამო. ამიტომ, მაშინ მთავრობამ მიიჩნია, რომ საჭირო იყო სასწრაფოდ ახალი წყაროების გამოძებნა. ჩვენ არ გვსურდა მხოლოდ რუსულ გაზზე ვყოფილიყავით დამოკიდებული.

რაც შეეხება თურქმენეთის გაზსადენს, ახლა ეს პროექტი მკვდარია. ჩვენ ახლა ცოტა ზედმეტ გაზს ვყიდულობთ, ვიდრე გვჭირდება. ეკონომიკური კრიზისის გამო, მოხმარება შემცირებული იყო და ახლა, ალბათ, ნელნელა გაიზრდება.

თანაც, რაკი ამდენი მომწოდებელი გვყავს, შეგვიძლია, ფასები დავაგდოთ. ამჟამად ჩვენ რუსებს ვთავაზობთ გაზის საფასურის ანაზღაურებას პროდუქციით, მაგალითად - ტექსტილით. ერთი სიტყვით, ცოტა ზემდეტი გვექნება, მაგრამ ეს არ არის დიდი პრობლემა. დღის წესრიგში დგას თურქეთ-საბერძნეთის მილსადენის მშენებლობის საკითხი. ათენი ახლა ჩვენი კარგი მეგობარია.

**- როგორ მოხდა, რომ ძველ მტრებს შორის ურთიერთობები ასე შეიცვალა?**

- საგარეო საქმეთა მინისტრები - პაპანდრეუ და ჯემი ახლო მეგობრები იყვნენ. რაც მთავარია, ბერძნები მიხვდნენ, რომ თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანება მათთვის ხელსაყრელია. ჯერ ერთი, თურქეთი უზარმაზარი ბაზარია. თუ ორი ქვეყანა ითანამშრომლებს, არის უზარმაზარი ტურისტული პოტენციალი. მაგრამ ყველაზე მნიშვნელონია კვიპროსი. ევროკავშირის წევრი თურქეთის მხრიდან, კვიპროსზე სამხედრო ინტერვენცია გამორიცხული იქნება.

**- რას იტყვით თურქეთ-ირანის ურთიერთობებზე?**

- ჩვენ სხვადასხვა სამყაროში ვცხოვრობთ. ჩვენს შორის საზღვარი 500 წლისაა და აქ პრობლემები არ არსებობს. ჩვენ მხარს ვუჭერთ რეფორმებს ირანში, მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი საკმაოდ შენელდა. თანაც, ახალ მთავრობას ირანი, მაინცდამაინც, არ მოსწონს.

# თურქეთს ახალი პრემიერ-მინისტრი ჰყავს

შაბათს თურქეთის პრეზიდენტმა პრემიერ-მინისტრის პოსტზე აბდულა გული ("გიულ" ქართულად ვარდს ნიშნავს) დანიშნა. გული "სამართლიანობისა და განვითარების" პარტიაში ყოველთვის "მეორე კაცად" ითვლებოდა და დიდი პატივისცემით სარგებლობდა.

მის დანიშვნას მოწონებით შეხვდნენ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, რადგან გული ზომიერ, რეფორმისტ პოლიტიკოსად ითვლება. განათლებით იგი ეკონომისტია. საერთო აზრით, იგი არ იქნება ერდოქანის მარიონეტი და დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას შეეცდება

ახალი პრემიერის განცხადებით, ორშაბათს უკვე მთავრობის მთელ შემადგენლობას დაასახელებენ. როგორც "24 საათს" განუცხადა ალექსანდრე რონდელმა, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს ამ მთავრობაში იაშარ იაკიში დაიკავებს. იგი ძველი და ძალზე გამოცდილი დიპლომატია და დღემდეც გამორჩეულ ადგილს იკავებდა თურქეთის საგარეო სამსახურში.

ახალი ხელისუფლების მთავარი პრიორიტეტები ევროკავშირში ინტეგრირება და ლიბერალური სოციალ-ეკონომიკური რეფორმების გატარება იქნება. პარტიის ლიდერთა განცხადებით, მათ განზრახული აქვთ, პირველ რიგში ავადსახსენებელ თურქეთის ციხეებში მდგომარეობის გაუმჯობესებაზე იზრუნონ. მთავრობის პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა განათლებისა და ჯანდაცვის სისტემების რეფორმებს, სოციალური უზრუნველყოფის მოძველებული სისტემის გაჯანსაღებასა და პრივატიზაციას. საგარეო პოლიტიკაში, ახალი მთავრობა მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობების გაუმჯობესების ლოზუნგით გამოდის.

გულს ბევრი მიმომხილველი ხანმოკლე პრემიერობას უწინასწარმეტყველებს, რადგან ექსპერტების ინფორმაციით, "თეთრი პარტიის" ლიდერი, ერდოქანი აპირებს სამართლებრივი ბარიერები დაძლიოს და თავად დაიკავოს მთავრობის მეთაურის პოსტი.

# უშველის თუ არა უკრაინას ახალი პრემიერ-მინისტრი?

*უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ პრემიერ-მინისტრის - ანატოლი კინახის ხელმძღვანელობით ქვეყნის მინისტრთა კაბინეტი გადააყენა. პარალელურად, კუჩმამ უკრაინის პარლამენტს – უმაღლეს რადას პრემიერ-მინისტრის პოსტზე დონეცკის ოლქის გუბერნატორის, ვიქტორ იანუკოვიჩის კანდიდატურა შესთავაზა.*



REUTERS

ლეონიდ კუჩმა

ლევან ღირსიაშვილი

პრეზიდენტის განცხადებით, კინახის მთავრობამ, მართალია, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის შენარჩუნება შეძლო, მაგრამ სოციალური პრობლემების აღმოფხვრა ვერ მოახერხა და სწორედ ამის გამო მან მოქმედი მინისტრთა კაბინეტის დათხოვნის გადაწყვეტილება მიიღო. **"მე პარლამენტის უმრავლესობას მივეცი საშუალება, თავად დაასახელონ მთავრობის ხელმძღვანელი და ერთობლივად შექმნან კოალიციური კაბინეტი,"** დასძინა მოსკოვში ვიზიტით ყოფნისას ლეონიდ კუჩმამ.

როგორც ცნობილი გახდა, პრეზიდენტმა კუჩმამ საპარლამენტო ფრაქციის ლიდერებთან უკვე განიხილა იანუკოვიჩის კანდიდატურა. ექსპერტთა აზრით, დონეცკის გუბერნატორს იანუკოვიჩს დეპუტატთა მხრიდან მხარდაჭერის დიდი შანსები აქვს. უკრაინის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით კი, პრეზიდენტმა ასევე შეიძლება უმაღლეს რადას ახალი მთავრობის დაკომპლექტებაც შესთავაზოს. უკრაინის პარლამენტი პრემიერ-მინისტრის პოსტზე იანუკოვიჩის კანდიდატურას 21 ნოემბერს უყრის კენჭს.

აღსანიშნავია, რომ კუჩმას გადაწყვეტილებას მთავრობის დათხოვნის შესახებ, უკრაინის პოლიტიკურ წრეებში დიდი ხანია ელოდებოდნენ. მოსაზრება ამის თაობაზე მას შემდეგ გაჩნდა, როდესაც ა.წ. აგვისტოში ლეონიდ კუჩმას ინიციატივით ხელისუფლების სისტემური ცვლილებები განხორციელდა, კერძოდ, პარლამენტს პრეზიდენტის ხარჯზე უფლებამოსილებები გაეზარდა. ამასთანავე, უკრაინის ლიდერმა განაცხადა, რომ მზად არის დათანხმდეს მთავრობის ფორმირების დაწყებას უმაღლესი რადას ფრაქციების ინტერესების გათვალისწინებით იქამდე, ვიდრე კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებები განხორციელდება. ამ ეტაპზე, უკრაინის პრეზიდენტს მინისტრების დამოუკიდებლად დანიშვნის და გათავისუფლების კონსტიტუციური უფლება გააჩნია. პრემიერ-მინისტრის კანდიდატურასაც სწორედ პრეზიდეტი არჩევს და შემდგომ დასამტკიცებლად პარლამენტს წარუდგენს. ამასთანავე, კუჩმამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ის მხარს დაუჭერს კოალიციური მთავრობის შექმნას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი რადას დეპუტატები ისეთი საპარლამენტო უმრავლესობის ფორმირებას შეძლებენ, რომელიც ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე აიღებს პასუხისმგებლობას. ამ განცხადების შემდეგ, პრეზიდენტის მხარდამჭერმა საპარლამენტო ფრაქციებმა გაერთიანება დაიწყეს.

უნდა ითქვას, რომ, უკრაინის პარლამენტის 450 წევრიდან, უმრავლესობის ფორმირებისათვის 226 დეპუტატის ხმაა აუცილებელი. თუმცა, ბოლო საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საკანონმდებლო ორგანოს მუშაობა საკმაოდ გაართულა უმაღლესი რადას ორ ზუსტად თანაბარ ნაწილად გაყოფამ, რომელთაგანაც არცერთს არ შეეძლო სიტუაციის საკუთარი ძალებით გაკონტროლება. პრეზიდენტის მხარდამჭერ ფრაქციებსა და ე.წ. ოპოზიციურ ოთხეულს შორის, შეიძლება ითქვას, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მიმდინარეობდა. როგორც ცნობილია, ოპოზიციაში გაერთიანებული არიან კომუნისტები, იულია ტიმოშენკოს ბლოკი, სოციალისტური პარტია და ვიქტორ იუშჩენკოს ბლოკი "ჩვენი უკრაინა."

პარლამენტში ძალთა თანაფარდობა შეცვალა პრეზიდენტის მიერ წამოყენებულმა ინიციატივამ სახელისუფლო სისტემის რეფორმირების შესახებ და კუჩმას მხარდამჭერ საპარლამენტო ფრაქციებში ოპოზიციის რიგებიდან რამდენიმე დეპუტატი გაწევრიანდა. ამჟამად, პრეზიდენტ კუჩმას 230 პარლამენტარი უჭერს მხარს, რაც, ფაქტობრივად, უმრავლესობას წარმოადგენს. ამით განაწყენებული ოპოზიცია კი ამტკიცებდა, რომ საპარლამენტო უმრავლესობის შექმნას პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ძალადობის და დეპუტატებზე ზეწოლის გზით მიაღწია.

ასეა თუ ისე, აშკარაა, რომ პრეზიდენტი კუჩმა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ თავისი შელახული ავტორიტეტის აღდგენას ცდილობს. ამისათვის კი ის მრავალჯერ ნაცად და ბევრი პოსტ-საბჭოთა პრეზიდენტის მიერ აპრობირებულ მეთოდს – მთავრობის ცვლას მიმართავს.

მიუხედავად იმისა, რომ პრემიერობის ახალ კანდიდატურას – 52 წლის ვიქტორ იანუკოვიჩს დონეცკის გუბერნატორად მუშაობის დროს ენერგიულ და გავლენიან მმართველად ახასიათებდნენ (ის აღმოსავლეთ უკრაინის მსხვილ მეტალურგიულ და მანქანათმშენებლობის საწარმოებს აკონტროლებს). საეჭვოა, რომ მან ქვეყანაში რადიკალური გარდაქმნების და მოსახლეობის მძიმე სოციალური პრობლემების მოგვარება შეძლოს. **"არ არის საჭირო ხმამაღალი ლოზუნგები. უბრალოდ, უნდა ავამაღლოთ ხალხის კეთილდღეობის დონე. აი, მაშინ, ხალხი სათანადოდ შეაფასებს ჩვენს საქმიანობას,"** - აცხადებს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, პრემიერ-მინისტრ კინახის მთავრობა პრეზიდენტმა კუჩმამ სწორედ ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიური ვითარების გამო დაითხოვა. კორუფციამ, ეკონომიკურმა პრობლემებმა და მოსახლეობის ცუდმა სოციალურმა მდგომარეობამ, ზაფხულში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ უკრაინისათვის ფინანსური დახმარების შეწყვეტა განაპირობა. საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტომ "Standard & Poors"-მა კი, "დადებითი" პროგნოზი უკრაინის საკრედიტო რეიტინგის შესახებ "უარყოფითით" შეცვალა. საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე, პრეზიდენტ კუჩმას მიმართ ერაყთან იარაღით ვაჭრობის შესახებ წაყენებულმა ბრალდებამ, უკრაინის ლიდერის პრესტიჟი, ფაქტობრივად, ნოლზე დაიყვანა. დასავლეთისთვის კუჩმა ლუკაშენკოს მსგავს პოლიტიკოსად იქცა. როგორც ბელორუსის პრეზიდენტს, ასევე უკრაინის ლიდერს, პრაღაში ნატო-ს სამიტზე დასწრება აუკრძალეს. პარალელურად, გაერთიანებული ოპოზიციის მხარდამჭერთა რიგები დღითიდღე ივსება. ოპოზიციის ლიდერები კუჩმას უპირობოდ გადადგომას ითხოვენ. ასეთ ვითარებაში კი, კუჩმას მიერ განხორციელებული სახელისუფლო ცვლილებები, სხვა არაფერია, თუ არა დროის გაყვანის მცდელობა და მოსახლეობისათვის ახალი დაპირებების და იმედების მიცემა, რაც პრეზიდენტს სახელისუფლო ბერკეტების შენარჩუნების საშუალებას მისცემს. რა უნდა შეძლოს ახალმა პრემიერ-მინისტრმა თავიდან ბოლომდე კორუმპირებულ სისტემაში? - ალბათ, ბევრი ვერაფერი, იმ შემთხვევაშიც კი, ამის დიდი სურვილიც რომ ქონდეს.

# ჩვენ, ყველანი, კავკასიელები ვართ

*ოქტომბრის ბოლოს სტრასბურგში, ევროსაბჭოს ახალგაზრდობის და სპორტის დეპარტამენტის ხელშეწყობით, "დემოკრატიული ლიდერების პროგრამის" (DLP) ფარგლებში, ჩატარდა ერთკვირიანი სემინარი სამხრეთ კავკასიის ქვეყნების - საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენელი ახალგაზრდა ლიდერებისთვის.*

ლელა მარგიანი

სტრასბურგის სემინარზე თითოეული ქვეყნის დელეგაცია რამდენიმე ახალგაზრდით იყო წარმოდგენილი. საქართველოს დელეგაციის შვიდი წევრიდან ექვსი ქართველი იყო, ერთი - აფხაზი. ქართველ ახალგაზრდებს შორის ორი აფხაზეთიდან დევნილი იყო - თბილისში არსებული ფონდის "აფხაზეთის მომავლის" ასისტენტები თამუნა წერეთელი და ხვიჩა ქარდავა.

"24 საათთან" საუბრისას, თამუნა წერეთელმა სტრასბურგში ერთკვირიანი სტუმრობის შესახებ თქვა, რომ ჩატარებული სემინარი იყო "კავკასიის ჯგუფის სემინარის" პირველი ფაზა. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ახალგაზრდებს ჩაუტარდათ ლექციები, ტრენინგები. თითო დღე დაეთმო ლექციებს კონფლიქტოლოგიაში, ადამიანის უფლებების დაცვაში. ცალკე საკითხად განიხილეს ქალთა უფლებების დაცვა, დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა-განვითარება.

განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება მასმედიაზე. აღინიშნა მისი დიდი როლი კონფლიქტში მყოფ ქვეყნებს შორის ობიექტური ინფორმაციის გავრცელებისა და ამით კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების ხელშეწყობის საქმეში.

უფროსებისგან განსხვავებით, ქართველმა, სომეხმა და აზერბაიჯანელმა ახალგაზრდა ლიდერებმა მეტი საერთო გამონახეს. თუმცა, როგორც თამუნამ აღნიშნა, ყარაბაღის კონფლიქტის გამო, აზერბაიჯანელ და სომეხ ახალგაზრდებს მაინც უჭირდათ ერთმანეთთან ურთიერთობა. ამიტომ, ქართველები თეთრი მანდილის როლს ასრულებდნენ.

თამუნა წერეთელმა ასევე აღნიშნა, რომ "მონაწილეობა მიიღო ასეთ სემინარში, არის დიდი შანსი ახალგაზრდა ლიდერებისთვის, რომლებიც ეძებენ მშვიდობას თავიანთ ქვეყნებში". იქვე გაიხსენა სემინარზე დამეგობრებული აზერბაიჯანელი ახალგაზრდის სიტყვები, რომ "ჩვენ, ყველანი, კავკასიელები ვართ და ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა უნდა გვქონდეს".

"კავკასიის ჯგუფის სემინარის" მეორე ფაზა 11-16 დეკემბერს კვლავ სტრასბურგში ჩატარდება.

# ფორმალური ჯანმრთელობა

*მეორე წელია, სკოლების მასწავლებლებსა და ბაგა-ბაღების აღმზრდელებს, საკუთარი ჯანმრთელობის რეგულარულ შემოწმებას და შედეგების სპეციალურ, ე.წ. სანიტარულ წიგნაკებში დაფიქსირებას სთხოვენ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეს ინიციატივა, ერთი შეხედვით, გასაგები მიზეზით იყო გაპირობებული - ამ კატეგორიის მოსამსახურეებს ბავშვებთან აქვთ საქმე და, ადვილი შესაძლებელია, ისინი დააავადონო. წამოწყებას, თითქოს, წუნს ვერ დასდებდი, მით უმეტეს, რომ ისიც ითქვა, სამედიცინო შემოწმების ხარჯები ისედაც მცირე ხელფასზე მყოფ პედაგოგებს კისერზე არ დააწვებათ, ყველაფერს სახელმწიფო აანაზღაურებსო. თქმით კი ითქვა, მაგრამ შესრულებით ვერც ეს დანაპირები შესრულდა.*

მაკა ჯაიანი

ეს შარშანვე გახდა ცხადი. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალურ ბიუჯეტში, ამ საქმის, წესით, მომგვარებელი გრაფის გასწვრივ შესაბამისი ციფრები ჩაიწერა, ნაღდი ფული მაინც საჭირო აღმოჩნდა. ყველაფერს სასწავლო დაწესებულებებში მომუშავე ექთნები აგვარებდნენ. ასეთი წიგნაკის "მოკვარახჭინება" მათ 5 ლარად შეეძლოთ ისე, რომ შემოწმების გავლა არ დაგჭირდებოდა. ბეჭედი, ხელმოწერა - ყველაფერი ადგილზე იყო. მასწავლებელი თუ აღმზრდელი ჯანმრთელად ითვლებოდა, ოფიციალურად, რეალობისგან დამოუკიდებლად. ასე ჩაიარა გასულმა სასწავლო წელმა და პედაგოგებს, რომელთაც ეგონათ, წიგნაკომანია სახადივით მოვიცილეთო, წლეულს ისევ მოსთხოვეს ფული. ამჯერად სამი ლარი - ახლა მხოლოდ ბეჭედია საჭიროო.

თბილისის მერიაში აცხადებენ, რომ სასწავლო დაწესებულებებში მომუშავეთა სამედიცინო შემოწმებისთვის ფული წლეულსაც გამოიყოფა, მაგრამ საქმე მთლად აწყობილი ვერ არის. მოგეხსენებათ, კალენდარული წელიწადი სასწავლო წელს არ ემთხვევა და სასწავლო დაწესებულებების დაფინანსებაში ერთგვარი ლუფტი თავისთავად ჩნდება. ჩვენი მუდამ ნაკლული ბიუჯეტი მის მოცულობას კიდევ უფრო ზრდის. შარშანდელი შემოწმების დანაკლისი - 68500 ლარი, მერიამ წლეულს შეავსო, წლევანდელის ფული კი მხოლოდ 2003 წლის ბიუჯეტში იქნება გათვალისწინებული. მერიაში მიაჩნიათ, რომ ამით ბევრი არაფერი შავდება, რადგან შემოწმებას ერთწლიანი ვადა აქვს(?!) და წიგნაკებში გაკეთებული ჩანაწერები მომავალი წლის იანვრამდეა ძალაში.

სკოლების მასწავლებლებს წელიწადში ერთხელ სთხოვენ შემოწმებას, ბაგა-ბაღების აღმზრდელებს - ორჯერ. ბიუჯეტში მათთვის, შესაბამისად, 8,50 და 11,50 ლარია გამოყოფილი. ჯამში ამ სახის სამედიცინო შემოწმებას 144500 ლარი სჭირდება, მაგრამ ამდენი ერთად ქალაქს არასდროს არა აქვს. საქმეების "მომკვარახჭინებელთათვის" ეს კარგი მოტივაციაა - ექიმებს გაწეულ სამუშაოს დროულად ვერ უნაზღაურებენ, ე.ი. ჯიბეზე ხელის გაკვრა ყველა შემთხვევაში იქნება საჭირო და, არ ჯობია, ეს რიგში დგომის გარეშე გააკეთო? შენივე სამსახურში მისცემ ექთანს ფულს და ყველაფერს თვითონ მოგიგვარებს! მერე რა, რომ სახელმწიფო ინიციატივა "ფულის კეთების" პრიმიტიულ დონემდე ეშვება - სხვას რას ელოდით?!

სხვას არავინ არაფერს ელოდა და ამიტომაც არ ხმაურობენ სანიტარიული წიგნაკების თაობაზე ქართველი მასწავლებლები. ისინი მხოლოდ იმ 5 და 3 ლარზე წუხან (ისიც - ახლობლების წრეში), რომლის გადახდასაც ექთნები სთხოვენ. ერთი კითხვა კი უჩნდებათ: შემოწმებიდან შემოწმებამდე ავად რომ გავხდეთ, სანიტარიული წიგნაკი გვიშველისო? ლოგიკური კითხვაა. მით უმეტეს, რომ, მუნიციპალური პროგრამის მიხედვით, ქალაქის პირველ, მე-2 და მე-3 პოლიკლინიკებში მათ გინეკოლოგიური და ფლუროგრაფიული შემოწმება უნდა ჩაუტარდეთ. რაც უნდა იყოს, ხელისუფალთა ომახიანი განცხადება - ყველაფერი ბავშვების დასაცავად კეთდებაო, მორიგი ბაქიბუქი აღმოჩნდა. მორიგი ხმაური, რომელმაც უფროსები გვარიანად ახეირა.

## მოკლედ

**თბილისი.** ნოემბერში შიდსით კიდევ ერთი ადამიანი - 63 წლის თბილისელი მამაკაცი დაავადდა, ხოლო დაავადების გადამცემი გზა ინტრავენური ნარკომანია იყო, - იუწყებიან შიდსისა და ინფექციური პათოლოგიების ცენტრიდან. შიდსით ინფიცირებულთა და დაავადებულთა შორის ნარკომანების რიცხვი 70 პროცენტს შეადგენს. ინტრავენური ნარკომანია კი ამ დაავადების ძირითად გადამცემ გზად ითვლება. ამჟამად საქართველოში, ოფიციალურად, შიდსის 356 შემთხვევაა აღრიცხული. აქედან 249 ინფიცირებული ნარკომანია, უმეტესობა - 308 - მამაკაცია. თბილისში შიდსის 146 შემთხვევა გამოვლინდა. თუმცა, ეს მონაცემები არ ასახავს რეალობას, რადგან, ექსპერტთა ვარაუდით, შიდსით ინფიცირებულთა რიცხვი საქართველოში 1500-ს აღემატება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ნოემბრის მეორე ნახევარში იწყება გრიპისა და მწვავე რესპირატორული დაავადებების სეზონი, ხოლო ნოემბრის ბოლო რიცხვებში ეპიდემიოლოგები ამ დაავადებების ჯგუფურ შემთხვევებს ელოდებიან, თუმცა, გრიპის დიდი ეპიდემიები მაინც მოსალოდნელი არ არის. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ გრიპის ახალი ტიპის ვირუსი მსოფლიოში ჯერ არ არის გამოვლენილი და ვრცელდება, ძირითადად, იმავე ტიპის ვირუსები, რომლებიც შარშან და შარშანწინ იყო. საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, ამ დღეებში ძალაში შევა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ახალი ბრძანება, რომელიც გრიპით დაავადებულთა სწრაფ რეგისტრაციას ითვალისწინებს. სპეციალისტები აფრთხილებენ მოსახლეობას, თავი აარიდონ თვითნებურად წამლების მიღებას და ყველა შემთხვევაში ექიმს მიმართონ. არაპროფესიონალური მკურნალობა უამრავ გართულებას იწვევს. ყველაზე მეტად გრიპის გართულებები ბავშვებსა და მოხუცებს ემუქრება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისის ბაგრატის ტაძრის გალავანს სრული დანგრევის საფრთხე ემუქრება. ხშირმა წვიმებმა ტაძრის სამხრეთ ნაწილში განლაგებული XII საუკუნის დროინდელი სათათბირო დარბაზები და აღმოსავლეთ მხარის გოდოლი დააზიანა. ტაძრის ჩრდილოეთი კედელიც გაიხსნა. როგორც ბაგრატის ტაძრის საკოორდინაციო საბჭოს წევრმა ლევან ჯიქიამ თქვა, დაზიანებული ადგილები დაუყოვნებლივ შეკეთებას საჭიროებს. "თუ შესაბამისი ღონისძიებები არ გატარდება, საყრდენგამოცლილი სიძველეები, შესაძლოა, სულ მალე ჩამოინგრეს. თუ მაშველი არ გამოჩნდა, გაისად მსოფლიოს მხოლოდ ნანგრევების ნახვა მოუწევს" - აღნიშნა ჯიქიამ. 2003 წელს, იუნესკო-ს ეგიდით, გაერთიანებული ქვეყნის სიმბოლოს - ქუთაისის ბაგრატის ტაძრის აგებიდან 1000 წლის იუბილე აღინიშნება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მომავალ წელს სვანეთში დასრულდება ეთნოგრაფიული მუზეუმის მშენებლობა, - თქვა პრეზიდენტის რწმუნებულმა კოდორის ხეობაში ემზარ კვიციანმა. მისი განმარტებით, მუზეუმში თავს მოიყრის უნიკალური ექსპონატები - ხატები, საყოფაცხოვრებო ნივთები და ასე შემდეგ. ასეთი მუზეუმის შექმნა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში იყო დაგეგმილი, მაგრამ პროექტის განხორციელება მხოლოდ უკანასკნელ წლებში დაიწყო. მშენებლობის ხარჯების ნაწილი ბიუჯეტიდან იფარება, ხოლო ნაწილი - სხვადასხვა ფონდიდან. **პრაიმ-ნიუსი**

# თბილისის გაფერადება ჩიქოვანის ქუჩიდან დაიწყო

პირველი გვერდიდან

პირველ დღეებში კედელს ოცამდე სტუდენტი ხატავდა. მომდევნო დღეებში მოხალისეებს კიდევ ათი სტუდენტი შეემატათ. დღეს კი სამასმეტრიან კედელთან ორმოცდაორი, თავადაც საღებავებით გაფერადებული, მომავალი მხატვარი დგას. ზოგიერთს კედლის მხატვრობა ისე მოსწონებია, რომ ორი დილა მხატვრობაში დაათენდა. ნოემბრის ღამეში, სიცივის ასატანად, სტუდენტებმა ორი ბოთლი არაყი იყიდეს, თუმცა, როგორც ბუღაძე ირწმუნება, არავინ დამთვრალა.

მშენებარე უბნის მახლობლად მცხოვრებნი თავიდან "გადარეულ" მხატვრებს ეჭვით უყურებდნენ, ერთი-ორისთვის ქვაც კი უსვრიათ. მოგვიანებით, ეს "აგრესორები" მხატვრებს ხარაჩოებისა და საღებავების გადაადგილებაში ეხმარებოდნენ. ახლომახლო რამდენიმე ხეც დაურგავთ. "ძალიან მნიშვნელოვანია, როცა ადამიანები საკუთარი უბნისა და ქალაქის განახლებაზე იწყებენ ფიქრს, რაც დღეს იშვიათად ხდება. არ მეგულება მსოფლიოში ერი, რომელსაც საკუთარ ქალაქზე ამდენი სიმღერა ჰქონდეს და ასე უდიერად ექცეოდეს მას", - ამბობს არქიტექტორ-ურბანისტი ლადო ვარდოსანიძე. პოეტმა დათო მაღრაძემ ამ პარადოქსს ქალაქის აღვირახსნილი სიყვარული უწოდა.



აქციის ორგანიზატორები იმპროვიზირებულ პრესკონფერენციაზე.



აქციის ორგანიზატორებმა, ძველმა და ახალმა "კედლომანებმა", თუ, უბრალოდ, დამახინჯებული თბილისის გულშემატკივრებმა, უბნის ფენომენზე, ქალაქისა და ქუჩების სიყვარულზე გუშინ დიდხანს ისაუბრეს. შეხვედრის დასაწყისში, ერთ დროს პოპულარული გადაცემის, "კომუნიკატორის" წამყვანმა სერგი გვარჯალაძემ, ქუჩებისა და უბნების დღესასწაულის შემოღების ინიციატივა "შემოაგორა". "უკვე რამდენი წელიწადია, თბილისობა ტარდება. რატომ არ უნდა გვქონდეს ქუჩის ან უბნის დღესასწაული? მოვაწყობთ ქუჩებისა და უბნების კონკურსს, დაწესდება უამრავი ნომინაცია... სხვა ათასი კარგი რამის მოფიქრებაც შეიძლება. იმედი მაქვს, ამ ინიციატივას ავიტაცებთ და გაისად ქუჩის დღესასწაულსაც ვიზეიმებთ", - აღნიშნა გვარჯალაძემ, რომელსაც იმედი აქვს, რომ მსგავსი აქციებითა და ზეიმებით თბილისის იერსახის შენარჩუნება შესაძლებელი იქნება.

კედლის მხატვრობაზე უკვე ტონა-ნახევარი საღებავი დაიხარჯა. უსახელო უბანში, რომელსაც, გამორიცხული არ არის, მომავალში კედლის ან ჭრელი უბანი უწოდონ, სტუდენტები თავიანთ საქმეს 20 ნოემბერს დაასრულებენ. მეორე დღეს კი მოეწყობა მოხატული კედლის პრეზენტაცია და აუქციონი, რომელზეც სამოც ნაწილად "დაჭრილ" ბუღაძის ესკიზს გაყიდიან. შემოსული თანხა სამხატვრო აკადემიის ფონდში ჩაირიცხება.

# როგორ დავფაროთ ელექტროენერგიაზე ძველი დავალიანება?

*1999 წლის იანვრამდე მოსახლეობის მიერ ელექტროენერგიაზე არსებულ დავალიანებაზე, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ (სემეკ), გასული წლის ერთ-ერთი განკარგულებით, დროებითი მორატორიუმი გამოაცხადა. 1999 წლის ოთხი იანვრის შემდეგ წარმოქმნილ ვალებს კი თბილისელები ეტაპობრივად გადაიხდიან.*

ეთერ მამულაშვილი

სააბონენტო სექტორის იმ მომხმარებლებისთვის, რომლებიც სურვილს გამოთქვამენ, შესაძლებელია, მათზე რიცხული ელექტროენერგიის დავალიანება გარკვეულ პერიოდზე გადანაწილდეს. ამ ვალების რესტრუქტურიზაციის წესის შესახებ სემეკმა შარშან გამოსცა სპეციალური დადგენილება, რომლის მიხედვითაც, მოსახლეობას ვალის დასაფარავად, მაქსიმუმ, 22 თვე ეძლევა.

ვალის გადახდის პერიოდი შემდეგი ფორმულით განისაზღვრება. V : X = P, სადაც V არის აბონენტის 1999 წლის 4 იანვრის შემდეგ დაგროვილი დავალიანების მთლიანი რაოდენობა ლარებში, X არის უკანასკნელი სამი თვის მანძილზე აბონენტის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საშუალო თვიური ხარჯი, გამრავლებული, მიმდინარე პერიოდში მოქმედ ტარიფზე, ხოლო P - ვალის გადახდის პერიოდი.

დავუშვათ, აბონენტის 1999 წლის 4 იანვრის შემდეგ დაგროვილმა დავალიანებამ შეადგინა 300 ლარი, ხოლო უკანასკნელი სამი თვის მანძილზე აბონენტის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საშუალო თვიური ხარჯის ნამრავლი მიმდინარე ტარიფზე არის 25. ეს იმას ნიშნავს, რომ აბონენტმა 300 ლარის დავალიანება თორმეტ თვეში უნდა დაფაროს (300:25=12).

აბონენტის დავალიანების ყოველთვიური გადასახადი კი ასეთი წესით გამოიანგარიშება: V : P. ანუ, თუ დავალიანება არის 300 ლარი და გადახდის პერიოდი - 12 თვე, ამ წესის მიხედვით, აბონენტს, ყოველთვიურად, 25 ლარის გადახდა მოუწევს. ამას ეწოდება ძველი დავალიანების ყოველთვიური ულუფა, რომლის გადახდა გრძელდება ვალის სრულად ამოწურვამდე. ყოველთვიურ ულუფასთან ერთად, მომხმარებელი მიმდინარე დავალიანებასაც იხდის.

იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი ვერ ახერხებს ყოველთვიური ულუფის სრულად დაფარვას, ან ვერ ეტევა დავალიანების დაფარვის მისთვის დადგენილ პერიოდში, ის წერს განცხადებას და, ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის შუამდგომლობით, აბონენტს დავალიანების დაფარვის პერიოდი მისთვის სასურველ ვადამდე უხანგრძლივდება.

1999 წლის შემდეგ დაგროვილი დავალიანების ამ წესით დაფარვის შემთხვევაში, მომხმარებელი "ეი-იეს თელასთან" შესაბამის ხელშეკრულებას დებს.

თუ მომხმარებელი და "ეი-ი-ეს თელასი" ვერ შეთანხმდნენ დავალიანების რესტრუქტურიზაციის თაობაზე, ან მომხმარებელი დაარღვევს რესტრუქტურიზებული დავალიანების გადახდის პირობებს, მას შეუწყდება ელექტროენერგიის მიწოდება.

# ხელები შორს შავი ზღვის დელფინებისგან!

*გასული კვირა იმით დაიწყო, რომ ჭიათურა ეპიდემიის საშიშროების წინაშე დადგა. სამ წელიწადზე მეტია, ამ ქალაქში წყალი არ დაქლორილა და სანიტარიულმა სამსახურებმა დაუფარავად განაცხადეს, A ჰეპატიტის ზღურბლზე ვართო. შუა კვირაში თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში ადამიანი ცოფით გარდაიცვალა.*

მაკა ჯაიანი

ღვთის წყალობით, სხვა რამეებიც მოხდა. მაგალითად, დედაქალაქის ოთხმა სტაციონარმა დიაბეტის საერთაშორისო დღეს უფასო კონსულტაციები უძღვნეს. საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებში კი პაციენტთა უფლებების დამცველის ინსტიტუტი ამოქმედდა. ქართველებისთვის ეს ახალი ხილია და, თუ ჯანმრთელობის სფეროში არსებულ დარღვევათა რაოდენობას გავითვალისწინებთ, ჩვენს საზოგადოებას მისი კარგად დაგემოვნება მოუწევს. მთავარია, "თეთრხალათიანმა ომბუდსმენებმა" "ახალი ცოცხის" პრინციპით არ იხელმძღვანელონ.

დღე დღეს მისდევს, წელი მიწურვისკენ მიდის და ელექტრომომარაგების საკითხი თანდათან პირველი რიგის პრობლემათა კენწეროსკენ ინაცვლებს. გასულ კვირაში საზოგადოება "ვარკეთილმა" რაიონის მოსახლეობა თელასის წინააღმდეგ გამოიყვანა. მათ მოთხოვნას ერთგვარი ბანი მისცეს ლეიბორისტებმა და ელექტროენერგიის ტარიფის შემცირებაზე ალაპარაკდნენ. მეორე, რის გაკეთებასაც ლეიბორისტები საკრებულოს სახელით აპირებენ, მოსახლეობისთვის უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარებაა, - ის, რასაც შალვა ნათელაშვილი ორი წლის წინათ დაგვპირდა.

წლევანდელი არჩევნების ფონზე, ლეიბორისტების ლიდერი ახალგაზრდებს უფასო ინტერნეტს ჰპირდება, განახლებული საკრებულოს მიერ საიმპიჩმენტოდ გამზადებული ქალაქის მერი კი - გაყინული სასწავლო დაწესებულებების უახლოეს დღეებში გათბობას. გაცილებით რთული საგანმანათლებლო ვითარება იყო გასულ კვირაში ზუგდიდში: იქ 15-ივე სკოლის პედაგოგები სახელფასო დავალიანების გასტუმრების მოთხოვნით გაიფიცნენ. ქალაქისა და მხარის გამგებლებსა და ფინანსურ ხელმძღვანელებს ამან ერთმანეთის ლანძღვის სტიმული მისცა.

გასულ კვირაში საზეიმოდ გაიხსნა განათლების სამინისტროს განახლებული შენობა. მის პრეზენტაციას თვით ედუარდ შევარდნაძეც ესწრებოდა. იქამდე ქვეყნის პრეზიდენტმა ბორჯომის ტყეებისთვისაც მოიცალა და, მათი უკანონოდ ჭრის აღსაკვეთად, სპეციალური სამთავრობო კომისია შექმნა. რიგით მერამდენეა ეს კომისია, ძნელი დასათვლელია, თუმცა, უკანასკნელი რომ არ არის, ფაქტია. მისი დაბადება ბოლომდე გაფორმებული არც იყო, შევარდნაძემ კიდევ ერთი სამთავრობო კომისია რომ მოუვლინა ქვეყანას - ამჯერად, უნარშეზღუდული ადამიანების პრობლემატიკის განსახილველად.

ეს უნარშეზღუდულ ადამიანთა ორგანიზაციების კოალიციის მიერ გასულ ხუთშაბათს გამართულ ფორუმზე მოხდა. იქ შეკრებილი 3000-მდე ინვალიდი სახელმწიფოს ჯეროვან ყურადღებას და ცხოვრების ელემენტარული პირობების შექმნას სთხოვდა. უმაღლესმა ხელისუფალმა მათ ყურადღებით მოუსმინა, რაღაცები მოინიშნა, რაღაცებს დაჰპირდა კიდეც, მაგრამ, ასი პროცენტით, - მხოლოდ სამთავრობო კომისიის შექმნას. საინტერესო სანახაობა იყო - დამსწრეები პრეზიდენტს ტაშით მიაცილებდნენ ტრიბუნამდე და უკან, მის დანაპირებს კი ქილიკით ისმენდნენ.

რაც შეეხება წვრილმანებს. გასულ კვირაში დედაქალაქის სანიტარიულმა სამსახურებმა თბილისში 99 არალეგალური ნაგავსაყრელი აღმოაჩინეს; სავაჭრო ქსელიდან ისევ ამოიღეს ჯანმრთელობისთვის საშიში კვების პროდუქტები; საქართველოს დელეგაციამ კი, სანქტ-იაგოში გამართულ მე-12 კონფერენციაზე, რომელიც იშვიათი ჯიშის ცხოველებითა და მცენარეებით ვაჭრობის კონვენციას ეხებოდა, შავი ზღვის დელფინებით ვაჭრობის სრული აკრძალვა მოითხოვა. ზუსტად ისეა ჩვენი საქმე, როგორც ძველ ანდაზაში - შინ მოყვარეს ვუფსებთ თვალს და გარეთ - მტერს.

# „ასტრა დილომის„ ახალი საპარტნიორო დავა

## დაშინებული ყოფილი ინვესტორი ყოფილ პარტნიორებს ებრძვის

*საქართველოში კომპანია “ბმვ”-ს მთავარი იმპორტიორი ფირმა “ასტრა-დილომი” ახალ სკანდალში გაება. ფირმის ყოფილი ინვესტორი თამაზ შაფათავა ყოფილ პარტნიორებს “ასტრა დილომის” ქონების დატაცებაში ადანაშაულებს. თუმცა, როგორც ირკვევა, ბრალმდებლად ქცეული ყოფილი პატიმრის მოთხოვნით აღძრულ საქმეს საფუძვლად ცრუ ჩვენებებით ხელოვნურად შეთითხნილი მოტივი უდევს. ამ მოტივით კანონდამცველები არც კი დაინტერესებულან.*

ინგა ალავიძე

**“საქართველოს ომბუდსმენი თავისი მოქალაქეების უფლებებს უნდა იცავდეს და - არა პირიქით, მას საფუძვლიანად უნდა შეესწავლა საქმე და შემდეგ გაეცა მითითება,”** – ამბობს შპს “ასტრა დილომის” ერთ-ერთი დამფუძნებელი, რომელიც, პირადი დაინტერესების გამო, ახლა, ფაქტობრივად, დევნილის როლშია.

საზოგადოებისთვის შპს “ასტრა დილომის” სახელი ორი წლის წინ ატეხილი სამართლებრივი სკანდალის შემდეგ გახდა ცნობილი, უფრო ზუსტად - უშიშროების სამინისტროს მიერ მისი ერთ-ერთი დამფუძნებლის თამაზ შაფათავას, კონტრაბანდისტობის ბრალდებით, დაპატიმრების შემდეგ.

“ასტრა-დილომის” შიდა სამზარეულოს სასამართლო სამსჯავროზე გამოტანა ფირმის პარტნიორებს შორის დაწყებული უთანხმოებით დაიწყო. ფირმის შემქმნელ გია კიკაბიძესა და თამაზ შაფათავას კონფლიქტის ძირითადი მიზეზი თამაზ შაფათავას მიერ პირობის შეუსრულებლობა გახდა. საქმე ისაა, რომ შაფათავა “ასტრა-დილომში” ინვესტორის სტატუსით მივიდა, მაგრამ, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, - **“არსებული საბუთების საფუძველზე, ერთობლივი საწარმო “ასტრა ინტერნეიშნლის” (შემდგომში თ. შაფათავას) მიერ საქართველოში ინვესტიციების განხორციელება არ დადასტურდა.”** ასე დაასკვნა კონტროლის პალატის მაშინდელმა თავმჯდომარემ რევაზ შავიშვილმა, მას შემდეგ, რაც მისმა სამსახურმა, უშიშროების სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე, “ასტრა დილომში” უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და მოძრაობის კანონიერება შეამოწმა. კონტროლის პალატამ თავის დასკვნაში თამაზ შაფათავას მიერ 134 ათას 126 დოლარის ღირებულების უცხოური ინვესტიციის შესახებ აღებული ლიცენზია, ფაქტობრივად, უკანონოდ მიიჩნია. ერთი სიტყვით, დავის სერიოზული საფუძველი არსებობდა და თამაზ შაფათავას საქმიანობით უშიშროების სამინისტროც დაინტერესდა.

“ასტრა დილომის” დამფუძნებელთა შორის დაწყებული კონფლიქტი ახალ ფაზაში შევიდა. სულ ცოტა ხნის წინ თბილისის პოლიციის სამმართველომ საქართველოს ომბუდსმენის მითითება მიიღო. სახალხო დამცველი კანონდამცველებს თამაზ შაფათავას საჩივრის მოკვლევას ავალებდა. საქმე ისაა, რომ პატიმარყოფილი ყოფილ პარტნიორებს ფირმის ქონების მითვისებაში ადანაშაულებს. “ასტრა დილომის” დამფუძნებლის გია კიკაბიძის პირადი წარმომადგენელი მარინე ჯინჭარაძე, რომელმაც თამაზ შაფათავას სამოქალაქო საქმის 24 პროცესი მოუგო, თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში დაკითხვაზეა დაბარებული. ჩვენი მონაცემებით, გამომძიებელი ამბროს დალაქიშვილი მის ბრალდებულად გამოცხადებას აპირებს. გავრცელებული ინფორმაციებით, პატიმრობიდან გათავისუფლებული თამაზ შაფათავა ძველ პარტნიორებს დამუქრებია, - საკანში, სადაც მე ვიყავი, გია კიკაბიძესა და მარინე ჯინჭარაძეს ჩავსვამო. ამბობენ იმასაც, რომ შაფათავა მოსყიდული მოწმეების მიერ დაწერილი ყალბი ჩვენებებით იმაგრებს პოზიციებს. ეს ინფორმაცია ჩვენთან საუბარში “ასტრა დილომის” ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა გოგი ნინიძემ დაადასტურა. სხვათა შორის, ექსგენერალური დირექტორი, რატომღაც გამომძიებას ჯერ არ დაუკითხავს. არადა, თამაზ შაფათავას მიერ გია კიკაბიძისა და მარინე ჯინჭარაძისათვის წაყენებული პრეტენზიები სწორედ იმ პერიოდს ეხება, როცა გოგი ნინიძეს ფირმაში პასუხისმგებელი თანამდებობა ეკავა. “ჩემს მიერ ნათქვამი თითოეული ფრაზის დოკუმენტურად გამაგრება შემიძლია. ერთი ჩვევა მაქვს, სადაც ვმუშაობდი, უბრალო დოკუმენტაციასაც კი ყოველთვის ვინახავდი, ამიტომაც ჩემი სიტყვების უკან იურიდიული დოკუმენტაციაა,” – “24 საათთან” საუბრისას განაცხადა გოგი ნებიერიძემ

**- ბატონო გოგი, კონტროლის პალატის დასკვნაში ნათქვამია, რომ თამაზ შაფათავას “ასტრა დილომში” ინვესტიციები არ შეუტანია. ანუ, კონტროლის პალატამ, ფაქტობრივად, დაასკვნა, რომ შაფათავა ინვესტორი არ იყო.**

- დიახ, ასე მოხდა. უცხოური ინვესტიციების შესახებ კანონს გარკვეული მოთხოვნები აქვს, რის საფუძველზეც უნდა გაკეთდეს ლიცენზია. მაგრამ, ჩემი აზრით, შაფათავას შემთხვევაში ლიცენზია უკანონოდ დაიშვა. ლიცენზიაში განსაზღვრული იყო ინვესტიციის თანხა და ინვესტორის წილი. საქმე ისაა, რომ ამ პერიოდში კიკაბიძე პარტნიორთა რიგებიდან გარიცხული იყო და შაფათავამ კიკაბიძის წილი( 25 პროცენტი) დაუმატა თავის წილს, რის საფუძველზეც ლიცენზია აიღო. ეს პროცედურა უკანონოდ ჩატარდა, რადგან გარიცხული პარტნიორის წილის რეკვიზიციის უფლება არავის აქვს.

**- რატომ გარიცხეს პარტნიორობიდან გია კიკაბიძე?**

- ფირმაში სამუშაოდ 1994 წელს მივედი. დამხვდა დოკუმენტაცია, საიდანაც ნათლად ჩანდა, რომ პარტნიორებს შორის ინტენსიური დავა მიმდინარეობდა ერთ საკითხზე - ინვესტიციების ჩადებაზე. ჩემი მუშაობის პერიოდში კიკაბიძეს შაფათავასადმი შემდეგაც სერიოზული პრეტენზიები ჰქონდა იმასთან დაკავშირებით, რომ ის, როგორც ინვესტორი, თავის მოვალეობას არ ასრულებდა - ფირმაში არ ხდებოდა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. არადა, როცა ფირმა ჩამოყალიბდა, შედგა სადამფუძნებლო ხელშეკრულება და ოქმი განზრახვის შესახებ, სადაც კოკნრეტულად იყო განსაზღვრული, თუ ვის რა მოვალეობა ეკისრებოდა. შაფათავას, როგორც ინვესტორს, ფირმის განვითარებისათვის უცხოური ინვესტიციები უნდა მოეზიდა, თუ არ ვცდები, 200 ათასი უნდა ჩაედო, რაც არ მომხდარა.იგი, ძირითადად, კრედიტების აღებით იყო დაკავებული.

**- არსებული მონაცემებით, თამაზ შაფათავამ სოლიდური კრედიტები აიღო.**

- როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ფირმის მაშინდელი გენერალური დირექტორი შაფათავას მითითებით იღებდა კრედიტებს. კრედიტების აღება მუშაობის დაწყების პირველი დღეებიდანვე ხდებოდა. აღებულ ვალს, თავის პროცენტით, რა თქმა უნდა, ფირმა ისტუმრებდა. ზოგ შემთხვევაში სრულიად გაუმართლებელი კრედიტების აღებაც ხდებოდა - ძალიან მაღალი პროცენტებით, შეიძლება ითქვას - კაბალური პირობებითაც კი. ამიტომაც კიკაბიძე მუდმივად ეუბნებოდა შაფათავას, - კრედიტს მეც ავიღებდი, ინვესტიციას დაგვპირდი და ინვესტიციები მოიტანე - ის, რისი ვალდებულებაც გაკისრიაო.

**- სწორია თუ არა ინფორმაცია, რომ თამაზ შაფათავას ანუ - ”ასტრა დილომს”, რომელსაც სოლიდური შემოსავლები ჰქონდა, პარტნიორებისთვის დივიდენდები არ მიუცია?**

- ეს ძალიან საინტერესო დეტალია. მე რამდენიმე წელიწადი ვიმუშავე ფირმაში და იქ დივიდენდი არ გაცემულა. პირადად მე ძალიან ხშირად ვეუბნებოდი შაფათავას, ფირმა მუშაობს, დამფუძნებლებს დაინტერესება უნდა ჰქონდეთ-მეთქი. ამას ყველას გასაგონად ვამბობდი. მოგება 100 ლარიც რომ ყოფილიყო, დამფუძნებელთა შორის უნდა განაწილებულიყო, რაც არ მომხდარა.

**- არსებობს მასალები იმის შესახებაც, რომ თამაზ შაფათავამ დივიდენდებით “ბმვ”-ს მარკის ორი მანქანა ჩამოიყვანა.**

- გეტყვით, როგორც მოხდა. “ასტრა-დილომი” “ბმვ”-ს მთავარი იმპორტიორი იყო - ავტომანქანებისა და სათადარიგო ნაწილების მოწოდებას ახდენდა. ეს პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობდა. როგორც მთავარ იმპორტიორს, “ბმვ” “ასტრა-დილომს” შეღავათებს უწევდა, ვაჭრობის შედეგად მოპოვებული გარკვეული თანხები ბმვ-ს ანგარიშზე აკუმულირდებოდა. ეს თანხები ფირმის მოგება იყო, რომლითაც შემდეგ ორი ავტომანქანის შეძენა მოხდა. არადა, პრაქტიკულად, ეს შემოსავალი ჩვენს ანგარიშზე უნდა დარიცხულიყო. ჩემი აზრით, ეს ოპერაციაც უკანონოდ ჩატარდა.

**- “ასტრა დილომში” დაბრუნებულმა თამაზ შაფათავამ ფირმას ყადაღა ახსნა და აღწერა ჩაატარა. თქვენ გენერალური დირექტორი იყავით, თუ ესწრებოდით ამ პროცედურას?**

- ჩემთვის გაურკვეველი მიზეზებით, ფირმაში პირველად ჩემს გარეშე შევიდნენ, არადა, ფირმაში პირველი მე უნდა შევსულიყავი. რადგან მე გენერალური დირექტორი, მატერიალურად პასუხისმგებელი პირი ვიყავი, ინვენტარიზაცია ჩემი თანდასწრებით უნდა მომხდარიყო. მოგვიანებით გასაგები გახდა, რატომაც შევიდა შაფათავა ფირმაში ჩემს გარეშე. მე რამდენიმე დღის დაგვიანებით დამიძახეს, მაგრამ იქ გარკვეული “სამუშაო” უკვე ჩატარებული იყო თანამშრომლებთანაც და, ჩემი ვარაუდით, ფირმის ქონების გატანის მხრივაც. ყველა საფუძველი მაქვს, რომ ასე ვიფიქრო. სხვათა შორის, ფირმიდან ჩემი წამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს გახდა. ჩემსა და შაფათავს შორის კონფლიქტი წარმოიშვა, რადგან იგი იმუქრებოდა, - კიკაბიძე-ჯინჭარაძე უნდა მოვთხარო, ციხეში ჩემს ადგილას ჩავსვაო და ა.შ. ფირმაში შემოსვლის პირველივე დღიდან მან ეს მიზნად დაისახა. არაერთხელ ვუთხარი, - ორჯერ უკვე იყავი დაპატიმრებული და ამ გზას ისევ რატომ აგრძელებ -მეთქი. ასეთი საუბარი ჩვენს შორის ბევრჯერ შედგა.

**- თქვენ რატომღა წამოხვედით ფირმიდან?**

- გითხარით, ერთ-ერთი მიზეზი იყო კიკაბიძე-ჯინჭარაძისადმი შაფათავას დამოკიდებულება. ფირმაში აუტანელი სიტუაცია შეიქმნა - თანამშრომლები ტერორში იყვნენ, რომ იტყვიან, მათი სერიოზული დამუშავება მიდიოდა. ამ ხალხს მატერიალურად ძალიან უჭირს და შაფათავამ მათი დაყოლიება ადვილად შეძლო. დარაჯებს კაბინეტში იბარებდა და აფრთხილებდა, თუ რა ჩვენება უნდა მიეცათ მათ - რა დაეწერათ კიკაბიძისა და ჯინჭარაძის წინაალმდეგ. ერთი დარაჯი, გვარად ჩიკვილაძე, შეთავაზებაზე რომ ვერ დაიყოლია, სამსახურიდან გაათავისუფლა კიდეც, მაგრამ შემდეგ დააბრუნა, რადგან შეთანხმება შედგა. შეწუხებული თანამშრომლები ჩემთან შემოდიოდნენ და რჩევას მეკითხებოდნენ.

**- კონკრეტულად, რას ითხოვდა შაფათავა დარაჯებისგან - რა ჩვენება უნდა დაეწერათ მათ?**

- რომ კიკაბიძემ და ჯინჭარაძემ დალუქული საწყობები გახსნეს და ფირმის ქონება მიიტაცეს.

**- მსგავსი რამ თქვენთვის არ შემოუთავაზებია?**

- რა თქმა უნდა, მითხრა, - ამ საქმეს მე მოვუვლი, უნდა დამეხმაროო. ფირმიდან ჩემი წამოსვლის მიზეზი ესეც გახდა - ასეთ რამეს ვერ ვიკადრებდი.

**- ცნობილია, რომ თამაზ შაფათავამ თქვენც გიჩივლათ.**

- დიახ, მას შემდეგ, რაც მასთან გარიგებას არ დავეთანხმე და ფირმიდანაც წავედი, მან აღმოაჩინა, რომ თურმე დატაცებული მქონდა 63 ათასი ლარი. მაგრამ პარადოქსი რა იყო, იცით? შაფათავას ბრალდებით, დატაცებას 1994 წლის ოქტომბერში შევუდექი, არადა, ფირმაში 1994 წლის დეკემბერში დავიწყე მუშაობა. თვეების მანძილზე დავდიოდით პოლიციის მთავარ სამმართველოში დაკითხვებზე მე და ყოფილი ბუღალტერი, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. შაფათავასთან ერთი დავა ცოტა ხნის წინ მოვიგე, როცა აღმადგინეს, მას ჩემი ორი წლის საზღაური - ხელფასი მოვთხოვე. მიმართე “სუდსო,” – ასე მითხრა. მეც მივმართე “სუდს” და ეს საქმეც მოვიგე. შემდეგ მან საბოლოო ანგარიშსწორება და შრომის წიგნაკი არ მომცა, კვლავ გავითვალისწინე მისი რჩევა და “სუდს” მივმართე. ახლა დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლო ამ საკითხს იხილავს. ხელოვნურად შეთითხნილი მოწმეების მეშვეობით მის მიერ წამოწყებული მორიგი დავის ობიექტებად ახლა კიკაბიძე და ჯინჭარაძე იქცნენ.

# ბალიზე მომხდარი ტერაქტის შემსრულებელთა ვინაობა ცნობილია

ინდონეზიის პოლიციამ გამოაქვეყნა ბალიზე მომხდარი ტერაქტის ორგანიზატორთა და შემსრულებელთა ფოტო-რობოტები. ერთ-ერთი მათგანი – იმამ სამუდრა ტერორისტთა ჯგუფის ლიდერია. პოლიციის მთავარი გამომძიებლის თქმით, მათ ეჭვი აქვთ, რომ სამუდრას მჭიდრო კავშირი აქვს ისლამურ გასამხედროებულ დაჯგუფება “ჯემა ისლამიასთან” და ბალიზე ორი ღამის კლუბის აფეთქება სწორედ მისი დაგეგმილი და განხორციელებულია. პოლიციელთა განმარტებით, გამოძიებამ ეჭვმიტანილთა შესახებ ბალის აფეთქებების გამო დაკავებული ერთადერთი ადამიანის – ვინმე ამროზისგან შეიტყო.

დღეს ინდონეზიის პოლიციას უკვე შეუძლია იმის თქმა, რომ სამუდრა, რომელიც, ძირითადად, თვალებზე ჩამოფხატული ქუდითა და კომპიუტერით დადის, აფეთქებიდან ოთხი დღის განმავლობაში ბალიზე იმყოფებოდა და საკუთარი მოღვაწეობის შედეგებს თვალ-ყურს ადევნებდა. მეტიც, გამოძიება დარწმუნებულია, რომ სწორედ სამუდრას ჯგუფის ხელი ერია 2000 წელს მომხდარ ეკლესიების აფეთქებებში. პოლიცია ჯერ კიდევ ვერ ადასტურებს მის კავშირს “ჯემა ისლამიას” ან “ალ-ქაიდასთან”, სამაგიეროდ, ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ დაწვრილებით შეუძლიათ ბალიზე მომხდარი აფეთქებისთვის მზადების სურათის და დამნაშავეთა კონკრეტული როლების შესახებ საუბარი. მათი ინფორმაციით, იმამ სამუდრა კუნძულ იავას მკვიდრია, თუმცა, ის ხშირად ჩადიოდა ავღანეთში, სადაც მან, გამოძიების აზრით, ბომბების დამზადებაც ისწავლა.

ყურადსაღებია, რომ გამოძიების დეტალების გამოქვეყნებას საზოგადოება ჟურნალისტებს უნდა უმადლოდეს. ინდონეზიის პოლიციამ საგამოძიებო მიღწევები მხოლოდ მას შემდეგ გაამხილა, რაც, ამროზის საჯაროდ დაკითხვის გამო, ჟურნალისტების მკაცრი კრიტიკა დაიმსახურა. ჟურნალისტების აზრით, ცინიკურად განწყობილი ამროზის ერთსაათიანი საჯარო დაკითხვა ის წარმოდგენა იყო, რომელმაც საეჭვო გახადა გამოძიების მუშაობა და ავსტრალიის ხელისუფლებას (ბალიზე აფეთქებისას, ძირითადად, ავსტრალიელები დაიხოცნენ) მკაცრი განცხადებების გაკეთების საფუძველი მისცა.



ტერაქტის ორგანიზატორთა და შემსრულებელთა ფოტო-რობოტები.

## მოკლედ

**თბილისი.** შესაძლებელია, ნანა დევდარიანი დაკითხონ ჩეჩნების პროცესზე, რომელიც 18-22 ნოემბერს შედგება ევროპის ადამიანთა უფლებების სასამართლოში. საქართველოს სახალხო დამცველმა 13 ჩეჩენი მებრძოლის რუსეთში ექსტრადიციის საქმესთან დაკავშირებით რამდენიმე დღის წინ წერილი მისწერა ევროპის სასამართლოს პრეზიდენტს. წერილში აღნიშნული იყო, რომ ჩეჩენი მებრძოლების რუსეთში ექსტრადიციის მასალებში, რომელიც რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ ქართველ კოლეგებს გამოუგზავნა, სერიოზული დარღვევები აღინიშნება - ანუ არ მომხდარა დაკავებულთა იდენტიფიკაცია, მასალებში არ არის მითითებული ჩეჩნების ნამდვილი სახელი და გვარი და სხვადასხვა სისხლის სამართლის დანაშაულებებში მათი მონაწილეობის დამამტკიცებელი დოკუმენტაცია. "წერილში აღვნიშნე, რომ ქართულმა მხარემ 5 ჩეჩნის ექსტრადიციის გადაწყვეტილება რუსეთიდან პოლიტიკური ზეწოლის გამო მიიღო," - განაცხადა დევდარიანმა და დასძინა, რომ წერილში ისიც მითითებულია, რომ ჩეჩნების საქმის განხილვის დროს თუ ევროპის სასამართლოს დევდარიანის დაკითხვის სურვილი ექნება, იგი პროცესში მონაწილეობას მიიღებს. **“კავკას-პრესი”.**

■ ■ ■

**თბილისი.** ჩეჩენი საველე მეთაური რუსლან გელაევი თავის რაზმს რუსეთში ფართომასშტაბიანი დივერსიული ოპერაციის განსახორციელებლად ამზადებს. ამასთან, როგორც რუსეთის სპეცსამსახურების სარწმუნო წყაროები აცხადებენ, ამჯერად ექსტრემისტების სამიზნედ , შესაძლოა, რუსეთის მთავარი კურორტი – სოჭი იქცეს. სპეცსამსახურები მოვლენების განვითარების ამ ვარიანტს ასე განიხილავენ – დასაშვებია, რომ გელაევმა თავის რეიდი სოჭში შესაჭრელად აფხაზეთის ტერიტორიიდან განახორციელოს. როგორც კავკას-პრესს საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტიდან აცნობეს, აფხაზეთის მთიან რაიონებში ამჟამად შენიშნულია შეიარაღებული პირების გამოჩენის ფაქტები. თბილისში თვლიან, რომ, შესაძლებელია, ეს ჩეჩენი ბოევიკები იყვნენ, რომლებიც აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის მხარდაჭერით სარგებლობენ და დახმარებას უწევენ მათ. ჩეჩენი საველე მეთაურები ხშირად კიცხავდნენ გელაევს იმის გამო, რომ ის საქართველოში იმალება მაშინ, როცა სხვები იბრძვიან. იჩქერიის პრეზიდენტმა ასლან მასხადოვმა მას ბრიგადის გენერლის წოდებაც კი ჩამოართვა, რამაც სულაც არ იმოქმედა მის ავტორიტეტზე. მასხადოვის ნაბიჯი არც გელაევის მომხრეთა ფინანსურ უზრუნველყოფაზე ასახულა. თურქული ფონდის "ხოჯავირთის" დახმარებით, გელაევმა მარტში სოლიდური კრიმინალური წარსულის მქონე ჩეჩენი ბიზნესმენის ხოჟ-ახმედ ნუხაევისაგან 500 ათასი დოლარი მიიღო. ის მჭიდროდაა დაკავშირებული გელაევთან, აზერბაიჯანში ჩეჩნების დიასპორას ხელმძღვანელობს და ბიზნესშიც აქტიურადაა ჩართული. ამ დროისათვის გელაევის მრავალრიცხოვანი რაზმი არც ჩეჩნეთის და არც საქართველოს ტერიტორიაზე რაიმე აქტიურ ქმედებებს არ მიმართავს. მაღალპროფესიონალი მეომრები ძალებს იკრებენ და შეიარაღებულ შეტაკებებს თავს არიდებენ. სპეცსამსახურები მსგავს სიჩუმეს გელაევისგან დაგეგმილი, ახალი ფართომასშტაბიანი ოპერაციებისათვის მზადებად აღიქვამენ. **“კავკას-პრესი”.**

# ვის და რატომ ეშინია ხობელი მხედრიონელების გათავისუფლების

*რამდენიმე დღეც და ყველა მებრძოლი პატიმრისათვის ნანატრი შეწყალების დღეც მოახლოვდება. ვის გაუღიმებს ბედი და ვის გადახედავს პრეზიდენტი მოწყალე თვალით, წინასწარ არავინ იცის. თუმცა, იმედი ყველას აქვს - განურჩევლად დანაშაულისა.*

*“ჩვენ ხელში იარაღი გვეჭირა და ვიბრძოდით. ომს თავისი დაუწერელი კანონები აქვს, რასაც თბილ კაბინეტში მჯდომნი ვერ გაიგებენ. დამშვიდნენ, აღარ ვართ საშიშები. ციხეში იმაზე მეტ ხანს ვისხედით, ვიდრე გვეკუთვნოდა. ვინც ჩვენზე დიდი დამნაშავე იყო, მაგრამ პატრონი ჰყავდა, ხომ გაუშვეს. ახლა დროა, ჩვენ გაგვათავისუფლონ”, - ამბობენ საპატიმროებში დარჩენილი მეომრები.*

*მაგრამ მათი სიტყვები ხშირად ჰაერში რჩება, რადგან შეწყალებასაც თავისი კანონები აქვს, რომელსაც კაბინეტებში ადგენენ.*

თამარ კაციტაძე

**“სავარაუდოდ, შეწყალების აქტი მომავალ კვირაში გამოქვეყნდება.**

**დღეისათვის შეწყალების კომისიაში 243 მებრძოლი მსჯავრდებულის მასალაა წარდგენილი, მაგრამ რამდენიმე თვის განმავლობაში მათი შესწავლა ბოლომდე ვერ მოხერხდა. ამიტომ, ამჯერად პრეზიდენტს სულ 176 პატიმრის საქმე გადაეცემა. მათ შორის ყოფილი მეომარი მხოლოდ 120–ია. დანარჩენების სიას პრეზიდენტს უახლოეს მომავალში გადავცემთ”,** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში შეწყალების კომისიის წევრმა ელენე თევდორაძემ.

მისივე ინფორმაციით, მომავალ კვირას არ გაათავისუფლებენ ხობის მხედრიონის ოთხ წევრს – სოსო ლატარიას, თამაზ ჩინჩალაძეს, ვალერი ბერაიას და ირაკლი ქაჯაიას, რადგან მათი გვარები იმ 176-კაციან სიაში არ არის, რომელიც შევარდნაძისთვის მომზადდა. ქვეყნის პირველ პირს მხოლოდ ილია ქაქუციას საქმე გადაეცემა. შეელევა თუ არა პრეზიდენტი ხობელ მხედრიონელს, ძნელი სათქმელია, რადგან, როგორც თავად ხობელი პატიმრები აღნიშნავენ, და ამას არც ელენე თევდორაძე უარყოფს, ამ ხალხისადმი რაღაც განსაკუთრებულად უარყოფითი დამოკიდებულება არსებობს.

**“შვიდი წელია, რაც შეწყალების კომისიაში ვარ. ყოფილა შემთხვევები, როდესაც კომისიას ამა თუ იმ პატიმრის შეწყალებაზე უარი უთქვამს, მაგრამ ხშირად პრეზიდენტი საკუთარი ინიციატივით, ამ ხალხს მაინც იწყალებს ხოლმე. არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე პატიმრის მასალა შესაწყალებლად შევარდნაძისთვის გადაგვეცა და მას უარი ეთქვა. ერთადერთი იყო ხობის მხედრიონის უფროსი სოსო ლატარია. საოცარია ისიც, რომ დღემდე არ ვიცით მიზეზი - რატომ არ შეიწყალა ლატარია პრეზიდენტმა. შევარდნაძის ასეთ გადაწყვეტილებას ახსნა ვერც რისმაგ გორდეზიანმა მოუძებნა - ანუ ეს იმდენად მნიშვნელოვანი საიდუმლოა, რომ კომისიის წევრებმაც არ უნდა ვიცოდეთ,”** – გვითხრა ელენე თევდორაძემ.

და მაინც, ვინ არიან ხობელი მხედრიონელები და ვის უნდა ეშინოდეს მათი თავისუფლების.

**“ჩვეულებრივი ქართველი ვიყავი. ჩემი წილი ფულიც მქონდა და სახელიც. მხედრიონელი იმიტომ გავხდი, რომ მჯეროდა, ქვეყანას ასე სჭირდებოდა და შევარდნაძეს დავუდექი გვერდით. სიმართლე გითხრათ, ახლაც არ შემიცვლია პოზიცია, მაგრამ ვილაცეებს ჩემი ეშინიათ და პრეზიდენტს ტყუილ ინფორმაციებს აწვდიან. ის კაცი არ ვარ, გაზეთებით ვარჩიო საქმეები, გამოსვლა თუ მეღირსა, შევარდნაძეს პირადად შევხვდები და ყველაფერს ავუხსნი. ომშიც სხვებივით საყაჩაღოდ არ წავსულვარ და, ეტყობა, ამას არ მპატიობენ, თორემ სხვებივით მეც და ჩემს თანამებრძოლებსაც აქამდე გაგვიშვებდნენ. შეწყალება თუ არ შემეხება, თებერვალში ვადაზე ადრე გათავისუფლება მეკუთვნის. თუ ვერც მაშინ გამოვედი, დარჩენილ ორ წელსაც მოვიხდი, არც ამის მეშინია. მაგრამ ჩემს გარშემო იმდენი გაუგებრობა ხდება, რომ იმასაც არ გამოვრიცხავ - თან ასეთ ინფორმაციასაც ვფლობ – რომ ჩემი ციხიდან გაშვება საერთოდ არ უნდათ. ზუსტად ვიცი, ვინ მებრძოდა დაჭერის მომენტში და არ მიკვირდა. ახლა მტერი ის გახდა, ვინც ოდესღაც ჩვენს გვერდით იჯდა საბრალდებო სკამზე და ვისი თავისუფლებისთვისაც ხობის მხედრიონმა ყველაფერი გააკეთა,”** –გვითხრა სოსო ლატარიამ.

ხობელი მხედრიონელები, როგორც თავად ამტკიცებენ, თავდაპირველად კვირაიას ინტერესებს შეეწირნენ. სამართალდამცველებმა თავის დროზე ექვსი მეგრელი მებრძოლი გრიშა ქობალიას გატაცების მოტივით დააკავეს ( ამ საქმის საბრალდებო დასკვნაში საკმაოდ სოლიდური პოლიტიკოსების გვარებია მოხსენიებული). თუმცა, როგორც სოსო ლატარია იხსენებს, პოლიციაში მკვლელობის და სხვა მძიმე დანაშაულების ვრცელი სია დაუდეს, რომელიც მხედრიონელებს უნდა ეღიარებინათ. მიუხედავად ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლისა, პოლიციამ კვირაიას თანამებრძოლებისთვის სხვა დანაშაულის დაბრალება ვერ მოახერხა. არადა, კვირაიას მხედრიონის ამ ნაწილისადმი მართლაც დიდი დაინტერესება ჰქონდა. დღემდე რეალური შეფასება არ მისცემია იმჟამინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ, მარადიორობის მოტივით, ხობში ექვსი მეგრელი მხედრიონელის დახვრეტას. მათგან განსაკუთრებული სასჯელი ერგო თამაზ ჩინჩალაძეს, რომელსაც ექვსი ტყვია მოხვდა, მაგრამ მაინც გადარჩა, ოღონდ კვირაიას მიერ ერთხელ უმკაცრესად დასჯილ მეომარს, მინისტრის ინიციატივით, მეორედ ათწლიანი პატიმრობა მაინც მიუსაჯეს.

დაპატიმრებული ხობელი მეომრებიდან ვადაზე ადრე, ჯანმრთელობის უკიდურესად მძიმე მდგომარეობის გამო, მხოლოდ რუსლან წურწუმია გაათავისუფლეს, რომელიც რამდენიმე დღეში გარდაიცვალა კიდეც.

საინტერესოა ერთი გარემოებაც - კანონით, მძიმე დანაშაულისათვის გასამართლებული პატიმრები ვადაზე ადრე გათავისუფლებას არ უნდა ექვემდებარებოდნენ. ამ შემთხვევაში კი ხელისუფლება ხონელი მხედრიონელებისადმი წარდგენილი მძიმე ბრალდებითაც ვერ იმართლებს თავს (სხვათა შორის, დაზარალებული თავად ითხოვდა გამტაცაბლების შეწყალებას), რადგან ქობალიას გატაცების საქმის გამო მათთან ერთად გასამართლებული თემურ გერგაია, თითქმის, ოთხი წლის წინ გაათავისუფლეს. სარწმუნო წყაროს ცნობით, გათავისუფლებულმა გერგაიამ, რომელსაც თანამებრძოლებთან უთანხმოება მოუვიდა, პრეზიდენტთან დაახლოება მოახერხა და რამდენჯერმე ხელისუფლებაში მოსვლაც სცადა.

რატომ გაუმართლა გერგაიას და რატომ არ ვრცელდება იგივე პრივილეგია დანარჩენ ხობელ პატიმრებზე - ამას ვერც სოსო ლატარია ხსნის, ყოველ შემთხვევაში, ხმამაღლა არ ამბობს. არადა, ხონის მხედრიონის უფროსის თქმით, მას და ჩინჩალაძეს, რომლებსაც პრეზიდენტმა ტამიშის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისთვის მადლობაც კი გამოუცხადა, თავის დროზე ხობის სასამართლოში მეომრობის დამადასტურებელ ცნობასაც კი არ აძლევდნენ.

# "ცარსკოე სელოში" ბუში პუტინს ჩეჩნეთის საკითხში სოლიდარობას გამოუცხადებს

## რას ნიშნავს ვლადიმირ რუშაილოს მუქარა, რომ "საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში რუსეთმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს პრევენტიული ზომების პროგნოზირებას"?

რუსუდან ნიკურაძე
საქ.კორ.მოსკოვში


ბუშისა და პუტინის არაფორმალური შეხვედრა ტეხასში.

ამ დღეებში რუსი დიპლომატები, ამერიკელ კოლეგებთან ერთად, რუსეთში აშშ პრეზიდენტ ბუშის არაფორმალურ ვიზიტს ამზადებენ. პრეზიდენტები ერთმანეთს 22 ნოემბერს შეხვდებიან სანკტ-პეტერბურგიდან 17 კილომეტრით დაშორებულ ქალაქ პუშკინში ( ყოფილი ცარსკოე სელო).

მოსკოვის კარგად ინფორმირებული წყაროები ამტკიცებენ, რომ პრეზიდენტმა პუტინმა ეს ისტორიული ქალაქი შემთხვევით არ აირჩია. კომუნისტების მიერ მეფის ოჯახის განადგურების შემდეგ, ცარსკოე სელოს "დესტკოე სელო" ეწოდებოდა და იქ ნკვდ-ს წევრთა ოჯახებისათვის მშვენიერი დასასვენებელი კომპლექსი მდებარეობდა. ასე რომ, პუტინი თავისი ისტორიული სამშობლოს სანახებით პრეზიდენტ ბუშთან თავის მოწონებას კი არ აპირებს, არამედ, როგორც ჩანს, ეს ზონა რუსეთის უშიშროების სამსახურების მიერ, ძველი ტრადიციით, დღესაც კარგად კონტროლდება.

მოსკოვში გამართულ ბრიფინგზე საგარეოპოლიტიკური უწყების წარმომადგენელმა გიორგი მამედოვმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ **"პრეზიდენტის შეხვედრის მთავარი თემა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის კომპლექსური ღონისძიებების დასახვაა. შეიარაღებაზე კონტროლის საკითხებთან ერთად, მხარეები შეთანხმდებიან რუსეთ-ამერიკის ორმხრივი თანამშრომლობის პროგრამაზეც."** მაგრამ ასეთი მნიშვნელოვანი ვიზიტის წინ, მოსკოვში არსებობს არაოფიციალური ინფორმაციაც, რომლის თანახმადაც, რუსეთში სტუმრობისას, აშშ-ს პრეზიდენტი რუსეთის პრეზიდენტს ჩეჩნეთის საკითხში სრულ სოლიდარობას გამოუცხადებს.

მოსკოვში რუსი დიპლომატები ჟურნალისტებს არწმუნებენ, რომ აშშ-ს ადმინისტრაცია დღეს თავადაა დაინტერესებული ჩეჩნეთში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენითა და ლეგიტიმური ხელისუფლების არჩევით.

მოსკოვს სურს დაუმტკიცოს აშშ-ს ადმინისტრაციას, რომ სამშვიდობო პროცესის საწინააღმდეგო არაფერი აქვს. ხოლო ავტომატების ლულების ქვეშ ჩაივლის თუ არა მეამბოხე რესპუბლიკაში არჩევნები, როგორც ჩანს, ბუშის ადმინისტრაციას დიდად არ აღელვებს.

კრემლის ანალიტიკოსის, გლებ პავლოვსკის განცხადებით, რომელიც მან "სამოქალაქო დებატების" კლუბის მორგი სხდომაზე გააკეთა, პეტერბურგის შეხვედრაზე ბუში და პუტინი აუცილებლად გამონახავენ საერთო ენას ჩეჩნეთის დარეგულირების მოსკოვის სცენარის გარშემო. პავლოვსკის თქმით, პუტინი ყურადღებით მოუსმენს ამერიკელებს, თუკი მათ სურთ პოლიტიკური განმუხტვის მექანიზმის ამუშავება. თუმცა პუტინის ადმინისტრაციის ერთ-ერთი წევრი **ვლადიმირ რუშაილო** აცხადებს, რომ **"საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში რუსეთმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს პრევენტიული ზომების პროგნოზირებას".** რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის ეს განცხადება ანალიტიკოსებს აფიქრებინებს, რომ **"ტერორისტთა ბაზებზე გამანადგურებელი დარტყმების მიყენებაა მოსალოდნელი, რაც ერაყის დაბომბვის უვერტიურა თუ არა, შეიძლება მისი ლოგიკური გაგრძელება აღმოჩნდეს"** (პოლიტოლოგი **სერგეი მარკოვი**). მისი აზრით **"ასეთი ვითარების მოდელირება ძნელია, რადგანაც აქ რუსეთისა და მისი მეზობელი რესპუბლიკების ეროვნული უსაფრთხოების რეჟიმები ერთვება".**

პრეზიდენტების არაფორმალური შეხვედრის ფორმატშია, აგრეთვე, რეგიონული კრიზისების დარეგულირების თემატიკაც, რის შესახებაც უკვე საგულისხმო განცხადება გააკეთა მოსკოვში აშშ ელჩმა **ალექსანდრ ვერშბოუმ**. მისი თქმით, ამერიკულმა მხარემ მკაცრად დაგმო მოსკოვის ტერაქტი, რადგანაც გამართლება არ აქვს მშვიდობიანი მოსახლეობის მძევლად აყვანას. **"საქართველოში ჩვენს მეგობრებსაც მივმართავთ, რათა მათ გააუმჯობესონ კონტროლი სასაზღვრო ტერიტორიებზე,"** - აცხადებს ვერშბოუ. მოსკოვში აშშ ელჩი ამტკიცებს, რომ აშშ-მ ბევრი გააკეთა იმისათვის, რათა აღკვეთონ მესამე ქვეყნებიდან ტერორისტული ორგანიზაციების ფინანსური დახმარება და ამაში გარკვეული წარმატება უკვე მიღწეულია.

დამოუკიდებელი მოსკოველი ანალიტიკოსები ეჭვობენ,რომ ჩეჩნეთის მშვიდობიანი დარეგულირება, ავტომატების და ქვემეხების თანხლებით, დროში გაწელილი პროცესი იქნება და მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებამდე კრემლი მაინც ეცდება, დაძაბულობის ზონაში მართვადი კონფლიქტის შენარჩუნებას.

რუსეთის პარლამენტის წევრმა **ვიაჩესლავ იგრუნოვმა** (ფრაქცია "იაბლოკო") "24 საათისათვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა:

**"მოსკოვის ტერაქტის შემდეგ საერთაშორისო საზოგადოების თვალში რუსეთის სამშვიდობო ინიციატივები სერიოზულად არ შეიძლება გამოიყურებოდეს, რადგანაც დასავლეთს ჩვენი აღარ სჯერა. რუსეთში აშშ პრეზიდენტის ვიზიტი ამ საკითხში სინათლეს ვერ შეიტანს იმ უბრალო მიზეზით, რომ დღეს მოსკოვის მიერ ტერორისტებად მონათლული ხალხის ხელისუფლებაში მოსვლა გამორიცხულია -მასხადოვთან პუტინის ხელისუფლება პოლიტიკურ დიალოგს არ გამართავს. გამოდის, რომ ბანდიტების ერთი ჯგუფის ნაცვლად სხვა, უფრო მრავალრიცხოვანი და უფრო საშიში ძალა მოვა, ჩეჩნეთში განუკითხაობა კი გაგრძელდება - ამჟამად ჩეჩნეთის "ახალი კონსტიტუციით" გამყარებული".**

# კრემლი მოსკოვში სრულიად ჩეჩენთა ყრილობის გამართვას გეგმავს

## ხაფანგი თუ რეალური ნაბიჯი შერიგებისკენ?

რუსეთის პარლამენტში ჩეჩნეთის პრობლემის პოლიტიკური დარეგულირების მიზნით შექმნილი კომისია შეიკრიბა. კომისიას პრეზიდენტ პუტინის სპეცწარმომადგენელი აბდულხაკიმ სულტიგოვი ხელმძღვანელობს, რომელიც, როგორც დეპუტატები ამბობენ, მესამე წელია უშედეგოდ მუშაობს. კომისიის წევრები ერთმანეთთან დაპირისპირებული სხვადასხვა ფრაქციების დეპუტატები არიან, რომლებიც, პირველ რიგში, სწორედ ჩეჩნეთის საკითხში ვერ თანხმდებიან. მაგალითად - ასლანბეკ ასლახანოვი და ალექსეი არბატოვი.

სხდომაზე რუსეთის ძალოვანი უწყებების პირველი პირები უნდა მისულიყვნენ. პარლამენტის სპიკერი გენადი სელეზნიოვი განაწყენებული დარჩა იმით, რომ მათ ნაცვლად მეორე და მესამე მოადგილეები გამოცხადდნენ. ამან პარლამენტარებს აფიქრებინა, რომ ხელისუფლებას არ აინტერესებს, თუ როგორ მუშაობს საკანონმდებლო ორგანო ჩეჩნეთში კოსტიტუციური სამართლის აღდგენაზე. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ჩვენმა ძალოვნებმა ამოწურეს ჩეჩენი ხალხის ნდობის რესურსი? - ასეთმა შეკითხვამაც გაიჟღერა კომისიის სხდომაზე.

კომისიის არაეფექტურობაზე სხვა ფაქტებიც მეტყველებს: ხელისუფლების პირველი პირები დიდად დაინტერესებულნი არ არიან, რას ფიქრობენ ჩეჩნეთში მშვიდობის დამყარებაზე სათათბიროს დეპუტატები. ჩეჩნეთის პრობლემების შემსწავლელი კომისიის ერთ-ერთი წევრის, ალექსანდრა ბურატაევას თქმით, კომისია ითხოვს, ხელისუფლებიდან ვინმემ მაინც გასცეს პასუხი დეპუტატებს, თუ სად წავიდა ჩეჩენი ლტოლვილებისათვის გამოყოფილი კომპენსაცია? რატომ დაწერეს ინგუშეთში ჩეჩენ ლტოლვილთა ბანაკის ბინადრებმა ღია წერილი ყაზახეთის პრეზიდენტის სახელზე და რატომ ითხოვენ თავშესაფარს სხვა რესპუბლიკაში?

კომისიაზე ითქვა ისიც, რომ ამ ბანაკის ბევრმა წევრმა კარვებთან სანგრებიც კი გათხარა, რადგანაც ლტოლვილთა ბანაკი ინგუშეთში საფილტრაციო ბანაკს დაემსგავსა.დეპუტატების თქმით,მსგავსი ხასიათის წერილი მოვიდა საქართველოდანაც,სადაც პანკისელი ლტოლვილები ხელისუფლების მხრიდან ზეწოლაზე ამახვილებენ ყურადღებას.

პარლამენტარმა საიფულინმა აღშფოთება გამოთქვა რემდენიმე დღის წინ ჩეჩნეთში ხუთი საცხოვრებელი სახლის უმიზეზოდ აფეთქების გამო."კომისიამ არ იცის, გამართლებული იყო თუ არა ამ სახლების აფეთქება და ხალხისათვის საევაკუაციოდ ერთი საათის მიცემა, მაშინ, როცა დეპორტაციის დროს საცხოვრებელი სახლებიდან გამობარგებისათვის ჩეჩნებს 4 საათს აძლევდნენ". პუტინის წარმომადგენელმა სალტიგოვმა თავი იმით იმართლა,რომ " ის ხუთი სახლი ძლიერ მოძველებული იყო და ყოველ წუთას შეიძლებოდა დანგრეულიყო...

დეპუტატმა ალექსეი არბატოვმა პროტესტი გამოთქვა იმის გამო,რომ ჩეჩნეთში ომის პირობებში რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღება დაუშვებელია. "სად არის იმის გარანტიები, რომ განადგურებული ტერორისტების ნაცვლად სხვები არ მოვლენ, ან რა ვუყოთ იმ ხალხს,ვინც არ ეთანხმება ფედერალურ ხელისუფლებას?" - კითხულობს იგი. ალექსეი არბატოვმა ყურადღებას ამახვილებს თავდაცვის მინისტრის ივანოვის განცხადებაზეც, რომლის მიხედვითაც 15 ათასი ბოევიკი განადგურებულია, მაგრამ 3-4 ათასი მაინც აგრძელებს წინააღმდეგობის გაწევას. პუტინის სპეცწარმომადგენელმა დეპუტატები იმით დაამშვიდა, რომ თურმე "ჩეჩნეთში არიან ისეთი საველე მეთაურებიც, რომლებიც მხარს უჭერენ რეფერენდუმის ჩატარებას".

ჩეჩნეთის კონსტიტუციის მიღებაზე ხელისუფლების პოზიცია გაიზიარა კომისიის წევრთა უმრავლესობამ, რომელიც გაზაფხულამდე რეფერენდუმის მომზადებასა, ჩეჩნეთის ხელისუფლებაში 1986-87 წლებში ლეგიტიმურად არჩეული ხელისუფლების დაბრუნებაში და ჩეჩნეთის წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების კომპლექსურად გადაწყვეტაში მდგომარეობს. რუსეთის საპარლამენტო კომისიამ მასხადოვს უზურპატორი უწოდა,ხოლო კრემლში პუტინთან შეხვედრაზე მისულ ჩეჩენ ავტორიტეტებს - ერის გადამრჩენი პატრიოტები. სელეზნიოვმა დეპუტატებს მოუწოდა კონფლიქტის ლოკალიზაციის მექანიზმებსა და რესპუბლიკაში სამოქალაქო საზოგადოების შექმნაზე იფიქრონ.

"როგორ აპირებს რუსეთი ჩეჩნეთში არსებული განუკითხაობის ფონზე სამოქალაქო-სამართლებრივი აქტების მიღებას, გაუგებარია. მოვითხოვთ, მეტი სინათლის შეტანას ადამიანთა უფლებების დაცვაში", - განაცხადა დეპუტატმა ასლახანოვმა. რუსეთის ადამიანთა უფლებების საკითხებში პრეზიდენტის რწმუნებულმა ოლეგ მირონოვმა კი განმარტა, რომ მისი სტრუქტურა მომხრეა ძალისმიერი მეთოდების გამოყენებისა იმ ბანდიტების მიმართ, ვინც იარაღით ხელში ებრძვის კანონიერ ხელისუფლებას.

დეპუტატმა ასლახანოვმა განაცხადა, რომ 14 დეკემბერს მოსკოვში სრულიად ჩეჩენთა ყრილობა ჩაივლის, რასაც ყველა საველე მეთაური დაესწრება მასხადოვის გარდა. არავითარი ჩეჩენთა ყრილობა მოსკოვში არ იქნება, - ასე ფიქრობს რუსეთის პარლამენტართა უმრავლესობა. რას უმზადებს მოსკოვი 14 დეკემბერს რუსეთის დედაქალაქში დაბარებულ ჩეჩნებს, ძნელი მისახვედრია.

# "რუსეთის ტერიტორიაზე შესვლაზე" ფედერალურ კანონში შესწორებების შეტანის პარალელურად მოსკოვში უკანონო მიგრანტების დეპორტაცია დაიწყო

ჩკალოვსკის აეროდრომიდან 15 ნოემბერს 70 ტაჯიკი გასტერბაიტერი სამშობლოში გააფრინეს. მოსკოვში იაფი მონების სტატუსით მცხოვრები, ყველაზე უწყინარი და მორჩილი ტაჯიკების დეპორტაცია ლუჟკოვის ხელისუფლებას მილიონი რუბლი დაუჯდა. სამართალდამცავი ორგანოების წარმომომადგენლების მტკიცებით, იგივე ბედი მოელის ყველას, ვინც მოსკოვში უკანონოდ ცხოვრობს და ვერ დაასაბუთებს რუსეთის ტერიტორიაზე ყოფნის მოტივს.

დეპორტაციის პირველი ტალღის პარალელურად, "რუსეთის ტერიტორიაზე შესვლაზე" ფედერალურ კანონში მთელი რიგი საგულისხმო შესწორებები შეიტანეს პარლამენტარებმაც. ამ შესწორებების თანახმად, დღეიდან რუსეთის ტერიტორიაზე უცხოელი მოქალაქეების შესვლისა და ყოფნის წესები, პირობები და მდგომარეობა არნახულად მკაცრდება, რადგანაც ხელისუფლებას შეუზღუდავი უფლებები ეძლევა ნებისმიერი მოტივით არასასურველი პირების დეპორტაციისათვის.

"არის მოქალაქეთა კატეგორია, ვისი ყოფნაც რუსეთის ტერიტორიაზე მიზანშეწონილი არ არის, იმის მიუხედავად, აქვს თუ არა მას ვიზა და დროებითი რეგისტრაცია", - განაცხადა კანონში შესწორებების ინიციატორმა დეპუტატმა ოვჩინნიკოვმა. ხსენებული შესწორებები ფედერალურ კანონში ვიზების გაცემასა და რეგისტრაციის პირობებსაც განსაზღვრავს. განსაზღვრულია ქვეყნები, რომელთა მოქალაქეების მიმართ მთელი რიგი "მდგომარეობების" დაცვაა საჭირო.

ასეთ ქვეყნებად, პირველ რიგში, დეპუტატები ასახელებენ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რესპუბლიკებს. მოსკოვში დღეს მარტო ტაჯიკეთიდან და ყაზახეთიდან 3 მილიონი ლტოლვილია; 2 მილიონი - სამხრეთ კავკასიიდან. დეპუტატების თქმით, არაოფიციალური მონაცემები კატასტროფულია. დსთ-ს რესპუბლიკებიდან მარტო მოსკოვს შეფარებული უკანონო მიგრანტები ვიზებისა და რეგისტრაციის გარეშე ხელისუფლების მიერ გაუკონტროლებელნი არიან და **"რუსეთის ეროვნული უშიშროებისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენენ"** (ოვჩინნიკოვი).

საკანონმდებლო ხელისუფლებას არ აშინებს მოქმედ კანონში არალეგალთათვის მთელი რიგი არადემოკრატიული პირობების წამოყენება. გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ ვინ და რატომაა ხელისუფლებისათვის არასასურველი და ვინ და რატომ არ შეიძლება რუსეთში იმყოფებოდეს, თუნდაც მონის სტატუსით, ღებულობს შინაგან საქმეთა სამინისტროს საემიგრაციო სამსახური. საგამოძიებო ორგანოები კი ადგენენ, რუსეთის ტერიტორიაზე უკანონოდ მყოფი უცხოელი მოქალაქე ემუქრება თუ არა რეალურად ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას, საზოგადოებრივ წესრიგსა და დანარჩენი მოსახლეობის ჯანმრთელობას. შინაგან საქმეთა სამინისტროს, კანონში შესწორებების თანახმად, უფლება ეძლევა, არასასურველად მიიჩნიოს ამა თუ იმ მოქალაქის რუსეთის ტერიტორიაზე ყოფნა და მას დეპორტაცია "გამოუწეროს", რის შემდეგაც მოქალაქემ რუსეთი სამი დღის განმავლობაში უნდა დატოვოს.

რუსეთში შესვლა-გასვლაზე კანონის გამკაცრებას რუსი პარლამენტარები ხსნიან უკანონო მიგრაციასთან ბრძოლის ეფექტურობის გაზრდით. საინტერესოა, რომ ახალი კანონით არასასურველ მოქალაქეებს პასპორტში შეტანილი სათანადო აღნიშვნის წყალობით, საბოლოოდ აეკრძალებათ რუსეთის ტერიტორიაზე ხელმეორედ შესვლა.




23 ნოემბერს 21.00 საათზე რესტორან „დავით სარაჯიშვილში"

oriflame

„იმიჯ-ცენტრი" და „ორიფლეიმი" წარმოგიდგენთ შემოდგომა-ზამთრის კოლექციის შოუ-ჩვენებას.

დიზაინერები: ფეხსაცმელი — მადონა ხარატიშვილი
ტანსაცმელი — ანა აბულაშვილი

გიორგობის აღსანიშნავად გიწვევენ:

მერაბ სეფაშვილი
ლელა წურწუმია
თემო რცხილაძე
ნუკრი კაკანაძე
ქეთა თოფურია
ჯგუფი „ფორტე"
და ყველაზე პოპულარული
„ბიო"- მალხაზ ქვრივიშვილი.

ტელ: 53-69-11, 877 73-07-09, 899 28-96-53

"ფერმერის იურიდიული სახელმძღვანელო"

იურიდიული და პრაქტიკული რჩევები ფერმერებისა და მიწის მესაკუთრეთათვის




მიწის პრივატიზაცია, რეგისტრაცია, გადასახადები, მიწის დაცვა, კრედიტები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ტრანსპორტირება.

საინტერესო ინფორმაცია და პასუხი თქვენს კითხვებზე.

*სახელმძღვანელო შეგიძლიათ უფასოდ მიიღოთ მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის ცენტრალურ და რეგიონალურ ოფისებში.*

ტელ: 931276, 986291, 931681.
Web-მისამართი: www.aplr.org, ელ-ფოსტა: aplr@caucasus.net

www.24hours.ge
24
B

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით.
ტელ.: 20 24 24
ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით:
nladaria@24hours.ge

ნოდარ ლადარია

# მომავალ ორშაბათამდე!



გასული კვირა პოლიტიკურად საკმაოდ დაძაბული აღმოჩნდა. ის კი არა და, შაბათს გაზიც კი გამოგვირთეს. მაგრამ ამ ძნელბედობისა და არეულობის ჟამს ჩვენი მკითხველი მაინც არ უნდა გვავიწყდებოდეს და მისი ხმა უშუალოდ უნდა ისმოდეს გაზეთის ფურცლებიდან თუნდაც თვეში ერთხელ.

ბავშვობიდან მახსოვს (ამ ჩვენი სინამდვილის გადამკიდე რაღაც ხშირად ვიგონებ ლენინგრადის ბლოკადას), რომ შოსტაკოვიჩის VII სიმფონიის შესრულებამ მტრისაგან გარშემორტყმულ მშიერსა და ჩაბნელებულ ქალაქში საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა მთელს პროგრესულ საზოგადოებაზე. თავიდან ასე არ მიფიქრია, მაგრამ ახლა კი მგონია, რომ სწორედ ამ ან ამის მსგავსმა ასოციაციამ მიბიძგა "24 საათის" სადისკუსიო კლუბში ის ადამიანები მომეწვია, რომლებსაც ახლო წარსულში კულტურის მოღვაწეებს ვუწოდებდით ოფიციალურად. თანაც ისეთები ავირჩიე, რომლებიც სრულიად არაოფიციალურად, არამედ ჭეშმარიტად არიან კულტურის მოღვაწენი. მაშ ასე, ანბანური რიგით, როგორც წერენ ხოლმე სათეატრო პროგრამებში: **ნოდარ ანდღულაძე**, ვოკალისტი, თბილისის კონსერვატორიაში სოლო სიმღერის კათედრის გამგე, **გია ბუღაძე**, მხატვარი, სამხატვრო აკადემიის პრორექტორი, **ზურაბ კიკნაძე**, ფილოლოგი, თბილისის უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის გამგე. მათთან საუბრის ანგარიშსა და ამ საუბრით ნაკარნახევ რამდენიმე განაზრებას გთავაზობთ ქვემოთ.

**- როგორ ფიქრობთ, თექვსმეტგვერდიან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ასე ვთქვათ, უნივერსალურ გაზეთში რამდენი გვერდი უნდა დაეთმოს კულტურას?**

**გ. ბ.** ოთხი.

**ზ. კ.** ექვსი.

**ნ. ა.** არ შემიძლია არ ვთქვა, რომ კულტურა არ უნდა დაუპირისპირდეს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა დარგებს, არამედ უნდა ვლინდებოდეს ყველაფერში: პოლიტიკაში, ეკონომიკაში. მაგრამ თუ ვიწრო გაგებით გამოვიყენებთ ამ სიტყვას, ე. ი., როგორც ოდესღაც ამბობდნენ, ლიტერატურისა და ხელოვნების მნიშვნელობით, მაშინ — ექვსი.

*ერთი შეხედვით, გია ბუღაძე სხვებზე უფრო რეალისტი აღმოჩნდა, რადგანაც ვიწროდ გაგებული კულტურა ჩვენს გაზეთში ამ ბოლო დროს მხოლოდ ერთ "კინკილა" გვერდზე ჩანს გაღვივებულ კარტოფილზე ამოსული მოიისფრო ყლორტივით, ხოლო ჩვენს პოლიტიკაში კი მხოლოდ იმით ვლინდება, რომ პარლამენტარები სულ უფრო ამჟღავნებენ საბრძოლო ხელოვნებით დაინტერესებას.*

*მეორე მხრივ, თუ გავითვალისწინებთ ყოველკვირეულ დამატებებსა და ყოველდღიურ ჩანართებს (თანაც იმ პერსპექტივებს, რომელსაც თვით ჩანართის იდეა გულისხმობს), გამოვა, რომ არც ნოდარ ანდღულაძე და ზურაბ კიკნაძე იყვნენ შორს საქმის ნამდვილი ვითარებისგან.*

**- თქვენი აზრით, როგორ შუქდება კულტურა ქართულ მედიაში, კერძოდ კი პრესაში? რას უსაყვედურებდით გაზეთს?**

**ნ. ა.** ვიტყვი, რომ ვერ ვხედავ კულტურულ ხედვას, ინტერესს კულტურის მიმართ. უფრო ინფორმაციის გავრცელებს ხოლმე სხვადასხვა საკითხებზე, მაგრამ არ ჩანს თვით ავტორების კულტურული კრედო. კულტურის ამგვარი გაშუქება კი ჩემთვის ხშირად ფუჭია.

**ზ. კ.** მე ვეთანხმები ბატონ ნოდარს. კულტურის შესახებ ინფორმაციას ფუნდამენტურობა აკლია, სიღრმისეული გააზრების კვალი არა ჩანს.

**გ. ბ.** მე, თუ შეიძლება, ამ ვითარების ერთ-ერთ მიზეზს დავასახელებ. წლების განმავლობაში ჩვენთან იზრდებოდნენ ხელოვნების ისტორიკოსები, მაგრამ გვაკლდა ხელოვნების კრიტიკოსები. ამ ბოლო დროს აკადემიაში უკვე კონკრეტული ნაბიჯები გადავდგით იმისაკენ, რომ მოვამზადოთ კრიტიკოსები და არტ-მენეჯერები, რაც ეგზომ გვჭირდება ახლა. გვყავს კი ხელოვნების, კულტურის მცოდნენი, რომლებიც ამავე დროს მიკროფონთან მუშაობას შეძლებენ? ინტერვიუს აღება და ჟურნალისტის სხვა უნარ-ჩვევები მაქვს მხედველობაში. შეუძლიათ კი მოკლე დროში აკუმულირებული და სხარტი აზრის შექმნა რომელიმე კულტურული მოვლენის შესახებ?

**ნ. ა.** არ შეუძლიათ. ამიტომაც ეს საქმე ჟურნალისტებმა ჩაიგდეს ხელში.

**გ. ბ.** დიახ, სწორედ ამას მოგახსენებთ. ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ ძველი გაგებით ხელოვნებათმცოდნის სპეციალიზაციას რეპორტიორის უნარ-ჩვევები უნდა დაემატოს. სტუდენტებთან ჩვენს ურთიერთობაში იგულისხმება მედიასთან მათი მომავალი კავშირი. ამ მიზნის მისაღწევად შევქმენით ჩვენ სახვითი ხელოვნების კრიტიკის კაბინეტი.

**ნ. ა.** მართალია, აი, მაგალითად, ამერიკაში, ლოიოლას უნივერსიტეტში არის მუსიკალური კრიტიკის კათედრა, რომელიც სწორედ ამ საკითხებს აგვარებს.

*ეჰ, კარგია, ალბათ, ლოიოლას უნივერსიტეტში! ჩვენთან კი ის ვერ ისწავლეს, რომ "რეკვიემი" იწერება და არა "რექვიემი", ზედასართავი სახელი "პომპეზური" კი მხოლოდ უარყოფითი, გასაკიცხი მნიშვნელობით უნდა გამოიყენებოდეს — წამდაუწუმ განმეორებით აბიჯებენ ერთსა და იმავე დაგდებულ თოხს.*

**- მაშინ უფრო ზუსტად გავსაზღვროთ ტერმინი "კრიტიკა". რას გულისხმობთ კონკრეტულად?**

**ნ. ა.** ჩემთვის ეს, უპირველეს ყოვლისა გულისხმობს იმას, რასაც გერმანელები უწოდებენ Gef hl — შეგრძნებას, განცდას. რა თქმა უნდა, კულტურული პროცესის შეგრძნებაზე ვლაპარაკობ. სამწუხაროდ, ჩვენი მუსიკალური კრიტიკოსების პროდუქცია უფრო პოლიკლინიკაში ან საავადმყოფოში შესავსებ ანკეტას თუ ავადმყოფობის ისტორიას ჰგავს: ზოგადი მონაცემები, ანამნეზი, დიაგნოზი. არ იგრძნობა კრიტიკოსის ემოციური ჩართულობა მის მიერ განხილულ კულტურულ ფაქტსა თუ მოვლენაში. არც ის შეინიშნება, რასაც გოეთე ისტორიის განცდას უწოდებდა.

**ზ. კ.** დიახ, განცდა ისტორიკოსსაც სჭირდება. კრიტიკის შესახებ კი ვიტყოდი, რომ იგი, უპირველეს ყოვლისა, პირუთვნელი უნდა იყოს. ესე იგი, მე უნდა ვაკრიტიკებდე, ვაანალიზებდე გასახილველი ნაწარმოებისა და კულტურული მოვლენის თვისებებიდან, მისი შინაგანი ბუნებიდან და სტრუქტურიდან გამომდინარე და არა იმის საფუძველზე, რომ მე რაღაც გარეგანი, შემთხვევითი, კერძო ინტერესები მაქვს თვით ნაწარმოებთან ან ავტორთან მიმართებაში.

**- მაშინ იქნებ ის ვთქვათ, ბატონო ზურაბ, რატომ არ მოხდა საქართველოში ჩვენს მიერ განვლილი ბოლო ისტორიული ეტაპის მხატვრული ასახვა?**

**ზ. კ.** ვერ ვიტყვი, რომ საერთოდ არ მომხდარა. ისე კი, მწერალს აუცილებლად სჭირდება ისტორიული მომენტისაგან დისტანცირება. რაც შეეხება ყოველდღიურ პრესას, მას აბსოლუტურ ობიექტურობას ვერასოდეს მოვთხოვთ: ყოველთვის იქნება რაღაც კერძო პოლიტიკური ან სოციალური თვალსაზრისის გამომხატველი წერილები და ეს ასეც უნდა იყოს, რადგან პრესა იდეათა ჭიდილის ასპარეზია. მწერლის დანიშნულება, პრესისაგან განსხვავებით, არაა სინამდვილის კიცხვა, არამედ მისი გამართლება.

**გ. ბ.** მეც შევეცდები, იგივე აზრი გავაგრძელო. მხატვრობა ხომ სულ სხვაა, ეს უფრო ხილვების სამყაროა და არა სიტყვებისა, თუმცა კი სიტყვებსაც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. აი, რაც უფრო ცუდად გძინავს, მით მეტი რამ გესიზმრება. მხატვრებიც ასეა: არეულ-დარეული სოციალური და პოლიტიკური გარემო მათ თითქოსდა შემოქმედებითად ასტიმულირებს. თუნდაც ის გავიხსენოთ, იტალიაში რა ამბები ტრიალებდა, როცა მიქელანჯელო და ლეონარდო მოღვაწეობდნენ. მხატვრობა ყოველთვის დინამიურ გარემოში იბადება. მხატვარი უფრო ახლო მანძილიდან მისდევს გარემო სამყაროს, ვიდრე, მაგალითად, მწერალი. ამიტომაც, ვფიქრობ, რომ მხატვრობაში ჩვენი სინამდვილის ასახვაც უფრო მეტად განხორციელდა.

ერთი მხრივ ჩვენ, მხატვრები, ვცდილობთ ჩავეწეროთ მსოფლიო კულტურულ კონტექსტში. ესე იგი, უფრო მგრძნობიარენი გავხდით იმის მიმართ, თუ რა ხდება მსოფლიოში. მეორე მხრივ, იდეოლოგიური შეკვეთა აღარ არსებობს. მაგალითად, თუ მე სადმე მოვხატავ კედელს ეს არ ნიშნავს, რომ მე აუცილებლად უნდა შევუერთდე დამკვეთის იდეებსაც.

**ნ. ა.** არც იუსტიციის სამინისტროში?

**გ. ბ.** რა თქმა უნდა, იქ დავხატავ მოსეს ან თემიდას. მხოლოდ იმიტომ რომ მოსეც და თემიდაც სამართლის იდეას გამოხატავენ ზოგადად.

**- გია, გაზეთის სპეციფიკას რომ ძალიან არ დავცილდეთ, რას მეტყოდი თუნდაც პოლიტიკური კარიკატურის ჟანრზე?**

**გ. ბ.** ჩვენში ამის საკმაო ტრადიცია არსებობს. ხომ ვიცით, რომ ქართული პოლიტიკური კარიკატურა ჩვენში მოღვაწე გერმანელი მხატვრის, ოსკარ შმერლინგის შემოქმედებიდან იღებს სათავეს. დღეს ამ ჟანრში ძალიან ნაყოფიერად მუშაობს თორნიკე ამბოკაძე. ცნობილია მისი ნამუშევრები, რომლებიც "რეზონანსში" ქვეყნდება. "24 საათი" ამ მხრივ უფრო ილუსტრატორებად იყენებს მხატვრებს. მაგრამ ეს არ ნიშნავს ნაკლს — პირიქით, აქ ძალიან ნიჭიერი პროფესიონალები მუშაობენ და გაზეთის გარეგნულ სახეშიც მათი ღვაწლი დიდია.

**- მაესტრო, მუსიკის დარგში რომ გადავიდეთ, ჩვენი სინამდვილის ასახვის შესახებ ძირითადი კითხვა ოდნავ სხვაგვარად უნდა დავაყენოთ: რა მოგიტანათ მუსიკოსებს ახალმა ყოველდღიურობამ და რა წაგართვათ?**

**ნ. ა.** არეალი გაფართოვდა, რა თქმა უნდა. მართალია, სპონსორების მოძიება ჭირს, მაინც ყველაფერი გაცილებით უფრო ადვილი გახდა. ვიზებს რომ თავი დავანებოთ, მოსკოვის დამტკიცება აღარაა საჭირო. გარდა ამისა, მუსიკალური აზროვნება გაცილებით უფრო თავისუფალი გახდა. აი, გია ყანჩელი ახლა გერმანიაშია და მე არ ვიცი, რამდენად შეიძლება ვთქვათ, რომ მისი მუსიკალური აზროვნება თავსდება ნაციონალურ ჩარჩოებში. ჩემთვის ძალიან ნიშანდობლივია სხვა მაგალითი: ფელიქს ღლონტი, რომელიც თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს კომპოზიტორად მიმაჩნია. იგი უცხოეთში გაცილებით უფრო მიღებულია, ვიდრე საქართველოში. შეიძლება ითქვას, რომ სამშობლოში მას საერთოდ არ იცნობენ. მისი ოპერები გენიალური მუსიკაა, თანაც დამოუკიდებელი მუსიკა. იმას ვგულისხმობ, რომ მუსიკაში, რომელშიც არაა ციტირება, არაა, ასე ვთქვათ, ეთნოგრაფიზმის კვალი, მაინც ადვილად შეიცნობა ქართული წარმომავლობა და სულისკვეთება. მაგრამ საქართველოში არავინ აღმოაჩინა ფელიქს ღლონტი. პრესაც და კრიტიკაც უყურადღებოდ მოეპყრო მას, ალბათ, სწორედ იმიტომ, რომ, როგორც ბატონმა ზურაბმა აღნიშნა და მეც ვთქვი, რომ ჩვენი კრიტიკა უფრო გარეგანი სტიმულებით ხელმძღვანელობს და კულტურული პროცესის განცდა აკლია. ჩემთვის ფელიქსის ბედი ტრაგიკულია: მას რომ ჰქონოდა მეტი მოსმენის საშუალება, ვიღაცას რომ მიეპყრო საზოგადოების ყურადღება მისი შემოქმედებისკენ, ალბათ მასშიც ბევრი რამ უფრო დაიხვეწებოდა და ჩვენი კულტურაც ბევრს მოიგებდა მისი ნაწარმოებების რეცეფციით.

**- ცნობილია, რაოდენ მნიშვნელობას ანიჭებენ არტისტები პრესის თვალსაზრისს. არტისტულ ჟარგონზე გამოთქმებიც არსებობს "კარგი პრესა ჰქონდა", ან "ცუდი პრესა". როგორ ფიქრობთ, ჩვენი პრესა როგორია? უნდა გიხაროდეს მისგან შექება? უნდა გწყინდეს მისგან გაკიცხვა?**

**ნ. ა.** იშვიათი გამონაკლისის გარდა, ვერ ვხედავ პრესაში გულისტკივილს. მე ვერ ვხედავ ავტორს, რომელიც გამოხატავდა ან შექმნიდა ჩვენი კულტურის, თუნდაც მისი ერთი წარმომადგენლის ბედისწერას. ეს ბედისწერა იძულებულია იყოს ასეთი ტრაგიკული და ნეგატიური უყურადღებობისა და გულგრილობის გამო, როგორც ფელიქს ღლონტის შემთხვევაში. ერთი სიტყვით, მე ისევ განცდამდე მივდივარ: მუსიკისადმი მიძღვნილ ტექსტებში არ იგრძნობა შინაგანი წვა, სიცოცხლის ფეთქვა.

**- ბატონო ზურაბ, ხომ არ გვეტყოდით რამდენიმე სიტყვას თემაზე "ლიტერატურული პროცესი და პრესა"?**

**ზ. კ.** ერთი სიახლე მინდა გამოვყო. ლიტერატურული დამატება და გამოცემული წიგნების მიმოხილვა, რომელიც თან ახლავს "24 საათს". ეს არაა ერთ დღეში წასაკითხი მასალა, რომელიც დღეს აქტუალურია, ხვალ კი მოძველდება. გათვალისწინებულია შესანახად. მეც ასე ვიქცევი: ვინახავ ამ დამატებებს და შემდეგ ვკითხულობ. იგივე შემიძლია ვთქვა სამართლის დამატებების შესახებ, რომლებიც ძალიან მომწონს — შეიძლება ითქვას, რომ ყოველი ასეთი დამატება მთელი ბროშურაა. ყოველივე ამით რაღაცნაირად გაგრძელდა ალმანახ "არილის" ტრადიცია. "არილი" ხომ ჯერ გაზეთი იყო, მერე ჟურნალად გადაკეთდა. "24 საათიც" გაზეთია, რომელიც გარკვეული აზრით ჟურნალის ფუნქციასაც ითავსებს.

**გ. ბ.** დიახ, მართალია. იგივე ტენდენცია წარმატებით ხორციელდება ჩანართებშიც. მაგალითად, მე რეგულარულად ვკითხულობ "ევროისტორიას".

**- გია, ვთქვათ, კითხულობ რომელიმე რეპორტაჟს გამოფენიდან. შეგიძლია მოგვაწოდო მისი ზოგადი შეფასება?**

**გ. ბ.** ზოგადი ის იქნება, რომ ვთქვა: უფრო გახსნაზე არსებულ სიტუაციას აღწერენ ხოლმე, გამოფენაზე წარმოდგენილი არტეფაქტების შესახებ წარმოდგენას კი ვერ გვიქმნიან. თუმცა, ძნელია მოითხოვო ასეთი დონე ჟურნალისტისგან, რომელიც არაა ხელოვნების პროფესიონალი კრიტიკოსი. მაგრამ ამას აუცილებლად უნდა მივაღწიოთ, რადგან ჩემთვის და არა მარტო ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ერთი მხატვრული კრიტერიუმი: რამდენად გადადის სახვითი ხელოვნების ნაწარმოები სიტყვაში. რამდენადაა შესაძლებელი მისი ინტერპრეტაცია სიტყვების მეშვეობით. ეს ვიზუალური ნაწარმოების სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საბუთია. მე ვისურვებდი, რომ რეპორტაჟი გამოფენიდან ერთგვარად კონგენიალური იყოს გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრებისა, გამოფენის სიტყვიერი გაგრძელება იყოს.

**ზ. კ.** არის თუ არა აქ საჭირო ტერმინოლოგიური სიზუსტე?

**გ. ბ.** გარკვეულ ფარგლებში აუცილებელიცაა. მაგალითად, ჟურნალისტმა არ უნდა დამიწეროს: "ნაწარმოები შესრულებულია შავ-თეთრ გამაში". არანაირი შავ-თეთრი გამა არ არსებობს. ეს აბსურდია.

**ნ. ა.** აქ ერთი დეტალი მინდა დავამატო კიდევ. ძალიან მიყვარს დიდი ფრანგი მოქანდაკის, ოგიუსტ როდენის ანდერძი ახალგაზრდებისადმი: ყური მიუგდეთ კრიტიკას, რომელიც თქვენს ეჭვებს ადასტურებს.

**- მაესტრო, მაშინ აზრობრივად იგივე შეკითხვას მოგცემთ, რაც გიას: რას მოელით კონცერტის ან საოპერო სპექტაკლის რეცენზიებიდან?**

**ნ. ა.** მინდა გავიხსენო მარია კალასის შემოქმედების დიდებული მკვლევრის, იურგენ კესტინგის ნათქვამი: დიდია მომღერალი, რომელიც მიმართულებას დასახავს. რეცენზიაში სწორედ ეს უნდა ჩანდეს. მაგალითად, ჩამოდის ლადო ათანელი და მღერის სკარპიას ან მაკბეტს. რეცენზია მხოლოდ მისი სიმღერისა და დარბაზში შექმნილი ატმოსფეროს აღწერა კი არ უნდა იყოს, არამედ უნდა გვაძლევდეს წარმოდგენას იმაზე, თუ როგორ გადაწყდა საოპერო შემსრულებლობის ფუნდამენტური პრობლემები. უნდა ჩანდეს მომხდარის ღირებულება.

**გ. ბ.** თუ ნებას მომცემთ, ჩავერევი. აი, მხატვრობაში არის დავით კაკაბაძე და ფიროსმანი. ფიროსმანი გენიალურია, ეს მთელი სამყაროა, მაგრამ მისგან ვერაფერს ისწავლი — ის გზა არაა. მეორე მხრივ, დავით კაკაბაძე გაცილებით უფრო ადვილად ეწერება რომელიმე კულტურულ კონტექსტში, სამაგიეროდ, მისი შემოქმედება გზაა.

**- აქ მე უკვე რაღაც გადაფასების ჩანასახს ვხედავ. როგორ ფიქრობთ, რა როლი შეიძლება შეასრულოს პრესამ ჩვენს ღირებულებათა გადაფასების, მათთვის ახალი სიცოცხლის მინიჭების საქმეში?**

**ზ. კ.** რა თქმა უნდა, ასეთი გადაფასება საჭიროა და პრესის, ყოველი ჟურნალისტისა თუ რედაქტორის ერთ-ერთი მოვალეობაა გარკვეული აზრი მოახვიოს საზოგადოებას. ამ თვალსაზრისით, ცუდია თუ კარგია, პრესა ნებისმიერ შემთხვევაში მოქმედებს, მას შეუძლია გარკვეული ღირებულებები შექმნას, რაღაც ეთიკური ნაბიჯებისკენ მოუწოდოს ადამიანებს.

მაგალითად, სახელმწიფოში არ შეიძლება არსებობდეს პრესა, რომელიც ამკვიდრებს ისეთ სულისკვეთებას, რომ ის სომეხია, ის ებრაელი, ის იეღოვას მოწმე, ის კიდევ ბაპტისტი. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც დიდია ბეჭდვითი სიტყვის ავტორიტეტი. ხალხი კითხულობს ამგვარ ტექსტებს და ჰგონია, რომ ასეც უნდა იყოს.

**გ. ბ.** საზოგადოების ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი ასპარეზი დღეს არის მედია. მე პირდაპირ მინდა გითხრა, რომ "24 საათის" ყოველდღიური მკითხველი ვარ და ამ გაზეთმა სხვა საკითხავი გადაფარა ჩემთვის. მე ვიცი, რომ აქ მრავალი რამ ჯერ კიდევ დასახვეწია, მრავალი რამ შეიძლება უკეთესად გაკეთებულიყო, მაგრამ მაინც ასე მოხდა. ზოგადად კი ის მინდა ვთქვა, რომ ყოველ ეპოქას, მისი ტექნიკური განვითარებიდან გამომდინარე, აქვს თავისი განსაკუთრებული ჟანრი, რომელშიც ეპოქა აღწევს თავის მხატვრულ სინთეზს. XIX საუკუნემ, ვიცით, მოგვცა ოპერა. დღეს უკვე ახალი ვერდი ვერ დაიბადება. XX საუკუნე — კინოს ეპოქა იყო და კინო დარჩა კიდევ ამ ეპოქაში. ჩვენ ფელინისა და ვისკონტის ველარ დავიბრუნებთ. მგონია, მომავალი საუკუნე მედიის ეპოქა იქნება. აქ არის პრესის დიდი პასუხისმგებლობაც და პერსპექტივაც.

**ნ. ა.** მე უფრო ტრაგიკული განწყობა მაქვს. ვფიქრობ, რომ დაიკარგა ან იკარგება მკითხველი. ბავშვების ცხოვრებაში სულ უფრო მეტი ადგილი უკავია კომპიუტერსა და ვირტუალურ რეალობას. მეორე მხრივ — რეგიონებში კულტურა ვერ აღწევს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ რეგიონებში სულ უფრო მეტად ისადგურებს სიბნელე. სულ უფრო ძნელი გახდება იმ ადამიანის პოვნა, რომელზედაც შეგვეძლება ვთქვათ, რომ მან იცის წერა-კითხვა.

**ზ. კ.** თუ ყვითელ პრესაზე იქნება ორიენტირებული, იქნებ ჯობს კიდეც, წერა-კითხვა არ იცოდეს?

*მე ამ კითხვაზე უკეთესს ვერაფერს მოვიფიქრებ. ამიტომაც აქ დავასრულებ ჩემს ანგარიშს, მით უმეტეს, რომ თვით საუბარიც ასე დასრულდა და მისი მონაწილეებიც დაფიქრებულნი მეგობრულად დაშორდნენ ერთმანეთს.*



გია ბუღაძე



ნოდარ ლადარია



ნოდარ ანდღულაძე



ზურაბ კიკნაძე

ლადო ბურდულის სვეტი

## მაგალითისთვის: ქართული შოუ-ბიზნესი



**გაგრძელება**

ხოლო ყველაზე გასართობი და სახალისო ამ ფონზე მაინც ქართული ტელეარხები, ანუ საინფორმაციო თრილერი-გადაცემები რჩება, რომელთა დამნაშავის სამიზნეები არასდროს ტრიალდება საკუთარი თავებისკენ და აი უკვე 13 წელი, მშენებარე, დამოუკიდებელ მშიერ, სამართლებრივ, უშუქო ქვეყანაში უშედეგოდ ეძებენ შავ კატებს. განსაკუთრებით, მათი უცოდველი, გაკვირვებული და ოდნავ დაბნეულ-დამრიგებლური, ჩემს ბავშვობაში ასე ნაცნობი პედაგოგების სახეების ყურება მიზიდავს გაურკვევლობაში შემთხვევით მოხვედრის განცდით, რომელიც ხანდახან კარგავს თავის დატვირთვის ფორმებს და ისე სექსუალურად ჟღერს, თითქოს ისინი სპეციალური მისიით მარსიდან მოევლინენ ადამიანთა მოდგმას გადასარჩენად, შესასწავლად და შოკში მყოფი ქართველი ხალხის დასახმარებლად დამნაშავე "ფანტომასის" დაკავებაში. ო, ეს მშვენიერი ვარსკვლავები: ოდნავ ჩაფიქრებული და მუდამ ხალხზე მზრუნველი ტელე-წამყვანები, რომელთათვისაც ასე გაუგებარი და დამთრგუნველია მოკვდავი ადამიანის ეს ოხერი სისუსტეები და მისწრაფებები.

ვარსკვლავობით კი დღეს 5 მილიონიან ქვეყანას ვერ გააკვირვებ: მათგან 4 მილიონი ხომ ვარსკვლავია, ოღონდ სამწუხაროდ, ლოკალური სახის, ანუ ადგილზე გაცემული საბუთით, რომლის ვარგისიანობა ჩრდილოეთით მხოლოდ გორით, ხოლო დასავლეთით ზუგდიდით შემოიფარგლება.

ამ ვარსკვლავობის ტრადიციები ჩვენში საუკუნეების სიღრმიდან მოდის. მოდით გავიხსენოთ ქართული თავად-აზნაურობის ინსტიტუტი, სადაც არისტოკრატიის სიმრავლით მთლიანად აღებული ევროპა ვერ დაეწეოდა ჩვენს პატარა სამშობლოს. მაგალითისთვის:

საქართველოდან გაქცეული მრავალი ინვესტორიდან, ერთ-ერთის ფრაზა, რომელიც აჟიტირებულმა ტრაპზე შეჰყვირა: "მე როგორ შემიძლია ვაწარმოო ჩემი ბიზნესი 5 მილიონიან ქვეყანაში სადაც 4 მილიონი თავადია!!!."

რაც მერე, ჩვენდა ასე სამწუხაროდ, დასავლურ კინემატოგრაფშიც შემდეგი სახით აისახა: ერთ ცნობილ ფილმში, რომელიც რამოდენიმეჯერ დატრიალდა სამამულო ტელევიზიებით, იმართება დიალოგი სასოწარკვეთამდე შეყვარებულ ქალიშვილს და მილიონერ ბიზნესმენ მამას შორის; ერთ ქართველ, ღარიბ სამეფო გვარის წარმომადგენელზე უიმედოდ შეყვარებულ საბრალოს, ასე "ბეზუტეშნად" ამშვიდებს პრაგმატი მილიონერი მამა სიტყვებით: "შენ იცი ეგ რა ქვეყანაა!? მანდ ხომ ყველა მეფეა, ვისაც ერთი ძროხა ჰყავს!"

ხოლო დღევანდელ დღეს, ანუ 21-ე საუკუნის საქართველოში კი ვარსკვლავად (რომელმაც ჩვენში დღეს თავად-აზნაურობის ინსტიტუტი შეცვალა) გახდომისთვის, ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანისთვის, ყველაზე ადვილი მაინც ტელე-წამყვანობა რჩება, მეორეზეა ესტრადა და მესამეზე - ქართული პარლამენტი, რადგან ამ უკანასკნელს ფულის, სამსახიობო ნიჭის და ტელეგენურობის გარდა, "პალაჟენიის" ქონაც და რომელიმე საბრძოლო ხელოვნების ცოდნაც სჭირდება.

მას შემდეგ კი, რაც ჩვენს სამამულო არხებზე "პირველი მერცხალი", ანუ პირველი და ჩემდა გასაკვირად, ჯერჯერობით ერთადერთი მუსიკალური ტელეარხი "მაესტრო" გაჩნდა, რადიკალურად შეიცვალა ჩვენი არცთუ ისე შორეული წარსული, როცა ოფიციალურ ვარსკვლავობის მსურველებს ასე პატარა არჩევანი ჰქონდათ: ტელე-წამყვანობა, ან პარლამენტარობა. ხოლო არაოფიციალურებს, ანუ ქუჩის ანდერგრაუნდს – ქურდობა, ან განგსტერობა, ანუ სამამულო ენაზე "ყაჩაღობა".

დამეთანხმებით, მძიმე დრო იყო ქართული შოუ ბიზნესისთვის, როცა ის ერთ ენაზე "გიჟებად" იწოდებოდა, ხოლო მეორეზე "გრეხობად", ანუ: ერთის მხრივ ოფიციალური ქართული ტელე-არხები ავტომატურად მარტო პოლიტიკოსების პრომოუშენით იყვნენ დაკავებულები, ხოლო მეორე მხრივ, არაოფიციალური – ქურდული გაგების პრომოუშენით.

ეს ის დროა, როცა ოფიციალურად, ერთის მხრივ - ქართული პარლამენტი უკვე MTV-ის რეჟიმით მუშაობდა, ხოლო პოლიტიკოსები კი როკ და პოპ ვარსკვლავების პონტში "ხურდებოდნენ" პრინციპით – "უძაღლო ქვეყანაში...". ცოტა აკლდა ქართულ პარლამენტს, რომ აბრა შეეცვლა "ცირკის", "თეატრის" ან "ფილარმონიის" სახელით. ხოლო არაოფიციალურად, მეორეს მხრივ - ქუჩის აკადემია თავისი წარჩინებული სტუდენტ-მასწავლებლობის ლობირებით, როცა უიარაღო ადამიანი ქუჩაში კაცად არ ითვლებოდა, გაუთავებელი "რაზბორკები" ოჯახებს, უბნებს სამეგობროებს და ა.შ. შორის, რომელიც უმთავრეს შემთხვევაში ძალოვანი სტრუქტურით, ან მუხანათური ტყვიით მთავრდებოდა.

"მაესტროს" ისტორიაც დაახლოებით იმას მაგონებს, თუ როგორი იმედით და სიხარულით ველოდებოდით ქართული FM რადიოების შექმნას საქართველოში და როცა ეს ნანატრი წამი დადგა, როგორ აღმოჩნდა ის ისევ პოპსას და პოლიტიკის, ანუ ისეთი "გაურკვეველი" ხალხის ხელში, რომლებიც სრულიად შემთხვევით მოხვდნენ ამ ბიზნესში და გემოს გაგების და დამუღამების შემდეგ კი, იმ ბულდოგის "მიორტვი ხვატკაში" დარჩნენ, რომელსაც მხოლოდ ნაცადი ვეტერინარი თუ გაახსნევინებდა.

ეს კი ლოგიკური შედეგით დამთავრდა: ამ ქვეყანაში ყველაფერი ხომ "ბუტკების მოდის" მაგალითს ჰგავს - იყო ერთი, გახდა მთელი საქართველო.

მას შემდეგ კი, რაც "ვიდეომ მოკლა რადიო ვარსკვლავი", გაჩნდა ჩვენი, ქართულ MTV-ად წოდებული "მაესტრო", რომელმაც თავისი გამოჩენით რადიკალურად შეცვალა და უფრო გამოაცოცხლა ქართული "პოპსა" და ახალგაზრდული ცხოვრება; განსკუთრებით კი ქალაქის შემოგარენში, სადაც ქართული შოუ ბიზნესის ყველაზე ერთგული და აქტიური მონაწილე საზოგადოება ცხოვრობს.

ხოლო რაც შეეხება ჩვენს მესიკალურ არხს, მინდა მეგობრებს შევახსენო ქართულ შოუ-ბიზნესში მათი წინამორბედი FM-ების კრახის მიზეზები და მოვუწოდო მათ უფრო მეტი გემოვნებისკენ, უფრო მეტი მუსიკისკენ და არხზე უფრო მეტი ამ საქმეში ჩახედული პროფესიონალების მოწვევისკენ, რადგანაც ქართულად დანახული MTV ხანდახან ძალიან თავდაჯერებულ და სასაცილო ფორმებს იძენს.

**ალბათ ჩვენი ტელეარხების, რადიოსადგურების და საერთოდ, ქართული შოუ-ბიზნესის საქმე მანამ იქნება ასე უიმედო და მოსაწყენად ერთფეროვანი, სანამ ქართულ კანონმდებლობაში საავტორო უფლებების დაცვა ყველაზე არაპოპულარულ საქმიანობად ჩაითვლება; სანამ იდეების, აღმოჩენების და ინტელექტუალური საკუთრების მოპარვა კონსტიტუციურად დაცული ექნებათ და არც არავინ მოთხოვს მათ ამაზე პასუხს - ასე ხომ უფრო კომფორტულია; ანუ, სანამ ყაჩაღობა დაკანონებული იქნება ქართული ბაზრობის რეიტინგით და ქართული უმაღლესი კანონმდებლობით.**

ელ-ფოსტა:ladoart@yahoo.com

# რეკონსტრუქცია სიონის შემოგარენში

თამარ სუხიშვილი

**"არს კალას ეკლესია გუმბათიანი, დიდი, დიდად შუენიერი, სიონი წოდებული, ღვთისმშობლისა..."**
*"ქართლის ცხოვრება"*

ჩვენი ქვეყნის ძნელბედობის ჟამს არაერთგზის დაქცეულ, მრავალ განსაცდელგამოვლილ სიონის ტაძარს ტექნიკური პროგრესის საუკუნეში გრუნტის წყლებმა შეუქმნა საფრთხე.

ეს საფრთხე სპეციალისტებმა ჯერ კიდევ 1985 წელს შენიშნეს: მიწისქვეშა წყლები (როგორც გრუნტის, ისე საკომუნიკაციო საშუალებებისა და კოლექტორების გამონადენი წყლები) ტაძრის საძირკველს და კედლებს აზიანებდა. გვარიანად ამორტიზებული სადრენაჟო სისტემა უკვე ველარ ასრულებდა თავის ფუნქციებს. თითო-ოროლა პროფესიონალის გულისტკივილი და წამოჩივლება საქმეს ვერ შველოდა, უსახსრობის გამო ეს პრობლემა ვერ მოაგვარეს. მერე დაიწყო თბილისის ომი, პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის პერიოდი და ტაძრის პრობლემები ყველას მიავიწყდა.

ამასობაში სიონის საკათედრო ტაძრის დასავლეთის, ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის კედლები დასველდა – ტაძრის საძირკველში საათში 15 კუბური მეტრი წყალი ჟონავდა (ეს სულ ახლახანს დაადგინეს), სინესტისაგან დაზიანდა ტაძრის კოლონები, გაიცრიცა და წაიშალა სამხრეთისა და დასავლეთის კედლის მხატვრობა (მხატვარ ლევან ცუცქირიძის ნამუშევრები)...

ვისაც ამ ბოლო დროს სიონთან ჩაუვლია, აუცილებლად შეამჩნევდა სასიკეთო ცვლილებას – ეკლესიის ეზო მიმდებარე სიონის ქუჩის ხარჯზე გაფართოვდა (ქუჩის ადგილას ახლა მხოლოდ სასულიერო აკადემიისკენ მიმავალი 3-მეტრიანი გასასვლელი დარჩა). ტაძრის ეზოში ორივე მხრიდან ჩადის პარადული კიბეები...

სიონის ტაძრის რესტავრაციის პროექტი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდმა (ხელმძღვანელი დავით ნინიძე) დააფინანსა (სხვათა შორის, ეს ფონდი ატარებს სარესტავრაციო სამუშაოებს შარდენის ქუჩასა და ერეკლეს მოედანზეც). პროექტი სადრენაჟო სისტემის დამონტაჟებასთან ერთად ტაძრის კეთილმოწყობასაც ითვალისწინებს: "ეს იყო პროექტის ძირითადი ამოცანა, – განგვიმარტავს პროექტის ავტორი, საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი ირაკლი მოსულიშვილი, - მაგრამ სადრენაჟო სისტემის გამართვა სიონის ქუჩის რეკონსტრუქციის გარეშე ვერ მოხერხდებოდა. ამასთან ერთად, ტაძრის ეზოც გავაფართოვეთ – დიდ სივრცეში საეკლესიო რიტუალის შესრულება უფრო მოსახერხებელი იქნება."


სიონის შემოგარენი გაფართოვდა
ლევან ხერხეულიძის ფოტო

დღეისათვის სამუშაოთა დიდი ნაწილი შესრულებულია. სადრენაჟო, სანიაღვრე და წყალსადენის სისტემები უკვე ფუნქციონირებს. კედლები თანდათანობით შრება. ეზოს ერთ მონაკვეთზე უკვე ქვაფენილიც დაიგო. ძირითადად მხოლოდ საყრდენი კედლის (ე.წ. თაღნარის) და ნაკურთხი წყლის წყაროების კედლის მოსაპირკეთებელი სამუშაოებია დარჩენილი. გეგმის მიხედვით, ეზოში შესაფერის განათებასაც დაამონტაჟებენ.

როგორც ვარაუდობენ, პროექტი წლის ბოლოს დასრულდება. თუმცა, როცა წინ ცივი ზამთარი გელოდება, პროგნოზირება ცოტა არ იყოს რთულია.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სიონის ტაძრის რეკონსტრუქციის პროცესი არქეოლოგიური თვალსაზრისითაც საინტერესო აღმოჩნდა: "გათხრების დროს გაირკვა, რომ ტაძარს თურმე საკუთარი გალავანი ჰქონდა, დღეს შემოერთებული ეზო კი დაახლოებით VII-VIII საუკუნეებში სიონის ტაძრის კუთვნილება იყო, მერე მიწამ თანდათანობით ზევით აიწია და ეზო გადაფარა," – გვეუბნება ძველი თბილისის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი ოთარ ტყეშელაშვილი, რომელიც პროექტის არქეოლოგიურ ნაწილს კურირებს.

გათხრების დროს არქეოლოგები ტაძრის ნამდვილ საძირკველსაც ეძებდნენ, მაგრამ ვერ მიაკვლიეს. სამაგიეროდ XII საუკუნის ორნამენტებიან ლავგარდანს წააწყდნენ, იპოვეს ჯერჯერობით დაუთარიღებელი თიხის ჭურჭელიც.

"XVII საუკუნის ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, სიონის ტაძარს კარიბჭეც ჰქონდა, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია," – ამბობს ბატონი ოთარი. პროექტის ავტორებსა და საპატრიარქოს ამ კარიბჭის აღდგენა სურთ.

სიონის საკათედრო ტაძრის შემოგარენში რეკონსტრუქციული სამუშაოები ახლაც მიმდინარეობს.

ისე კი, მაცხოვრებლებს და სპეციალისტებს რომ შეეკითხოთ, მთელი ლესელიძისა და მიმდებარე ქუჩების სარდაფები წყალშია. წყალშია ქარვასლის საძირკველიც.

# მაგნოლიის ყვავილის ნოსტალგია

## სუპერ-მოდელი ახალ ბიზნესს იწყებს

*ერთი კვირაა, თბილისელი მანდილოსნები ახალ სუნამოს აგემოვნებენ. მართალია, არომატების დარგში სიახლე დღეს უკვე აღარავის უკვირს, მაგრამ სურნელი, რომელზეც ქვემოთ მოგითხრობთ, მაინც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია. საუბარია სუპერ-მოდელ სინდი კროუფორდის პირველ სუნამოზე, რომლის ოფიციალური პრეზენტაციაც ორიოდე დღის წინ მაღაზიათა ქსელ "ისი პარის" ოფისში გაიმართა. "სინდი კროუფორდი" მოდელის პირველი ექსპერიმენტია არომატების სამყაროში. ამიტომაც მოჰყვა მის გამოსვლას დიდი საერთაშორისო რეზონანსი.*

*სუნამოს ევროპული პრეზენტაცია ბერლინში, სექტემბრის დასაწყისში გაიმართა. ის თბილისში "ისი პარიმ" სულ ახლახან შემოიტანა.*

*სინდის იმედი აქვს, რომ მისი სახელობის სურნელი მალე გახდება სავიზიტო ბარათი იმ თანამედროვე და საქმიანი ქალბატონებისთვის, რომელთაც სურთ, მშვენიერები იყვნენ.*

თამარ ბაბუაძე

ელიზაბეტ ტეილორი, ნაომი კემბელი, კრისტი ტარლინგტონი, გაბრიელა საბატინი, ჯენიფერ ლოპესი – ის ცნობილი ქალბატონები, რომელთაც საკუთარი კოსმეტიკური ხაზი შექმნეს, შეიძლება უსასრულოდ ჩამოვთვალოთ. როგორც ჩანს, ჩოგბურთის კორტზე, პოდიუმზე თუ კინოში მიღწეული წარმატების შემდეგ ვარსკვლავი-ქალების ცხოვრებაში ყოველთვის დგება მომენტი, როდესაც ისინი სუნამოთი გადაწყვეტენ საკუთარი თავის უკვდავყოფას. როგორც წესი, ასეთი ქალბატონები აყალიბებენ იდეას, თავიანთი სუნამოს კონცეფციას, რომელიმე ფირმასთან აფორმებენ კონტრაქტს და შემდეგ უკვე მათი იდეის მიხედვით ე.წ. "არომატის სახლები" ქმნიან კონკრეტულ სურნელს.


სინდი კროუფორდი ახალი სუნამოთი

თუმცა, სინდი კროუფორდი გამონაკლისი აღმოჩნდა. როგორც ჰყვებიან, მან თავისი სახელობითი სურნელის შექმნაში უშუალოდ მიიღო მონაწილეობა. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ სუპერ-მოდელი საკუთარი კოსმეტიკური ხაზის გახსნაზე თავიდანვე ოცნებობდა. მაშინაც, როდესაც პოდიუმზე ადიოდა, როდესაც MTV-ზე საკუთარი გადაცემა მიჰყავდა, ფიზიკური ვარჯიშების საოცრად მოგებიან ვიდეო-კასეტებს იწერდა, გამოსცემდა წიგნს მაკიაჟის ხელოვნების შესახებ და მაშინაც, როდესაც ინტერნეტსაიტ e-style.com-ის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ხდებოდა. ერთი სიტყვით, სუნამო, რომელიც დღეს თბილისში იყიდება, სინდი კროუფორდის ოცნების ასრულებად შეიძლება ჩავთვალოთ. სუპერმოდელი აცხადებს კიდეც: "ეს სუნამო ჩემი ისტორიაა".

"გამოხატე საკუთარი სილამაზე" – ახალი სუნამოს ეს დევიზი სტანდარტულად ჟღერს. ჩვენივე მშვენების აღმოჩენას ხომ ისედაც უამრავი პრესტიჟული არომატი გვპირდება. თუმცა, სუპერ-მოდელის სურნელი განწყობაზე მართლაც დადებითად მოქმედებს. მისი ძირითადი კომპონენტი მაგნოლიის ყვავილია, რომელიც სინდის საყვარელი მცენარე ყოფილა და მისთვის სილამაზის სიმბოლოსაც წარმოადგენს. სწორედ ამიტომ სუნამოს ხელაღებით ნამდვილად ვერ მიაკუთვნებთ ცივი ან ტკბილი არომატების რიგს, ის უფრო ნაზი, დახვეწილი და მათრობელა სურნელით გამოირჩევა, ისეთით, გაზაფხულს რომ გაგონებს.

სინდი კროუფორდს სხვა სუპერმოდელებისგან მართლაც განასხვავებს თავისი სისადავე – ის ხომ ეგზოტიკური სილამაზის, ტემპერამენტიან ნაომი კემბელს არაფრით ჰგავს. შესაბამისად, სინდის სუნამოც პატრონს მოგაგონებთ. ბაცი ატმისფერი, უბრალო ფლაკონიც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს სახელობითი არომატი ძალიან სადაა, მაგრამ ამავე დროს – დახვეწილი.

სუპერ-მოდელი საქმიან და მშვენიერ ქალბატონებს კიდევ მრავალ სიახლეს ჰპირდება. თუმცა, მანამდე ჯერ მისმა პირველმა სუნამომ უნდა გაუძლოს სხვა ვარსკვლავების სახელობით არომატებთან კონკურენციას. ასეთები ხომ, თავადაც იცით, მრავლადაა... სინდი კი დარწმუნებულია, რომ სუნამოების ბაზარზე წარმატების მიღწევაში მას ინტელექტუალი მოდელისა და მზრუნველი დედის იმიჯი დაეხმარება.

# თაგვები სრულებითაც არ არიან ბინძურები

## დღეს მიკი მაუსის დაბადების დღეა

თამარ მურვანიძე

"მიკი მაუსი უყვარდა ყველას: ბავშვებს, რომლებიც მის დანახვაზე გულიანად იცინოდნენ, ფილოსოფოსებს, რომელნიც ფიქრობდნენ, რომ მიკი ამერიკული ინდივიდუალიზმის გამოხატულებაა, ესთეტებს, რომლებიც მასში დიზაინის პირველ ტრიუმფს ხედავდნენ..." – წერდა ერთ-ერთი პოპულარული ჟურნალი. სამაგიეროდ, მიკი მაუსი სძულდათ ფაშისტებს, მათ ჩანაწერებში ასეთ რამესაც ამოიკითხავთ: "მიკი ყველაზე უბადრუკი იდეალია, რაც კი ოდესმე შექმნილა. საერთოდ, თაგვები ბინძურები არიან." სხვათა შორის, ეს მინიშნება გამოყენებულია ფილმში "რიგითი რაიანის გადასარჩენად".

ლეგენდარული რეჟისორის, უოლტ დისნეის წარმატება ე.წ. ნეანდერტალელი მიკის – ოსვალდის შექმნის ისტორიით დაიწყო. დისნეიმ თავისი ანიმაციური ფილმების ერთ-ერთი პირველი გმირი – კურდღელი ოსვალდი დახატა.



მაგრამ ამ მულტფილმის საავტორო უფლება მას რატომღაც არ მისცეს და სასაცილო, გულუბრყვილო ოსვალდი ხელიდან გამოსტაცეს. ეს მოხდა იმ დროს, როდესაც ამერიკელი კურდღლის პოპულარობა დღითიდღე იზრდებოდა. დისნეი უსამართლო ქურდობას არ შეეგუა და კომპანია მიატოვა, ოსვალდიც თან წაიყვანა. ამის შემდეგ რეჟისორი სტუდიიდან სტუდიაში გადადიოდა, ქმნიდა სხვადასხვა მულტიპლიკაციურ სახეებს და მოულოდნელმა წარმატებამაც არ დააყოვნა.

ერთხელ დისნეი მეუღლესთან ერთად მატარებელში იჯდა, ლაპარაკობდნენ, თან რაღაცაზე მსჯელობდნენ და რეჟისორის წარმოდგენაში უეცრად გაიელვა მიკი მაუსის სახემ. მაშინ დისნეი მიკის მორტიმერს ეძახდა, მაგრამ მეუღლე უმტკიცებდა, რომ ეს სახელი არ გამოდგებოდა, "მორტიმერს" შარმი აკლდა. დისნეიმ მეუღლის შენიშვნა გაითვალისწინა. ასე დაიბადა მიკი მაუსი. ეს იყო თაგვი ოდნავ წაგრძელებული სახით და უზარმაზარი თვალებით. მას ჯერ არც მოკრივის ხელთათმანები ეცვა და სახეც ცოტა წაგრძელებული ჰქონდა. პირველი მიკი უფრო მოუქნელი იყო, ყურებიც რაღაც მოუხერხებლად ჰქონდა გამობმული, თითქმის ერთმანეთზე მიწებებული, მიკის კიდურები კი მუნდშტუკს წააგავდა. მერე მიკი გაიზარდა, დაიხვეწა, კუდიც დაუგრძელდა; თვალის დიდი უპეები პატარა, ცოცხალმა შავმა თვალებმა (მრგვალმა შავმა წრეებმა) შეცვალა, ყურები ცოტათი დაშორდა ერთმანეთს, ფეხზე ფეხსაცმელი ჩაიცვა და...

ხალისიანი, მომღიმარი მიკი მაუსი 1928 წლის 18 ნოემბერს პირველად მოევლინა მაყურებელს (სწორედ ამ დღეს აღნიშნავენ მიკი მაუსის დაბადების დღეს). თავის დაბადების დღეს მიკის ხელთათმანები ჯერ კიდევ არ ჰქონდა, ხელთათმანები მას მოგვიანებით უყიდეს. დროთა განმავლობაში პატარა თაგვმა კიდევ არაერთი ცვლილება განიცადა, მიკიმ გაუძლო მეორე მსოფლიო ომის საშინელებასაც და კაცობრიობის ყველაზე მძიმე წუთებში ადამიანებისთვის მხნეობისა და სიკეთის სიმბოლოდ იქცა. ომის დროს მოკავშირეებისათვის მიკის სახელი ერთგვარად სიმბოლური მნიშვნელობის სიტყვა იყო.

მიკი მაუსი იმ იშვიათ პერსონაჟთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებსაც არასოდეს ივიწყებენ. მიკი ისევ ისეთი პოპულარულია დღესაც და დარჩება კიდეც ყველა დროისა და ყველა თაობის საყვარელ კინოგმირად, როგორც მარადიული სიკეთისა და ბედნიერების სიმბოლო.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

# ოზურგეთული ამარკორდი

ნოდარ მალაზონია

## იაშა ლუკიანოვი

იაშას მხოლოდ ყავარჯნებით შეეძლო გადაადგილება და ისიც ვიღაცის დახმარებით.

იაშა დახვეწილი ჰაბიტუსის მქონე რუსი ყმაწვილი იყო, თანაც ერთობ მომხიბლავი ღიმიც ჰქონდა და თავაზიანობაშიც ვერ დადებდით წუნს.

ერთ დღეს იაშამ, დიდი თხოვნა მაქვს შენთანო, მითხრა და თავისი საიდუმლოც გამანდო. - უნდა დამეხმარო და ბჟუჟის ხიდამდე უნდა ჩამიყვანოო...

საღამოს, დათქმულ დროს, მოკლეზედ, შუკა-შუკა, როგორც იქნა დიდის ვაივაგლახით, იაშა ბჟუჟის ხიდის თავთან მივიყვანე.



ნატურმორტი ბოლოკით

ნოდარ მალაზონიას ნახატი

იაშა და მშვენიერი ზინა ექთანი ერთმანეთზედ გაგიჟებამდე ყოფილან შეყვარებული. მათი სამიჯნურო ამბები მთელმა ლაზარეთმა იცოდა თურმე, მე კი ის პატივი მხვდა წილად, მათი პირველი პაემანი ჩემი დახმარებით შემდგარიყო.

## გერმანე ჯიბუტი

ერთხელ ლაზარეთში, როცა დედასთან მივედი, დერეფანში უცნაურად პირგალებული კაცი დავინახე. ჯერ ვიფიქრე, ალბათ ამთქნარებს-მეთქი, მაგრამ როცა სახლში დავაპირე წასვლა და ის კაცი ისევ იქვე, პირგამეხებული რომ იდგა, გავოცდი.

ვხედავ კიბეზედ, თეთრი ხალათით, ექთანთან ერთად ქირურგი გერმანე ჯიბუტი ჩამოდის, რომელმაც შეხედა თუ არა პირგახეულს, ხელით ანიშნა, აქეთ მოდიო და თვითონ იქვე ფანჯარასთან შეჩერდა.

უცნაური პაციენტი ლაქუც-ლაქუცით ისე გაეშურა ექიმისაკენ, კუდქიცინიღა აკლდა.

- აქეთ მოიწი! - მკვახედ უთხრა ექიმმა და ჯიქურ მისკენ ისე შემოაბრუნა (როგორც შემდეგ მივხვდი), რაც შეიძლებოდა მოხდენილად ეგლიჯა მუშტი მისთვის ყბაში.

ერთი კი ამოიგმინა მწარედ პირგამეხებულმა პაციენტმა და ისე გადაქანდა, გერმანე ექიმს რომ მკლავში ხელი არ წაევლო, იქვე დავარდებოდა. ამის დამნახავ ექთანს და მე სიცილი წაგვცდა.

გერმანემ ამჯერად უკვე მოულოდნელად, პირდაცული კაცი ისევ ჯიქურ მისკენ შემოაბრუნა, ყბაში წვდა, საგანგებოდ აქეთ-იქით შეუნჯღრია და მრისხანედ უთხრა:

- აბა გააღე პირი!.. ახლა დახურე... გააღე... დახურე!.. ახლა წადი და მეორედ აქ აღარ განახო!..

როგორც შემდეგ შევიტყვე, ეს სიმულიაციის ერთ-ერთი საშუალება იყო ჯარიდან თავის დასაღწევად, რომლის ილეთს, როგორც ჩანდა, კარგად ფლობდა ის "პაციენტი".

იცოდა ეს გერმანე ექიმმა და მისი აშკარად უხეში დამოკიდებულებაც დეზერტირი "ავადმყოფის" მიმართ, მხოლოდ ამით შეიძლება ავხსნათ.

## ვარლამ სიმონიშვილი

გურიაში სახელგანთქმული, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ლოტბარი, ვარლამ სიმონიშვილი, მკაცრი და ერთგვარი ამბიციური შესახედაობის, ლამაზი კაცი იყო.

ტანზედ ვარლამს მეწამულისფერი ჩოხა და მწვანე ხავსისფერი ახალუხი, წელზედ კი ვერცხლის მოსირმული ხანჯალი ეკიდა მუდამ. ფეხზედ შავი შემოწკეპილი, მუხლის ქვემოთ ვერცხლისავე ბაბთებიანი პაჭიჭებით შემოსალტული უძიროები ეცვა.

ვარლამი თავის "მედლებსა და ორდენებს" მამას ახატვინებდა, შემდეგ კი ბათუმში ოქრომჭედელს შესაფერის მასალაში გამოაჭედვინებდა და ჰქონდა მკერდი "ორდენებითა და მედლებით" მოჩინჩხლული: იმდენი და იმნაირი, როგორიც მას მოსწონდა; რომლებზედაც "ჩონგურ-ფანდური" თუ "შაშვი და კაკაბი" იყო გამოსახული.

## ნარიმან ჭელიძე

ნარიმანა ბაზრის წყლის პირას ცხოვრობდა. საკმარისი იყო, ნარიმანა ხიდზედ გადასულიყო და იქვე, იპოლიტე გორდელაძის ლიმონათის ქარხანა იყო, სადაც ნარიმანა ჩამომსხმელად მუშაობდა.

ნარიმანა ერთხელ უკვე იყო ფინეთის ომში ნაომარი, ფეხის თითებიც იქ წაეყინა და შემდეგ ისე დადიოდა, გეგონებოდათ ფეხსაცმელები უჭერსო.

როდესაც დიდი სამამულო ომი დაიწყო, ოზურგეთში "აბლავებიც" გახშირდა და ქუჩებში პატრულებიც გამოჩნდნენ. ნარიმანა კი რეზერვისტი გამნალმველი იყო და მას შემდეგ კიდევ უფრო დაფრთხა, რაც პატრული ხიდზედაც დააყენეს.

ნარიმანას ისევ ფრონტზედ წასვლა არაფრით აღარ უნდოდა და სულ იმის ფორიაქში იყო, ჰა და ჰა, წამავლებენ ხელს და რაღა მეშველებაო.

რა ქნას ნარიმანამ? სამსახურში ხომ უნდა წავიდეს, მის ოჯახს იმით უდგას სული; მაგრამ როგორ?! მართალია ქარხანა აგერ წყალგაღმა, ცხვირწინ არის, მაგრამ ხიდი?

ხიდზედ ხომ პატრული დგას?!.

ჰოდა ნარიმანამ იფიქრა, იფიქრა და მოიფიქრა, ქარხანაში შემოვლითი გზით მისულიყო. ამისათვის კი მას ბაღ-ბოსტნებში უნდა ებღოწიალა და შემდეგ სასაფლაოზედ გადავლით მშვიდობიანად მიაღწევდა სამსახურში.



ნოდარ მალაზონიას ნახატი

მაგრამ, რომ იტყვიან, ვაის გავეყარე და უის შევეყარეო, სწორედ ისე მოუვიდა ნარიმანას.

ტალახს და ეკალ-ბარდებს ვინ ჩიოდა, ძაღლებმა გაუმწარეს სიცოცხლე. ხან შარვალი ჰქონდა გამობდღვნილი და ხანაც უკანალი.

- რას გავხარ ბიჭო, ნარიმანა, მოგდევდა ვინმე? - ყოველ მისვლაზედ გაკვირვებული ეკითხებოდა იპოლიტე. - რავა ამოგანგლულხარ, სანგრებს ხომ არ გათხრევინებს ვინმე?

- ე, მაგი რომ არ მინდა, სწორედ იმიზა ვარ ასთე. - როგორც იქნა, ერთ დღეს ამოღერღა ნარიმანამ.

ძნელია გაექცე ბედისწერას. ნარიმანა ჯარს დაემალა, მაგრამ ერთ დღეს, მსხალზედ ასულა, ადესეს მოსაკრეფად, ჩამოვარდნილა და იქვე, თავისივე ეზოში, დაულევია სული.

# ბორკილებდადებული ოლიგარქ-მილიარდერი

მელორ სტურუა
ნიუ იორკი - მინეაპოლისი



REUTERS

ჯონ რიგასი

ნიუ-იორკში ის-ის იყო თენდებოდა, როდესაც შეიარაღებული საფოსტო ინსპექტორები რიგასების ბინას ეწვივნენ მანჰეტენზე, აღმოსავლეთის 75-ე ქუჩაზე "სარატოგა-ბილდინგში". სამივე რიგასი - ჯონი და მისი ორი ვაჟიშვილი, მაიკლი და ტიმოთი - წვერგაპარსულები და ჩაცმულები, უკვე ელოდნენ. როდესაც ცათამბჯენის 23-ე სართულზე მდებარე თავიანთი აპარტამენტის კარი ინსპექტორების კანუნზე გაიღო, ტიმოთიმ, სიტუაციის დრამატულობის მიუხედავად, მაინც მოახერხა ხუმრობა:

- ჩვენ ფერმაში ვცხოვრობთ. ასე რომ, ადრე ადგომას მიჩვეულები ვართ...

მთელი წინა ღამე, პირადად თუ ტელეფონით რიგასები თავიანთ იურისტებს ეთათბირებოდნენ. და საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ უმჯობესია საკუთარი ნებით ჩაბარდნენ ხელისუფლებას, ვიდრე გაქცევით სცადონ თავის შველა. თუმცა, გაქცევა უსარგებლო იქნებოდა, ვინაიდან ინსპექტორები სამივეს უთვალთვალებდნენ. თავდაპირველად ტიმოთი რიგასმა გადაწყვიტა ნიუ იორკიდან წასვლა. გრანდ-ცენტრალის ტერმინალიდან მატარებლით გაემგზავრა, გრინვიჩში ჩამოვიდა, ადგილობრივ დილერთან ნახმარი "აუდი" შეიძინა და მანჰეტენზე დაბრუნდა. ჯონიმ და მაიკლმაც სცადეს ნიუ იორკის დატოვება. დაქირავებული "შევროლეთი" ისინი თავიანთ აგარაკზე გაემგზავრნენ. თუმცა, 80 მილის გავლის შემდეგ ისინი მოულოდნელად მოტრიალდნენ და მანჰეტენზე დაბრუნდნენ. ნიუ-იორკის მთავარი საფოსტო ინსპექტორის მოადგილის, თომას ვან დე მერლინის სიტყვებით, რიგასებმა აღმოაჩინეს, რომ მათ უთვალთვალებდნენ და გზაშივე მიიღეს კონსულტაცია თავიანთი ადვოკატებისაგან, რომელთაც ურჩიეს - დაბრუნებულიყვნენ ნიუ-იორკში და დალოდებოდნენ დაპატიმრებას.

ვინ არიან რიგასები და რატომ აღმოჩნდნენ თემიდის მკლავებში?

ჯონ რიგასი, რომელიც ამჟამად 78 წლისაა, საკაბელო გიგანტის "ადელფია ქომუნიქეიშენსის" (Adelfia Communications) დამფუძნებელი და ხელმძღვანელი იყო. 1952 წელს ის ფლობდა პატარა კინოთეატრს პენსილვანიის სოფელ ქუდერსპორტში. მეგობრის რჩევით ჯონმა იყიდა ფრანჩაიზული უფლება კაბელზე. მაშინ შეერთებულ შტატებში სულ რაღაც 60 მცირე საკაბელო სისტემა არსებობდა. რიგასმა და მისმა ძმამ - გასმა შექმნეს ფირმა (Community antenna association), რომელიც შემდგომში მსხვილ საკაბელო ბიზნესად გადაიქცა. ძმებმა თავი აარიდეს მსხვილ მეტროპოლიებს და ქალაქის შემოგარენში წვრილი საკაბელო საწარმოების შესყიდვა დაიწყეს. ასე გაჩნდა კომპანია "ადელფია", რაც ბერძნულად "ძმობას" ნიშნავს. 1982 წელს რიგასმა ძმის აქციებიც შეიძინა და კომპანიის სრულუფლებიანი მეპატრონე გახდა. მოგვიანებით მას შეუერთდა მისი სამი ვაჟი - მაიკლი, ტიმოთი და ჯეიმსი. ამგვარად, კომპანია "ძმობა" გადაიქცა კონცერნად "მამები და შვილები". ტურგენევისეული მამებისა და შვილებისაგან განსხვავებით, რიგასები საქმეებს აწარმოებდნენ და ცხოვრობდნენ ერთმანეთთან სრულ ჰარმონიაში; ერთმანეთთან და არა, როგორც ახლახან გაირკვა, - კანონთან.

რიგასებისეული "მამები და შვილები" აღმავლობის გზით მიდიოდა. "ადელფია" (დაიპყრო რა ნიუ იორკის შტატისა და დიდი ლოს ანჟელესის რაიონის უმნიშვნელოვანესი ბაზრები) გახდა სიდიდით მეექვსე კაბელური ოპერატორი ამერიკაში. ჯონ რიგასი გახდა მულტიმილიონერი და ამერიკული ოცნების პროპაგანდისტი - ღარიბი იმიგრანტი საბერძნეთიდან, ცხოვრების ბატონ-პატრონად იქცა თანაბარი შესაძლებლობების ქვეყანაში. და ბოლოს, რათა საბოლოოდ დაემშვენებინა ეს კანონიკური სახე, რიგასი მულტიმილიონერთა ლიგიდან მილიარდერთა უმაღლეს ლიგაში გადავიდა.

ყველაფერი საათივით იყო აწყობილი, სანამ მიმდინარე წლის მარტში არ იფეთქა გრანდიოზულმა სკანდალმა. გამოირკვა, რომ ეს "მამები და შვილები", აგრეთვე, "დედები და ქალიშვილები", ყველანი ერთად მრავალი წლის განმავლობაში უბრალოდ ატყუებდნენ თავიანთ კლიენტებს. მათ კი დაახლოებით 6 მილიონი კლიენტი ჰყავდათ 32 შტატში. რიგასების ოჯახმა მათი ჯიბეებიდან თითქმის 2,5 მილიარდი დოლარი ამოაცოცა! სკანდალმა კომპანიის აქციების მკვეთრი დაცემა გამოიწვია უოლ-სტრიტზე, რამაც კიდევ უფრო ძლიერი დარტყმა მიაყენა ამ აქციების მოტყუებულ მფლობელებს. აპრილში ბირჟისა და ფასიანი ქაღალდების კომისიამ "ადელფიაში" არსებული მდგომარეობის გამოძიება დაიწყო. ჯონ რიგასი იძულებული გახდა, ყველა დაკავებული თანამდებობიდან გადამდგარიყო. ნასდაკმა - ტექნოლოგიური ბიზნესის ბირჟამ - შეწყვიტა "ადელფიის" აქციებთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია. გადადგნენ კომპანიის სხვა ხელმძღვანელებიც, რიგასის ვაჟიშვილების ჩათვლით. დიდი ფედერალური ჟიური შეუდგა "მამების და შვილების" ფინანსურ მაქინაციებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებას.

მაისში "მამები და შვილები" გამოყვანილ იქნენ დირექტორთა შემადგენლობიდან და ჩამოერთვათ კომპანიაზე სრული კონტროლი. ისინი დათანხმდნენ, გადაეხადათ ერთი მილიარდი დოლარი თავიანთი "სესხების" დასაფარავად და კიდევ 567 მილიონი დოლარი ნაღდი ფულით - მათ მიერ გაძარცული საკაბელო კომპანიებისათვის. "ადელფიის" აქციებმა პრესტიჟული ნასდაკიდან გადაინაცვლეს ბაზარზე სახელწოდებით "ხელიდან ხელში", ანუ გადაინაცვლეს ქუჩაში, რა თქმა უნდა, არა უოლ-სტრიტზე. 10 ივნისს კომპანიამ გააუქმა კონტრაქტი თავის აუდიტორთან Deloitte and Touche, ორი კვირის შემდეგ კი თავი ბანკროტად გამოაცხადა. ბირჟისა და ფასიანი ქაღალდების კომისიამ ჩადენილი დანაშაულობანი დაახასიათა, როგორც "ყველაზე მასშტაბური თაღლითობა, ოდესმე ჩადენილი საჯაროდ აქციონირებული კომპანიის მიერ". დაბოლოს, 24 ივლისის მოვლენები, აღწერილი თხრობის დასაწყისში.

ასე გამოიყურება ბერძენი იმიგრანტების - რიგასების დინასტიის "დიდი გზის ეტაპები", იმ რიგასებისა, რომელთაც კუდით დაიჭირეს ამერიკული ოცნების ლურჯი ფრინველი, შემდეგ კი გადაეშვნენ დანაშაულებათა მორევში, ასევე ამერიკულში.

მაინც რა ჩაიდინეს ასეთი ამ "მამებმა და შვილებმა" რიგასებმა, თუ მათ მოღვაწეობაზე ვიმსჯელებთ სავსებით სერიოზულად და რეალისტურად? მათ "ადელფია" გადააქციეს საკუთარ "მეწველ ძროხად", ან, როგორც ამერიკელები ამბობენ, "Piggy bank"-ად (" Piggy" ინგლისურად ნიშნავს "გოჭს"). ამერიკაში ფრიად გავრცელებულია გოჭის ფორმის ყულაბები, სადაც ბავშვები ყრიან წვრილ ფულს. ეს ყოჩაღი რიგასებიც "ადელფიას" სალაროს ექცეოდნენ, როგორც საკუთარ ყულაბა-გოჭს - მიადგებოდნენ და იღებდნენ, რამდენიც დასჭირდებოდათ. სჭირდებოდათ კი ძალიან ბევრი. მაგალითად, 13 მილიონი დოლარი დაიხარჯა გოლფის სათამაშო მოედნის მშენებლობაზე. რიგასები, თურმე, ძალიან აზარტული მონადირეები იყვნენ, მაგრამ ნადირობა მოსწონდათ არა პენსილვანიის ტყეებში, არამედ აფრიკაში. ქუდერსპორტიდან აფრიკულ საფარიში ხშირ გადაფრენებზე იხარჯებოდა უზარმაზარი თანხები, რომლებსაც ასევე "ადელფიას" სალაროდან იღებდნენ. ოჯახის მამაკაცებს არ ჩამორჩებოდნენ მათი ცოლები და ქალიშვილები. ჯონ რიგასის ცოლი და ქალიშვილი, რომლებიც კომპანიაში არ მუშაობდნენ, იღებდნენ "ფიგი-ბენქ"-იდან 1 მილიონ დოლარს ნაღდი ფულით, არა წელიწადში, არამედ ყოველთვიურად! რა თქმა უნდა, წვრილმან ხარჯებზე. 252 მილიონი დოლარი გავიდა სხვადასხვა საბროკერო ფირმაში ოჯახური ხარჯების დასაფარად. მთლიანობაში "ძმობამ" მოპარა "ძმობას" 2,5 მილიარდი დოლარი (ამას მიუმატეთ მრავალმილიონიანი "კანონიერი" შემოსავალი და ხელფასები), "ადელფიას" კი ბანკროტად გამოცხადების მომენტში ჰქონდა საკუთარი კლიენტების ვალი - არც მეტი, არც ნაკლები - 18,6 მილიარდი დოლარი!

ფედერალური მოსამართლის, მაგისტრატ გაბრიელ გორენშტეინის წინაშე ჯონ რიგასი და მისი ვაჟები წარდგნენ კოსტიუმებში გამოწყობილნი, ოღონდ ჰალსტუხების, ქამრების, აჭიმებისა და ფეხსაცმლის ზონრების გარეშე - ეს ყველაფერი მათ ჩამოართვეს პოლიციელებმა, როგორც ექცევიან ჩვეულებრივ სისხლის სამართლის დამნაშავეებს. ჯონ რიგასი ძალიან დაბნეულად გამოიყურებოდა, იჯდა მოკუნტული ვაჟიშვილებს შორის. მას სასამართლოში ყოფნისას არც ერთი სიტყვა არ უთქვამს. მის ნაცვლად ლაპარაკობდა მისი ადვოკატი პიტერ ფლემინგი. ადვოკატმა აღშფოთება გამოთქვა მისი კლიენტის "ძალის გამოყენებით დაპატიმრების" გამო: "ვფიქრობ, სისასტიკე იყო 78 წლის მოხუცის დაპატიმრება დილის 6 საათზე, მით უმეტეს, რომ იგი თანახმა იყო, საკუთარი ნებით ჩაბარებოდა ხელისუფლებას. ჩემი კლიენტი აბსოლუტურად პატიოსანი ადამიანია, თანაც მან გადაიტანა გულის სამმაგი შუნტირების ოპერაცია". თვითონ მამა რიგასმა უარი განაცხადა, ეპასუხა რეპორტიორების შეკითხვებისათვის. "რისი თქმაც მინდა, იმას ვერ ვიტყვი", - ჩასჩურჩულა მან თავის ადვოკატს. მერე კი დასძინა: "ძალიან მეძინება". სანამ რეპორტიორებისაგან თავს დაიძვრენდნენ, რიგასი დაინტერესდა: მოხვდა თუ არა მისი დაპატიმრების ისტორია გაზეთების პირველ გვერდზე? ეს უბრალო ცნობისმოყვარეობა იყო, საჯარო შერცხვენის შიში თუ, პირიქით, სიამაყე? (გახსოვთ ჩეხოვის მოთხრობა? ერთი სტუდენტი ყველას აჩვენებს გაზეთის ქრონიკას, სადაც მოთხრობილია - როგორ ჩავარდა იგი ეტლქვეშ საშინლად მთვრალ მდგომარეობაში).

პროტესტს გამოთქვამდნენ შვილი-რიგასების ადვოკატებიც. ტიმოთის ადვოკატმა, ჯერემი ტემკინმა ბრალი დასდო ხელისუფლებას იმაში, რომ მათ რიგასების დაპატიმრებისაგან საჯარო სპექტაკლი მოაწყვეს, ასე ვთქვათ, "კოჭი გაუგორეს" თეთრ სახლს და ყველას დაანახეს, რომ პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, ებრძოლოს "თეთრსაყელოიანთა" კორპორაციულ დამნაშავეობას. "შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენი კლიენტების დაპატიმრება დაემთხვა პრეს-კონფერენციას ვაშინგტონში, - თქვა ტემკინმა, - ასეთი დამთხვევისაგან თქვენ თვითონ შეგიძლიათ გამოიტანოთ დასკვნები".

დასკვნა "ასეთი დამთხვევისაგან" თავისთავად მოგვდიოდა აზრად. უკანასკნელ ხანებში ქვეყანას თავს დაატყდა ხმაურიანი კორპორაციული სკანდალების მთელი კასკადი. ყველაფერი დაიწყო მსოფლიოში ყველაზე მსხვილი ენერგეტიკული კომპანიის "ენრონის" საქმით, რომელსაც მჭიდრო კავშირები გააჩნდა თეთრ სახლთან, პრეზიდენტის და ვიცე-პრეზიდენტის ჩათვლით. "ენრონმა" გამოიწვია დომინოს ეფექტი. მას მოჰყვა სხვა ისტორიები. ივნისში დააპატიმრეს სემუელ ვექსელი - ბიოტექნოლოგიური კომპანიის "Im-Clone Sistems" ხელმძღვანელი; დააპატიმრეს კონგლომერატ "თაიქო ინტერნეშენელ"-ის ("Tyco International") დირექტორთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე დენის კოზლოვსკი; დამოკლეს მახვილი აღიმართა ამერიკული ბიზნესის სხვა ლიდერთა თავზემოთაც. მაგრამ რიგასების დაპატიმრება განსაკუთრებული მოვლენა იყო. ჯერ ერთი, ეს იყო ფედერალურ დონეზე ჩატარებული პირველი დაპატიმრება კომპანიის ხელმძღვანელობისა, რომელმაც გაძარცვა საკუთარი პირმშო. მეორეც, რიგასების დაპატიმრება ჩატარდა მაქსიმალურად სახალხოდ. ხელისუფლებამ უარყო "მამების და შვილების" თხოვნა, რომ ისინი დაეკავებინათ ქუდერსპორტში, და არა ნიუ-იორკში. ვაშინგტონს სჭირდებოდა არა ნებაყოფლობითი კაპიტულაცია პენსილვანიის მივარდნილ კუთხეში, არამედ ხმაურიანი ძალისმიერი აქცია ფინანსურ და მას-მედიის მსოფლიო ცენტრში - ნიუ-იორკში. როგორც სამართალდამცავი დეპარტამენტის თავმჯდომარემ, სტივენ კატლერმა ტრაგიკული ხმით განაცხადა, "აქ საქმე ეხება ღალატს - აქციონერებს უღალატა მწარმოებელმა, რომელმაც საკუთარი ჯიბის ინტერესები დააყენა მათ ინტერესებზე მაღლა". თითქოს ბიზნესის ჯუნგლებში სხვანაირადაც ხდება ხოლმე; თითქოს "თეთრსაყელოიანებს" ოდესმე სხვა ინტერესი ჰქონოდეთ!

■ ■ ■

როგორც მოსალოდნელი იყო და რის მიღწევასაც ცდილობდა ვაშინგტონი, რიგასების დაპატიმრებამ ხმაურიანი გამოძახილი გამოიწვია პრესაში და შემდეგ მთელ ბიზნესის სამყაროში. მამა-რიგასის სიამაყე, ალბათ, დაკმაყოფილებული იყო. ინფორმაცია მისი დაპატიმრების შესახებ გაზეთებმა პირველ გვერდებზე მოათავსეს, ტექსტს თან ერთვოდა დაკავებულთა ფოტოები, ჰალსტუხებისა და აჭიმების გარეშე, სამაგიეროდ - მაჯებზე ხელბორკილებით.

ბიზნესის სამყარომ "თავისიანების" დაპატიმრებას მძაფრი, მაგრამ არაერთგვაროვანი რეაქციით უპასუხა. რა თქმა უნდა, უმრავლესობა სასწრაფოდ ჩამოშორდა უოლ-სტრიტის ანგელოზთაგან ძირს დანარცხებულ ეგზემპლარებს. და მათ "დამპალ ვაშლებადაც" კი მოიხსენიებდნენ, რომლებიც აზიანებენ ხილის ამ სასარგებლო სახეობის რეპუტაციას. მაგალითად, კომპანიის "ჯონ ჰენკოკ ფაინენშელ სერვისის" ხელმძღვანელმა დევიდ დ'ალესსანდრომ განაცხადა: "არსებობს ზოგიერთი ბიზნესმენი, რომელმაც ჩვენს ეკონომიკას უფრო მეტი ზიანი მიაყენა, ვიდრე ბენ ლადენმა და ალ-ქაედამ ერთად. მე არ გამაჩნია მათ მიმართ არავითარი სიმპათია. სხვადასხვა კომპანიების ხელმძღვანელები, რომელთაც მე ვესაუბრე, იზიარებენ ჩემს შეხედულებას". კომპანიის "ბეტლეჰემ სტილ კორპორეიშენ" ხელმძღვანელი რობერტ მილერი მთლიანად ეთანხმება მას და ამბობს: "მოხარული ვარ, რომ მთავრობამ მიიღო ზომები ზოგიერთი კომპანიის ხელმძღვანელის წინააღმდეგ, რომელთაც უდიდესი დარტყმა მიაყენეს ბიზნესის იმიჯს. ეს ამტკიცებს, რომ ასეთი ხელმძღვანელები უკვე ველარ შეძლებენ, დაიქირავონ დახელოვნებული ადვოკატები და თავი დაიძვრინონ დამსახურებული სასჯელისაგან". (ამასაც ვნახავთ! - მ.ს.)



დიდი ბიზნესის კაპიტნები თითქოს კმაყოფილნი და მოხარულნი არიან, მაგრამ ეს რაღაცნაირი შიშნარევი სიხარულია, ოპტიმისტურ ტრაგედიასაც კი ვერ დაარქმევ. აქ ხომ საქმე ეხება არა გარეშე პირს, ვინმე მაფიოზს ან საცოდავ ქურდს. აქ ლაპარაკია ხალხზე, რომელიც მათი მეზობელი იყო თავისი ვილა-სასახლეებით, რომელთა იახტის გვერდი მათი იახტისას ეხახუნებოდა, ხალხზე, რომელიც მათი პარტნიორი იყო გოლფში და ჩოგბურთში, სამეთვალყურეო (ვის ან რას ადევნებდნენ, ნეტავ, თვალყურს? - მ.ს.) და დირექტორთა საბჭოში, ბოლოს და ბოლოს ხალხზე, რომელთა ნაშიერნი მათ ნაშიერებთან დინასტიურ ოჯახებს ქმნიდნენ. მაგრამ დიდი ბიზნესის კაპიტნები, რა თქმა უნდა, პირველ რიგში განიცდიდნენ არა თავიანთი ნაქურდალზე წასწრებული კოლეგების გამო, არამედ საკუთარი თავის გამო. "მძიმე ცხოვრება დადგა, - წუწუნებენ ისინი, - ადრე ჩვენ ნდობით ვსარგებლობდით, ახლა კი ყველას ეჭვით გვიყურებენ, აღარ არის პატივისცემა ჩვენს მიმართ. ყველანი აღმოვჩნდით მიკროსკოპის

ქვეშ, თითქოს ავადმყოფობის ბაქტერიები ვიყოთ. საზოგადოებაში გამეფდა დამნაშავეობის პრეზუმფცია ჩვენს მიმართ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ დიდი კომპანიების ხელმძღვანელები ვართ". რიგასების დაპატიმრებამ, შეიძლება, გარკვეული დროით შეასუსტოს ეს პრესი, მაგრამ ეჭვი მაინც დარჩება. როგორც "ერი ინშურენს გრუფ" კომპანიის თავკაცი ჯეფრი ლედროფი ამბობს, შეიძლება მხოლოდ იმედი ვიქონიოთ, რომ "არსებობს მექანიზმი მძიმე ვაშლების გამოსარჩევად დამპლისაგან, რომ ხალხს ნდობა ჰქონდეს საღ ვაშლში ფულის ჩასადებად".

როდესაც ინვესტორების ნდობაზე ლაპარაკობს, "ვეის რეიტინგს ინკ"-ის ხელმძღვანელი მარტინ ვეისი ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებებზე: დოუ-ჯონსის ინდექსები, რომელიც გამუდმებით ქვევით ეშვებოდა, რიგასების დაპატიმრების დღეს მოულოდნელად ზევით ავარდა, თანაც 500 პუნქტით, და თავისი არსებობის მანძილზე სულ მეორედ მიაღწია ასეთ ნიშნულს: "რიგასების დაპატიმრებამ ბიძგი მისცა ბაზარს. ხალხი ამბობს, რომ ნდობის კრიზისი, ბოლოს და ბოლოს, დასასრულს უახლოვდება, თუმცა, ამაზე ლაპარაკი, ალბათ, ნაადრევია", - თვლის ვეისი. უოლ-სტრიტზე ამ საკითხის თაობაზე ხუმრობენ კიდეც: "თითო მსხვილი ბიზნესმენის დაპატიმრება დოუ-ჯონსის ინდექსის 100 პუნქტის გარანტიაა" (საქმე ის არის, რომ მამა-შვილ რიგასების გარდა დააპატიმრეს "ადელფიის" კიდევ ორი ხელმძღვანელი - ჯეიმს ბრაუნი და მაიკლ მალჩეი. ისინი ქუდერსპორტში აიყვანეს. ასე რომ, სულ ხუთი კაცი დააპატიმრეს, რომელთაგან თითოეულზე ცნობილი ინდექსის 100 პუნქტი მოდის).

მაგრამ, აი, რა არის საყურადღებო, როგორც CEO-ებთან (C.E.O. - აბრევიატურაა სიტყვებისა "Chiej executive offices" - კომპანიის მთავარი აღმასრულებელი ხელმძღვანელი) დაახლოებული ხალხი - კონსულტანტები, იურისტები, ანალიტიკოსები და სხვები - ამბობს, ისინი სახალხოდ კმაყოფილებას გამოთქვამენ დამნაშავე კოლეგების დასჯის გამო, პირად ურთიერთობებში კი ძლიერ შეშფოთებას გამოხატავენ. ჯერ ერთი, მათ აღელვებდათ პერსპექტივა, რომ დანაშაულებათა გამომზეურების და დაპატიმრებების ტალღამ შეიძლება აიძულოს კონგრესი და ადმინისტრაცია, მიიღონ უფრო მკაცრი კანონები და ზომები. "ჩვენი CEO კლიენტები რეკავენ ჩვენთან და ოხვრით საუბრობენ მთავრობის მოსალოდნელ რეაგირებაზე", - ამბობს ფირმა "ჰოლანდ & ნაით"-ის იურისტი მაიკლ ჯემისონი. დიდი ბიზნესის ხელმძღვანელებმა უკვე დაიწყეს იურიდიული ავტორიტეტების რეკრუტირება "ყოველი შემთხვევისთვის". ყოფილი პროკურორი და ამჟამად ცნობილი იურიდიული კანტორის () ადვოკატი მარტინ პოლნერი ამბობს: "ჩემთან უკვე გაისმის უამრავი სატელეფონო ზარი კორპორაციების იურისტებისაგან, რომელთაც იციან, რომ კორპორაციული დანაშაული - ჩემი სპეციალობაა. ეს სატელეფონო ზარები შეიძლება დავახასიათოთ, როგორც გამაფრთხილებელი". მეორეც, CEO-ებს აღელვებთ, რომ ახლანდელ ეჭვებით შეპყრობილ და ფრთხილ ატმოსფეროში დანაშაულად ჩაითვლება ის "შეცდომებიც", რომლებიც შესაძლებელია დაუშვან მათ ან მათმა ხელქვეითებმა. თავის მხრივ, გაფაციცებულმა თემიდამაც შეიძლება წვრილმანი დანაშაული გააზვიადოს და დამნაშავენი სასტიკად და საჯაროდ დასაჯოს. მოკლედ, CEO-ების კაბინეტებსა და დირექტორთა საბჭოების საკონფერენციო დარბაზებში შიშობენ მოსალოდნელი რადიკალიზმისა და "საჩვენებელი სპექტაკლების" გამო. ფირმა "სპენსერ სტიუარტის" ხელმძღვანელი დენის კერი, რომლის ბიზნესსაც წარმოადგენს CEO-ების შერჩევა მსხვილი კომპანიებისთვის, ამბობს: "არსებობს დაპატიმრების უფრო ელეგანტური მეთოდები და არ არის აუცილებელი ამის ფოტო და ტელეკამერების წინ გაკეთება. პროფესიონალი CEO-ები, რომელთაც მე ვიცნობ, გაოგნებულნი არიან, რადგან ნარკოტიკებით მოვაჭრეებსაც კი არ ამცირებენ ასე!" ბიზნესის სამყაროში თვლიან, რომ "ბიზნესმენთა საჯარო დაპატიმრებების ალუმი" გამოიწვევს საზოგადოების მხრიდან მტრულ დამოკიდებულებას CEO-ების მიმართ. სამედიცინო კომპანიის - "სფაი ჰოლდინგს" - CEO, დონალდ ცაკი ყველას აფრთხილებს: "თუ ხელისუფლება რეპრესიების გატარებაში ძალიან გადააჭარბებს, შეიძლება ხალხი სახიფათო პანიკაში ჩავარდეს". აქ უკვე ლინჩის წესით გასამართლებამდეც ბევრი აღარაფერი რჩება. აქციების პირში ჩალაგამოვლებული მფლობელი ცოფიან ძაღლზე უფრო საშიშია. იგივე დ'ალესსანდრო, რომელიც აღშფოთებული იყო "ზოგიერთი CEO-ების ქცევით", ამერიკის ე კონომიკას ბენ ლადენზე და ალ-ქაიდაზე მეტი ზარალი რომ ანახეს, ამბობს: "ერთია, როდესაც სამიზნე აღმოჩნდება ისეთი კომპანია, რომ შენ შეგიძლია თქვა - ეს ხომ კონგლომერატია ან ტელეკომკომპანია, მათ არაფერი აქვთ ჩემთან საერთო! მაგრამ თუ ეს ეხება ისეთ ვინმეს, ვისთან ერთადაც შენ გოლფს თამაშობ, ეს უკვე შენც გეხება".

დაბოლოს, ბიზნესის სამყარო შიშობს იმის გამოც, რომ ოლიგარქების საჯარო მორალური გასამართლება და დაპატიმრება დააფრთხობს მომავალ თაობებს და ხელს აალებინებს ბიზნესზე, როგორც პროფესიაზე. რობერტ მილერის აზრით, "ისევე, როგორც პირად ცხოვრებაში ქექვის საშიშროების გამო ახალგაზრდობა თავს არიდებს პოლიტიკოსის კარიერას, ბიზნესმენების დევნამ, შეიძლება, მათ უარი ათქმევინოს კერძო სექტორში მუშაობაზე". ეს შიში კიდევ უფრო გაძლიერდა იმასთან დაკავშირებით, რომ ბირჟისა და ფასიანი ქაღალდების კომისია მალე აამოქმედებს ახალ წესდებას, რომლის მიხედვით ბიზნესმენმა პირადად უნდა დაადასტუროს თავისი კომპანიის ფინანსური ანგარიშები. "ჩემი კლიენტები მოწმენი იყვნენ ყველაფერ იმისა, რაც დაემართა კოზლოვსკის ("თაიქო ინტერნეშენელ"-ის C.E.O., ახლახან დააპატიმრეს. - მ.ს.) მსგავს ხალხს. ისინი ყველაფერზე მზად არიან, რათა როგორმე თავიანთ კომპანიასთან ერთად უფსკრულში არ გადაიჩეხონ", - ამბობს გრეგორი უელენსი, იმ იურიდიული ფირმის ადვოკატი, რომელიც სპეციალიზებულია "თეთრსაყელოიანთა" დაცვაზე.


მაიკლ რიგასი

ასეთ პირობებში ყველაზე მთავარია, თავი გადაირჩინო. ზოგიერთი კომპანია, მაგალითად, "ფედერალ მოგულ", ცდილობს ისეთი სისტემის შემოღებას, რომლის მიხედვით CEO-ებს შეუძლიათ პასუხისმგებლობა დააკისრონ კომპანიის ფილიალების პრეზიდენტებს და C.F.O-ებს (Chiej Financial office), ჩვენებურად - ბუღალტრებს. ასე რომ, ჩავარდნის შემთხვევაში პასუხს აგებენ არა თვითონ, არამედ მათი "მეისრეები". როგორც ფირმა "ბუს ალენ ჰამილტონ"-ის ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ნემიკი აცხადებს, "ჩვენი კლიენტები შეძრწუნებულნი ადევნებენ თვალს, როგორ იძირებიან უმსხვილესი კორპორაციები ამ მორევში და ყველანაირ თავდაცვით ზომებს მიმართავენ, რომ მათაც იგივე ბედი არ ეწიოთ". პროფესიონალი იმიჯმეიკერი დენ კლორესი თვლის, რომ ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი კომპანიებისთვის საუკეთესო გამოსავალია, მოეფეროს და მოუბოდიშოს აქციონერებს და თანამშრომლებს. "ილაპარაკეთ, რომ თქვენ დღეს რთულ სიტუაციაში აღმოჩნდით, მაგრამ ხვალ ყველაფერი კარგად იქნება", - ჭკუას არიგებს თავის კლიენტურას კლორესი.

იქნება კი? აღდგომა და, - ხვალეო...

■ ■ ■

ჩვეულებრივ, პრეზიდენტი ჯორჯ ბუში კომენტარს აკეთებს ხოლმე ტერორისტების დატყვევების გამო, მაგრამ მამა-შვილ რიგასების დაპატიმრებამ იგი აიძულა, დაერღვია ეს ტრადიცია. ისე რომ, არ უხსენებია "ადელფიის" მფლობელთა გვარი, მან რეპორტიორებს უთხრა: "ჩვენი ადმინისტრაცია გამოიძიებს, დააპატიმრებს და გაასამართლებს კორპორაციათა ხელმძღვანელებს, რომლებიც კანონს არღვევენ. სწორედ ასე მოიქცა დღეს იუსტიციის სამინისტრო". ინფორმაციის სანდო წყაროების თანახმად, თეთრ სახლში გამუდმებით ბჭობენ საქმიანი სამყაროს დანაშაულებათა გამოძიებების შესახებ. თუმცა, როგორც საზოგადოებრივი აზრის მრავალრიცხოვანი გამოკითხვები აჩვენებს, ამერიკელების უმრავლესობა თვლის, რომ რესპუბლიკური ადმინისტრაცია ზრუნავს არა იმდენად რიგით ამერიკელებზე, რამდენადაც დიდ ბიზნესზე. თუ ეს შეხედულება არ გაბათილდა, "სპილოს პარტიას" ემუქრება უმრავლესობის დაკარგვა კონგრესის ორივე პალატაში შუალედურ არჩევნებზე, რომელიც ამა წლის ნოემბერში გაიმართება. ეს კი თავის მხრივ ყირაზე დააყენებს ბუშის ადმინისტრაციის მთელ საკანონმდებლო პროგრამას.

რესპუბლიკელების მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ მათ არ შეუძლიათ წინასაარჩევნო კამპანიაში პრეზიდენტის და ვიცე-პრეზიდენტის ავტორიტეტის მთლიანად გამოყენება. მეტიც, ზოგიერთი კონგრესმენი, რომელიც ისევ იყრის კენჭს, ხელსაყრელად მიიჩნევს თეთრი სახლის პატრონისაგან განდგომას. საქმე ის არის, რომ ბუშიც და ჩეინიც ყოფილი CEO-ები არიან და თუ ამ პოსტებზე მათ მოღვაწეობას ახალი კანონებით შევავსებთ, რიგასების ხვედრიც კი ემუქრებოდათ. პრეზიდენტი ბუში, რომელიც ყოველთვის ტრაბახობდა იმით, რომ კლინტონისაგან განსხვავებით იგი არასოდეს ადევნებს თვალს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებს, ამჟამად სკრუპულოზურად შეისწავლის მათ, თითქოს ცსს-ს ცნობებია. შედეგები კი საკმაოდ შემაშფოთებელია - მისი რეიტინგი, რომელიც ძალიან გაიზარდა 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, ახლა ქვევით მიექანება, ნელა, მაგრამ უცვლელად. ყველაფერთან ერთად ექს-პრეზიდენტმა კლინტონმაც ცეცხლზე ნავთი დაასხა - ყველას შეახსენა, კონგრესის რესპუბლიკურმა უმრავლესობამ როგორ შეუკრა ხელ-ფეხი ბირჟისა და ფასიანი ქაღალდების კომისიას, როდესაც კლინტონი ცდილობდა, ეს კომისია დიდი ბიზნესის "დამპალი ვაშლების" წინააღმდეგ აემოქმედებინა.

თვითონ კონგრესმენი-რესპუბლიკელებიც ახლახან "ნიუ-იორკ ტაიმს"-ისადმი მიცემულ ინტერვიუში აღიარებდნენ: ამერიკელები თვლიან, რომ რესპუბლიკური პარტია კორპორაციების კეთილდღეობით უფრო მეტად არის დაინტერესებული, ვიდრე უბრალო ამომრჩევლებისა. როდესაც გაკოტრებული კომპანიების აქციების მფლობელები იქცევიან საარჩევნო ბიულეტენების მფლობელებად, მათგან დიდი და უსიამოვნო სიურპრიზებია მოსალოდნელი! რესპუბლიკურმა პარტიამ ისეთივე გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს "თეთრსაყელოიანთა" დანაშაულს, როგორც ის ებრძვის ქუჩის დამნაშავეობას. თუ მას ჩათვლიან პარტიად, რომელიც კანონიერებას და წესრიგს იცავს მხოლოდ ქუჩის დონეზე, ეს უარყოფითად აისახება საზოგადოებაზე", - ამბობს ჯიმ ლიჩი აიოვიდან, რომელსაც 1 ნოემბერს მოუწევს შეუპოვარი ბრძოლა ხელახალი არჩევისათვის.

ანონიმმა CEO-მ, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობს რესპუბლიკურ პარტიაში, "ნიუ-იორკ ტაიმსს" განუცხადა: "ადმინისტრაცია მოვლენების კუდში მიჩანჩალებს იმის ნაცვლად, რომ წინასწარ მიიღოს ზომები. პრეზიდენტმა და მისმა მრჩევლებმა სერიოზული შეცდომა დაუშვეს, როდესაც "ენრონის" გარშემო ატეხილი სკანდალი შეაფასეს, როგორც "თითოოროლა დამპალი ვაშლი" და არა - როგორც ძლიერი დარტყმა ამერიკული კაპიტალიზმისადმი". მაგრამ რა უნდა ექნა ბუშს, თუკი ისიც და მამამისიც "ენრონიდან" იკვებებოდნენ, თუ "ენრონის" CEO - ქენეთ ლეი (რომელსაც ისინი შინაურულად "ქენი-ბოი"-ს ეძახდნენ) მათი ფინანსური მფარველი ანგელოზი იყო? ერთია ჯონ რიგასი, ყოფილი ბერძენი იმიგრანტი, და სულ სხვაა - ტეხასის და მთელი ამერიკის ენერგეტიკული ისტებლიშმენტის ბურჯი ქენეთ ლეი. ერთი საკითხია "მამები და შვილები", რომელთაც "ადელფიის" სეიფები და პირადი "ფიგიბენქ"-ყულაბები ერთმანეთში აერიათ, და სულ სხვა საქმეა "ენრონის" მეპატრონეები, რომლებიც ვიზე-პრეზიდენტ ჩეინს ქვეყნის ენერგეტიკულ პოლიტიკას კარნახობენ. მათთვის "ფიგიბენქი" იყო არა რაღაც საკაბელო კომპანია, არამედ ფირმა, სახელწოდებით "აშშ, ნიკ".

კონგრესმენ-რესპუბლიკელი ვირჯინიიდან, რესპუბლიკური პარტიის ნაციონალური კომიტეტის ხელმძღვანელი, თომას დევისი თვლის, რომ თუ "შრომის დღის" (2 სექტემბერი) აღნიშვნამდე გაგრძელდება ბირჟაზე ნიშნულების დაცემა და "თეთრსაყელოიანთა" ახალ-ახალი დანაშაულებებიც გამომზეურდება, მაშინ მისი პარტია მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. ხოლო "თეთრი სახლის მნიშვნელოვანი სტრატეგი", რომელმაც თავი არ დაასახელა, ამბობს: "ამერიკელი ხალხი სრულიად სამართლიანად არის აღშფოთებული კორპორაციული ამერიკის წინააღმდეგ. მაგრამ, ვინაიდან ეს წელი - არჩევნების წელია, სულაც არ არის გასაკვირი, თუ ეს ყველაფერი საყოველთაო ნერვულ დაძაბულობას გამოიწვევს". თეთრ სახლშიც დაძაბულობა მეფობს. აი, რატომ ჩაეჭიდნენ იქ რიგასების საქმეს და შექმნეს მისგან სახალხო შოუ. "მამების და შვილების" დაპატიმრების შემდეგ თეთრი სახლის პრეს-მდივანმა, ფლეიშერმა და იუსტიციის სამინისტროს სფოუქსმენმა განაცხადეს, რომ ეს "პრეზიდენტ ბუშის ანტიკორპორაციული სპეცდანიშნულების რაზმის მოღვაწეობის პირველი ნაყოფია" (სინამდვილეში "ადელფიის" საქმის გამოძიება დაიწყო გაცილებით ადრე, ვიდრე ეს "სპეცრაზმი" შეიქმნებოდა. - მ.ს.).

თუმცა, თეთრი სახლი ცვლის თავის ტაქტიკას, ვიდრე სტრატეგიას. მაგალითად, ის ძველებურად ცდილობს, განახორციელოს პრივატიზაცია ისეთი დარგებისა, როგორიცაა სოციალური უზრუნველყოფა და ალიასკის ნავთობისა და გაზის დამუშავება. პრეზიდენტი ბუში ამერიკელებს მოუწოდებს, აქტიურად შეიძინონ აქციები, რადგან "ბაზარი ფასეულობაა"; ის მხარს უჭერს კანონმდებლობას გადასახადების შემცირების შესახებ, რომელიც ასე ხელსაყრელია მოსახლეობის მდიდარი და ზემდიდარი ნაწილისათვის და რომელმაც უკვე გამოიწვია ნაციონალურ ბიუჯეტში 160-170 მილიარდი დოლარის დეფიციტი, სულ ცოტა ხნის წინ კი - კლინტონის დროს - ბიუჯეტს გააჩნდა ჭარბი 5 ტრილიონი დოლარი. მოკლედ, შემოსავლიან ხელს ცოტათი უკბინო "ანტიკორპორაციული სპეცრაზმის" კბილებით - შეიძლება, მაგრამ მთლიანად მოაჭამო - არ ღირს, ისევე, როგორც არ ღირს იმ ტოტის მოჭრა, რომელზეც ზიხარ.

■ ■ ■

... ფედერალური სასამართლოს მანჰეტენის განყოფილებაში ხანმოკლე ფორმალური პროცედურების შემდეგ ჯონ რიგასი და მისი ვაჟები - მაიკლი და ტიმოთი თავდებში გამოუშვეს 10 მლნ დოლარის გადახდის შემდეგ. მოსამართლემ მხედველობაში მიიღო ადვოკატების დაპირებები იმის შესახებ, რომ მათი კლიენტები "გაქცევას არ აპირებენ და საზოგადოებისათვის საფრთხეს არ წარმოადგენენ". ვერაფერს ვიტყვი პირველთან დაკავშირებით, რამეთუ საბერძნეთში რიგასების გარეშეც ყველა სიკეთე საკმარისად აქვთ, როგორც ამტკიცებს ჩეხოვის გმირი კონდიტერი დიმბა, მეორეს რაც შეეხება, დაეჭვების უფლებას ვიტოვებ.

სასამართლოს შენობიდან "მამები და შვილები" გამოვიდნენ ისევ უჰალსტუხოდ, მხოლოდ ხელბორკილების გარეშე.

"ძმობის" დამფუძნებელი ჯონ რიგასი, განხორციელებული ამერიკული ოცნების გმირი, სახლში წავიდა გამოსაძინებლად. ესიზმრებოდა თუ არა რაიმე ან რა ესიზმრებოდა, ვერ გეტყვით...



# მოდის პრინცის რეტროსპექტული გამოფენა ლონდონში

ნინო ჭანიშვილი

ლონდონში ვიქტორია & ალბერტ მუზეუმი 2003 წლის 12 იანვრამდე წარმოადგენს გამოფენას Versace at the V&A. ეს არის პირველი გამოფენა ამ მუზეუმში, რომელიც მთლიანად ერთ დიზაინერს ეძღვნება. მუზეუმში წარმოდგენილია ყველაზე სრული და მრავალფეროვანი კოლექცია, რაც ოდესმე გამოფენილა ვერსაჩეს სახლის არქივებიდან. რამდენიმე სექციად დაყოფილი ექსპოზიცია მრავალმხრივად წარმოაჩენს იტალიელი მოდელიერის ჯანი ვერსაჩეს შემოქმედებითი კარიერის 30-წლიან ისტორიას. ეს არის მშვენიერების შესაქმნელად მუდმივად ახლის ძიების ისტორია.

ჯანი ვერსაჩესთან მსოფლიოს ყველაზე პოპულარული ადამიანები იცვამდნენ. გამოფენაზე წარმოდგენილია ის სამოსი, რომელიც პრინცესა დაიანას, ელტონ ჯონს, მადონნას, კორტნი ლავს და ელიზაბეტ ჰერლის ეცვათ.


სანტო და დონატელა ვერსაჩეები

"მან ამერიკის სული და ევროპული დახვეწილობა გააერთიანა. იგი მოდელების შექმნისას დიდ რისკზე მიდიოდა - პირველი იყო, რომელმაც მოდა როკ-ენ-როლს და ჰოლივუდს დაუკავშირა," - თქვა სი-ენ-ენ-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ნიუ-იორკელმა დიზაინერმა დონა კარანმა ჯანი ვერსაჩეს გარდაცვალების დღეს.

ვიქტორია&ალბერტ მუზეუმში გამოფენილია ჯანი ვერსაჩეს მიერ შექმნილი ესკიზები კოვენტ გარდენის, ლა სკალას და სამეფო საოპერო თეატრის უამრავი საოპერო და საბალეტო დადგმისთვის. თეატრალური სპექტაკლისთვის პირველი შეკვეთა მან 1982 წელს მიიღო; შექმნილი აქვს ესკიზები თვით მორის ბეჟარის ქორეოგრაფიული წარმოდგენისთვის.

მუზეუმში საგანგებოდ არის გამოფენილი ის ძველი და თანამედროვე ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც დიზაინერის შთაგონების წყარო იყო მოდელების შექმნისას. ჯანი ვერსაჩეს მიერ შეგროვებული კოლექცია საკმაოდ ჭრელი და ეკლექტური იყო. იგი ყიდულობდა ვენეციურ სარკეებს როკოკოს სტილში, კარლ X-ის ეპოქის სტილის ავეჯს. ამავე დროს იძენდა XX-ის საუკუნის მხატვრობას - დაწყებული პიკასოთი დამთავრებული ჯასპერ ჯონსით. ჯანი ვერსაჩე გატაცებით აგროვებდა პოპ-მხატვრის როი ლიხტენშტეინის გრაფიკულ ნამუშევრებს და ენდი უორჰოლის ცნობილ ადამიანთა პორტრეტებს. ენდის მიერ შექმნილი პოპულარული ადამიანების სახეები ვერსაჩეს თავის ქსოვილებზე გადაჰქონდა.

ვიქტორია&ალბერტ მუზეუმში ბევრი მანეკენის ფიგურა თავად ჯანი ვერსაჩეს დიზაინითაა შექმნილი. გამოფენაზე გამორჩეული ადგილი ეთმობა ძვირფასი თვლებით მორთულ და მოქარგულ ქსოვილებს, საღამოს კლასიკურ სამოსს. "მე იმ ძველი, ისტორიულად მდიდარი ქვეყნიდან ვარ, რომელსაც ანტიკური წარსული აქვს. იმ ეპოქაში ქანდაკებაში დრაპირების გადმოცემის ხელოვნებას ფლობდნენ," -ამბობდა იტალიელი დიზაინერი, რომელსაც ძალიან უყვარდა თავისი ქვეყნის წარსული.


ექსპოზიცია

ექსპოზიაციაზე დონატელა ვერსაჩეს ახალი კოლექციაც არის გამოტანილი. დონატელა 1980-იანი წლების დასაწყისში ჩაერთო საოჯახო ბიზნესში და მას აქსესუარების დამზადება ევალებოდა. ძმის სიკვდილის შემდეგ კი, 1997 წელს, დონატელა ვერსაჩეს სახლის სამხატვრო დირექტორი გახდა. დღეს ბევრი მოდის კრიტიკოსი ალმაცერად უყურებს დონატელას ახალ კოლექციებს, რომელმაც ჯანის კლასიკურობაში სიმსუბუქე შეიტანა. ზოგს ისიც აღაზიანებს, რომ მან საკუთარი ლოგოები დაიტანა ვერსაჩეს სახლის ახალ პროდუქციაზე. თავად დონატელა კი ამბობს: " ძალასთან თამაში მიყვარს, როცა ტანსაცმელს ვქმნი - ძალასთან თამაში, და თანაც - მხიარულად."

1992 წელს ჯანი ვერსაჩემ 2,9 მილიონ დოლარად მაიამიში სასახლე შეიძინა. როგორც ამბობენ, იგი იმან აღაფრთოვანა, რომ სასახლე დასავლეთ ნახევარსფეროს უძველეს შენობად ითვლებოდა - იგი 1510 წელს ქრისტეფორე კოლუმბის შვილის მიერ ყოფილა აშენებული და XX საუკუნის 30-იან წლებში - მსუბუქად გადაკეთებული. 1997 წელს 15 ივლისს ჯანი ვერსაჩე საუზმის შემდეგ ახლომდებარე კაფედან ბრუნდებოდა. 50 წლის, ვერცხლისფერთმიანი, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პოპულარული და წარმატებული დიზაინერი საკუთარი სასახლის წინ სერიულმა მკვლელმა, ენდრიუ ქანანანმა მოკლა. ერთ კვირაში წარმტაცი გალა ჩვენება უნდა გამართულიყო რომში, რომელიც, ცხადია, ჩაიშალა. "ჯანი ვერსაჩეს სიკვდილმა შოკი მომგვარა, იგი იმ მცირერიცხოვან ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, ვინც მთელს მსოფლიოში იტალიური მოდის წარმატების სიმბოლოდ იქცა, " - განაცხადა ჯორჯო არმანიმ მისი გარდაცვალების დღეს.



მაიამი ბიჩის ვილა, რომელიც დიზაინერის ცხოვრებაშიც ღირშესანიშნაობად ითვლებოდა, რამდენიმე წლის წინ ბიზნესმენმა პიტერ ლოფტინმა სარეკორდო თანხად, 23 მილიონ დოლარად შეიძინა და 6-ვარსკვლავიან სასტუმროდ - Casa Casuriana აქცია. მანამდე კი ოჯახის წევრებმა ჯანის უმდიდრესი კოლექცია, რომელიც მის ვილაში ინახებოდა, სოტბის აუქციონზე გაყიდეს, მათ შორის იყო პიკასოს 25 ტილო და თავად დიზაინერის მიერ შექმნილი ნივთები.

## ბინები

### იყიდება

სასწრაფოდ იყიდება 3-სართულიანი სახლი ეზოთი. ვაშლიჯვრის დასახლება, კვანტალიანის 18 ბ. ს/ფასი 50 000. 53 09 00

სასწრაფოდ იყიდება 3-ოთახიანი, არასტანდარტული, 132 კვ.მ ბინა ჩიქოვანის 18-ში, V კორპ., ბინა 34, I სართ. ფას: 18000$. ტელ: 98-40-41.

შევიძენ ჩეხურ 2-ოთახიან, გარემონტებულ ბინას 4 500-ის ფარგლებში მე-2-5 სართულებზე ვარკეთილისა ან ვაზისუბნის მიდამოებში. 77 75 73

იყიდება 1,5-ოთახიანი, 15 კვ.მ. მიშენებით, ავეჯით ან უავეჯოდ. ყაზბეგის № 2 ა, 2(8). ფასი შეთანხმებით. 69 08 48

იყიდება 1,5-იანი ბინა გადაკეთებული ორიანად, 3(16), ტელეფონით, რკინის კარებით, ბაკით. 96 17 35, 33 03 43, 8(99) 16 11 03

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა ევრო-რემონტით, თამარ მეფის გამზირზე N11. მე-5 სართული. 38-30-62, 8(99) 55-04-48

იყიდება 2-ოთახიანი ჩეხური გამზადებული ინტერნეტ-კაფესთვის, ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. მიცკევიჩის N18. 38-30-62, 8(99)55-04-48

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000. 8(99) 901729

იყიდება 2-ოთახიანი (გადაკ. 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი კუთხის ბინა. მე-9 სართულზე, საბურთალო, ზაქარიაძის №1 (მ. დელისის უკან) 100 კვ.მ., 3 აივნით, 2 ტუალეტით. 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/აირით, მუდმივი შუქით. ს/ფ 37 000.
ტელ: 69-64-27 ბელა
39-53-41 მარინა
877 495-490

იყიდება 1,5 ოთახიანი ბინა - სახელსნო კავსაძის 4-ში მე-2 სართულზე, რკინის კარით, გისოსებით. ფასი 12 800.
ტელ: 37-45-14 (21 სთ-შემდე)

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**

სახლი ალმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
**ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

სასწრაფოდ ვიგირავებ 2-ოთახიან ბინას 3000$-ად საბურთალოზე.
ტელ: 78-21-80 (საღამოს საათებში)

## კომერციული ფართი

**ქირავდება!**

**კომერციული ფართი ვერაზე**

საუკეთესო საოფისე (კომერციული) ფართი 1 სართულზე, ქუჩიდან

იზოლირებული შესასვლელით, საერთო ფართი 110 კვ.მ.

მისამართი: **ქიაჩელის ქ. 10 (რესპუბლიკის მოედანთან)**

**ტელ: 94-01-96, მობ. 899 518007**

იყიდება 90 კვ.მ. კომერციული ფართი 200 კვ.მ. სარდაფით საბჭოს მოედანზე. 27 000-ად. 77 19 40 ტარიელი, 92 24 64

## მანქანები

**იყიდება!**
AUDI 90 Coupe GT. 1988 წ. ძრავი 2,3, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. ფასი 1650$. ტელ: 8 (99) 162868.

იყიდება "ოპელ-ომეგა" (ფურგონი) 1991 წლის, კარგ მდგომარეობაში - 2100-ად (წყალდიდობაში არ მოყოლილა!).
ტელ: 8(24) 153814,
8(24) 1798 95

## სწავლება

შევასწავლი ხატვას, ფერწერას, მოდელირებას, ჭრა-კერვას, ცოცხალი და მშრალი ყვავილების კომპოზიციას შეღავათიან ფასებში. 32 35 83

კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი ინდივიდუალური კურსები: Windows, Word, Excell, Internet, E-mail - 60 ლარი. პროფესიული კურსი - 120 ლარი. Photo shop - 80 ლარი . Pagemaker - 60 ლარი. Adobe-premier - 200 ლარი
მის. ი.ჭავჭავაძის №74, IX სართ. ოთახი - 908. 25-35-48, 23-53-69

ნებისმიერი ასაკის მსურველთა მომზადება გერმანულ, ესპანურ და რუსულ ენებში ინდივიდუალურად. 39 50 31, 8(93) 30 93 20

## სხვადასხვა

იყიდება სუფთა ჯიშის ტაქსას ლეკვები. ფასი შეთანხმებით. 39 34 49

იყიდება 32 კვტ-იანი ფრანგული გენერატორი, 3-ფაზიანი. დიზელზე. 77 08 61

ვყიდი 15-ლიტრიან აკვარიუმს 6-7 ლარში. 39 69 05 ანზორი, გიორგი

ვყიდი კომპიუტერ დენდის. ფასი შეთანხმებით. 39 69 05 ანზორი, გიორგი

იყიდება მობილური ტელეფონი "მოტოროლა". პატარა, უანტენო. ფასი 190 ლარი. 8(99) 19 35 26

ვიწვევ სამორინეში გოგონებს 18-დან 25 წლამდე. ტელ: 899 288393

გამდიდრების უნარის განვითარება სულიერად ჩამოყალიბებულ ადამიანებში, უძველესი და ძლიერმოქმედი მეთოდების შესწავლა. 52 20 54

"სამოსელი პირველი" გაყიდვაშია. 38 47 53

იყიდება ევროპიდან ჩამოტანილი ესპანური ჭაღები დიდი ფასდაკლებით. 52 20 54

იყიდება ლამინირების აპარატი, ცელოფნის რულონი, გირლოტინა, სტეპლერები, ყველა ზომის სკობები დიდი ფასდაკლებით. 52 20 54

მერქნის დახურვა, გამოხარშვა, გამოშრობა ევროსტანდარტით. 8(99) 18 20 28

საშუამავლო ფირმა "კახი-98" გთავაზობთ ბინების ყიდვა-გაყიდვა-გაქირავება-დაგირავებას. 23 70 91, 8(77) 71 05 90, 8(93) 30 32 82

საშუამავლო ფირმა "კახი-98" ისესხებს და გაასესხებს თანხებს ბინის მყარი გარანტიით. 23 70 91, 8(77) 71 05 90, 8(93) 30 32 82

ფირმა "ულტრა-დომუს"-ი გთავაზობთ:
- პროექტირებას,
- დიზაინს,
- მშენებლობას.
ტელ: 23-36-58; 94-13-34; 893 347536

გთავაზობთ წიგნების, ჟურნალების, ბროშურების აკრეფვა-დაკაბადონებას, გაფორმებას, სავიზიტო ბარათების, ბლანკების დამზადებას, სხვადასხვა პოლიგრაფიულ მომსახურეობას.
მის. ი.ჭავჭავაძის №74, IX სართ. ოთახი - 908.
Tel/Fax: 25-35-48, 23-53-69

ფირმების რეგისტრაცია. ბუკლეტები, სავიზიტო ბარათები, პლაკატები.
ტელ: 95-39-97
მარჯანიშვილის 21, მე-4 სართული.

## საქართველოში მომუშავე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლების საყურადღებოდ

საქართველოს პარლამენტის აპარატის პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი ა.წ. 1 ნოემბრიდან იწყებს საქართველოს პარლამენტში 2003 წლის ჟურნალისტთა აკრედიტაციისათვის განცხადების მიღებას. განაცხადი უნდა შედგეს საქართველოს პარლამენტის აპარატის რეგლამენტისა და პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის დებულების დადგენილი წესის მიხედვით.

მადლობელი დაგრჩებით, თუ მასმედიის ხელმძღვანელები, განაცხადთან ერთად, ცალკე ფურცელზე მოგვაწვდიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მისამართს, ტელეფონის, ფაქსისა და ელექტრონული ფოსტის ნომრებს, აგრეთვე, აკრედიტებულ ჟურნალისტთა კოორდინატებს.

**განცხადების მიღება დასრულდება ა.წ. 1 დეკემბერს.**

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ შემდეგ ნომრებზე: 99 00 00, 99 99 62

## განცხადება

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმის ბაზაზე იხსნება
სამხატვრო სკოლა-სტუდია:

- **სკოლის მოსწავლეთათვის:** ფერწერა, ხატვა, ქანდაკება, კომპოზიცია, გობელენი, მოდელირება, კომპიუტერული გრაფიკა, მულტიპლიკაცია, დიზაინი, არქიტექტურა, ხატწერა, რესტავრაცია, რელიგიისა და ხელოვნების ისტორია.
- **აბიტურიენტებისათვის:** მოსამზადებელი ჯგუფი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში შესასვლელად (მიზნობრივი სწავლება).

სკოლა სტუდიის მოსწავლეები სისტემატიურად მიიღებენ მონაწილეობას საერთაშრისო და რესპუბლიკურ გამოფენებში. სასწავლო წლის ბოლოს მოეწყობა საზაფხულო შემოქმედებითი ბანაკი.
მოსწავლეები იმუშავებენ სამხატვრო სახელოსნოში და კომპიუტერულ კლასში.
სკოლა უზრუნველყოფილია გათბობით, მუდმივი დენით, მუშაობს ბუფეტი.
მეცადინეობა ჩატარდება კვირაში სამჯერ 15.00 საათზე.
მოსწავლეთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 20 ოქტომბრიდან.
სწავლა დაიწყება 3 ნოემბერს.

**მისამართი:** ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
**ტელეფონი:** 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა ლიცეუმი.




## აფიშა

### თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

### საგამოფენო დარბაზები

**ძველი გალერეა**
"განახლებული ურთიერთობები", მიშა შენგელიას, დავით ალექსიძსა და ლინ აჰრენსის ნამუშევართა გამოფენა

**N გალერეა**
კარლო კაჭარავას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება)

**გალერეა „ვერნისაჟი„**
ალექსანდრე გრიცაევის ნამუშევრების გამოფენა

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა „ორიენტი„**
"დილმის ტყე", ანა გაბრიაძის ნამუშევრების გამოფენა

### კინოთეატრები

**„ამირანი„**
"ბორნის საიდუმლო", მთავარ როლში მედ დეიმონი
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5,7 ლარი
"ვასაბი", რეჟ. ჟან რენო, მთავარ როლში ლუკ ბესონი
დას: 17:00; 21:00 სთ, ფასი 6,7 ლარი
"პიანისტი ქალი", რეჟ. მიხაელ ჰანეკე
დას: 23:00 სთ, ფასი 5 ლარი

**„რუსთაველი„**
"სათამაშო ისტორია 2", რეჟ. ეშ ბრენონი, ჯონ ლესეტერი
დას: 13:00; 15:00; 17;00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"დაგმობილი გზა", რეჟ. სემ მენდესი, მთავარ როლებში: ტომ ჰენკსი, პოლ ნიუმანი, ჯუდ ლო
დას: 21:00; 23:00 სთ; ფასი 7 ლარი

**„ელისო„**
"დაგმობილი გზა", რეჟ. სემ მენდესი, მთავარ როლებში: ტომ ჰენკსი, პოლ ნიუმანი, ჯუდ ლო
დას: 13:00; 15:00; 17;00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ჰოლივუდური დასასრული", რეჟ. ვუდი ალენი
დას: 21:00; 23:00 სთ; ფასი 6 ლარი

## TV პროგრამა 18 ნოემბერი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯადოქარი
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 ქალთა ქვეყანა
10.40 გურმანთა მეგზური
11.10 "ხალხის პირისპირ"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი "მაცდური სიყვარული"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 ჯადოქარი
18.45 ჰერაკლე
19.10 სერიალი "ტალღის ქიმზე"
20.05 სერიალი "მაცდური სიყვარული"
22.00 "ხალხის პირისპირ"
22.50 კურიერი
00.20 მხ.ფილმი "სასტიკი თამაში" მთ.როლებში ფორესტ უიტაკერი, მრანდა რიჩარდსონი
02.30 კლასიკა.

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 "დრო და ფული"
10.00 მხ. ფილმი "ბარნი და მისი პატარა უსიამოვნებები"
11.20 "საკვირაო გამოფენა"
11.30 დოკ. სერიალი "ევროპის ბუნებრივი დიდებულება"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი "რვაფეხა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 "ოქროს მართვე"
14.30 "საქართველო და გარესამყარო"
15.15 მხ. ფილმი "მომაკვდინებელი თამაში"
16.45 ტელესერიალი "ძილის წინ"
17.00 "რამპა"
17.05 50-50
17.40 დოკ. სერიალი "მიწვევა ცეკვაზე"
18.00 ვესტნიკი
18.20 ბასტი-ბუბუ
18.40 "მრავალჟამიერ"
19.05 ვიდეოპატრული
19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე"
20.55 ტელესერიალი "რვაფეხა"
21.50 "დრო და ფული"
22.10 დოკ. სერ. "ყველაზე, ყველაზე საკვირველი"
23.00 დღის ბოლოს
23.40 სერიალი "ძილის წინ"
00.00 მხ. ფილმი "წითელი მზე"

### პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
08.00 "ტოროლა"
11.00 "მუსიკალური ათეული" გამეორებით
12.00 "მო" გამეორებით
13.30 "არასარეკლამო ათეული" გამეორებით
13.45 "ცენტრი" გამეორებით
14.00 პაუზის გარეშე
17.00 "კომედია" მხ.ფ. "თაღლითები"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 "მო"
21.00 ევროპული ათეული
22.00 უცნობი
22.45 "პა-სეანსი"
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ადამიანი ფარვანა".
01.40 "ღამურა" მხ.ფ. "სამთა სიყვარული"
03.10 ნონ-სტოპი

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები"
20.30 ლიტერატურული გადაცემა
21.00 ჯანმრთელობა
21.40 მიზანი
22.10 ჰიტ-პარადი
22.20 მხ. ფილმი "განმეორებითი ქორწინება"

### ევრიკა

11.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
11.20 მსოფლიო სპორტი
12.30 "ვარსკვლავები გვამცნობენ"
14.30 დოკ. ფილმი "ფანჯარა ევროპაში"
15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 ექსტრაორდინალური
20.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი
20.40 პირველი ნაბიჯები
21.00 ტალანტები და თაყვანისმცემლები
22.00 ინდური კინოს მოყვარულებს. მხ. ფილმი

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 00.25 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "მეეხუთე ელემენტი"
10.20 მხ.ფ. "უგროშოდ ბევერლი-ჰილზე"
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
20.00 მხ.ფ. "მანიტუს მოკასინები"
22.30 ბურთი და მოედანი
22.50 მხ.ფ. "ცეკვა უცნობთან"
00.30 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 ინდური მხ. ფილმი
15.00 მხ. ფილმი "იდეალური მკვლელობა"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს"
17.15 მხ. ფილმი "ბარი "საზიზღარი კოიოტი"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი "მამაცი გული"

### მეცხრე არხი

10.00 მხ. ფილმი "სიღრმეში"
10.40, 13.45, 14.55, 17.30, 18.45, 20.50, 21.45, 23.35 მუსიკა
12.00 მხ. ფილმი "ნატვრის ხე"
14.00 დოკ. ფილმი "პიკასო"
15.00 მხ. ფილმი "წნეხის ქვეშ"
16.30 დოკ. სერიალი "ველური ბუნება"
17.45 მულტფილმი "ბანანის ზოოპარკი"
18.15 საბავშვო სერიალი "ჰორასი და თინა"
19.00 მხ. სერიალი "მოჯადოვება"
20.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი"
21.00 დოკ. ფილმი "ფრანგი მხატვრები"
21.30 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "მაჩუ პიქჩუ" ინკების ქალაქის ნანგრევები"
22.00 მხ.ფ. "მთავარი ეჭვმიტანილი"
23.50 მხ.ფ. "ზვავი"

### აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ქართული მხატვრული ფილმი "აკაკის აკვანი"
10.55 СЛОВО
12.00, 16.00, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება
12.15 სათავგადასავლო ფილმი "უძილობა სიეტლში"
13.50 დრამა "პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი"
16.10, 19.30, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
16.20 მულტფილმი "ველური გედები"
17.15 მელოდრამა "სცენა ზღვასთან"
19.20, 22.30, 00.30 "ნოვოსტი"
19.40 დოკუმენტური ფილმი
20.20 ქართ. მხ. ფილმი "მოკვეთილი"
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება
23.05, 01.05 საინფორმაციო გამოშვება
23.10 დოკუმენტური ფილმი
01.10 დრამა "ცისფერი უფსკრული"
03.30 სათავგადასავლო ფილმი "ინდიანა ჯონსი. დაკარგული კიდობნის მაძიებელნი"

### VII არხი

09.00 ანონსი
09.05 ამინდის პროგნოზი
09.10 "აჩიკუდა"
09.40 "სახლიდან გაუსვლელად"
10.20 მელოდია
10.50 "სახლიდან გაუსვლელად"
11.15 ანიმაცია
11.30 "სახლიდან გაუსვლელად"
12.05 "ობიექტივი"
12.55 დისნეი და მისი მეგობრები
13.20 "სახლიდან გაუსვლელად"
14.05 სპორტი
18.15 "სახლიდან გაუსვლელად"
18.45 მელოდია
19.00 "აჩიკუდა"
19.45 "სახლიდან გაუსვლელად"
20.20 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.30 სპორტული პროგრამა
21.10 "ლა-ლა-ლა"
22.00 "სახლიდან გაუსვლელად"
22.20 "კინოკლუბი " - "ქვის რომანი"
00.05 სპორტი
00.10 "სახლიდან გაუსვლელად"
00.40 "ბიორითმი" - მეგა 2002.

### ОРТ

14.30 Худ.фильм "ЧЕЛОВЕК НИОТКУДА"
16.00, 19.00 Новости
16.15 "Фабрика звезд"
16.45 "Ералаш"
16.55 Худ.фильм "ЖИВОТНЫЕ - НАРУШИТЕЛИ"
18.00 "Большая стирка"
19.25 "Шутка за шуткой"
20.00 "Необъятный Рязанов. Юбилей"
22.00 Время
22.40 Худ.фильм "ЛЕДНИКОВЫЙ ПЕРИОД", 5 с.
23.45 Независимое расследование
00.30 "Фабрика звезд"
01.00 "Другое время"
01.40 "На футболе"
02.10 "Апология"

### РТР

06.45 Доброе утро, Россия!
09.45 Комедия "КЛУБ ПЕРВЫХ ЖЕН"
11.45 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 "Цена успеха"
13.15 Вера, надежда, любовь
14.15 Экспертиза
14.30 Док.фильм "Двести лет на службе Отечеству"
15.20 "Что хочет женщина"
16.20 Телефильм "К расследованию приступить"
17.45 Вести. Дежурная часть
18.20 Стань звездой
19.20, 21.35 Вести-Москва
19.50 Сериал "ВОРОВКА. СЧАСТЬЕ НАПРОКАТ"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Сериал "НИНА. РАСПЛАТА ЗА ЛЮБОВЬ"
23.00 Сериал "Марш Турецкого 3. Кто стреляет последним"
00.00 "Вести +" 00.35 Культурная революция
01.40 Синемания
02.10 Дорожный патруль




*ფეხბურთი*

# ფერგიუსონი „მანჩესტერში" რჩება და რეფორმებს იწყებს

*"მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდარული მწვრთნელი, სერ ალექს ფერგიუსონი კლუბის მიტოვებას ჯერ კიდევ მაისში გეგმავდა. იმის გამო, რომ მისმა გუნდმა გასულ სეზონში ვერც ჩემპიონთა ლიგა და ვერც ინგლისის ჩემპიონატი ვერ მოიგო, მწვრთნელმა თავის პოსტზე კიდევ ერთი წლით დარჩენა ამჯობინა. როგორც ჩანს, ალექს ფერგიუსონის პირობა ამჯერადაც დაირღვევა: კლუბის მიტოვება მან კვლავ გადაიფიქრა.*

აკა ტონია

გუშინ ალექს ფერგიუსონმა გააკეთა განცხადება, რომელიც ელვის სისწრაფით გავრცელდა მსოფლიოს თითქმის ყველა საინფორმაციო საშუალებით - ის "მანჩესტერში" რჩება.

შოტლანდიელი მწვრთნელი კლუბს 1992 წლიდან უდგას სათავეში. 9 სეზონის მანძილზე ფერგიუსონმა "მანჩესტერს" არაერთი ტიტული მოაგებინა, უკანასკნელ ხანებში კი დაკავებული თანამდებობის მიტოვებაზე დაიწყო საუბარი. გადადგომა მას მიმდინარე წლის მაისში ჰქონდა დაგეგმილი, თუმცა, ეს ნაბიჯი მაინც არ გადადგა. გასულ სეზონში "მანჩესტერმა" ვერაფერი მოიგო, ფერგიუსონს კი გამარჯვებით სურს დამშვიდობება. კლუბი არც მიმდინარე სეზონში ბრწყინავს. ალბათ, ამიტომაცაა, რომ სერ ალექს ფერგიუსონმა კლუბში კიდევ სამი წლით დარჩენაზე დაიწყო ფიქრი. "არ ვაპირებ, გუნდიდან გამარჯვების გარეშე წავიდე, ეს არ მოხდება. შემიძლია ვთქვა, რომ მზად ვარ, კიდევ სამი წლით გავაგრძელო "მანჩესტერში" მოღვაწეობა", - განაცხადა ფერგიუსონმა.

ფერგიუსონის "მანჩესტერში" დარჩენა იმას ნიშნავს, რომ კლუბის შემადგენლობას სერიოზული რეფორმები ელის. მწვრთნელი ფეხბურთელთა შედეგიანობით ძალიან უკმაყოფილოა და მათ ულტიმატუმიც კი წაუყენა - თავის გამოჩენისთვის სეზონის ბოლომდე მისცა დრო. თუ მათი სპორტული ფორმა ისევ არადამაკმაყოფილებელი იქნა, ფერგიუსონი ახალი გუნდის შენებას დაიწყებს. "სეზონის ბოლომდე ფეხბურთელებს დრო ექნებათ, რათა თავიანთ შესაძლებლობებში დამარწმუნონ. ეს პერიოდი სრულიად საკმარისი იქნება იმისთვის, რომ ვნახოთ, ვინ უნდა დარჩეს გუნდში და ვისი შეცვლაა საჭირო. "მანჩესტერში" მუშაობის მანძილზე გუნდი სამჯერ გადავახალისე. შესაძლოა, კვლავ დამჭირდეს ახალი გუნდის ჩამოყალიბება", - ამბობს ფერგიუსონი.


REUTERS

ალექს ფერგიუსონი

შესაცვლელ ფეხბურთელთა სიაში მოხვედრის რეალური კანდიდატია არგენტინელი ხუან სებასტიან ვერონი. მის სანაცვლოდ ინგლისელებმა 44,4 მილიონი დოლარი გადაიხადეს, მაგრამ ნახევარმცველის თამაშის ხარისხი ჯერაც არ არის დამაკმაყოფილებელი. ფერგიუსონი ამბობს: "ვერონი, მართლაც, კარგი მაგალითია. ის შესანიშნავი ფეხბურთელია, მაგრამ, არ ვიცი, რამდენად კარგი მოთამაშეა პრემიერლიგისთვის. ბევრი მიიჩნევს, რომ ის უნდა გავყიდოთ, თუმცა, ვერონის გუნდიდან გაშვებას ჯერჯერობით არ ვაპირებ".

"როდესაც აქ მოვედი, გუნდს, 20 წლის მანძილზე, ინგლისის ჩემპიონატი არ მოეგო. "მანჩესტერს" ძველი დიდება დავუბრუნეთ, მაგრამ გასულ სეზონში ხელი მოგვეცარა და ყოველგვარი ტიტულის გარეშე დავრჩით. ეს კრიზისია, მაგრამ მე არ დავუშვებ, რომ ის დიდხანს გაგრძელდეს", - განაცხადა ფერგიუსონმა.

*ცურვა*

# წყლის მოქცევა რიოდან დაიწყო

*2002-2003 წლების მოცურავეთა მსოფლიო თასი ადრინდელისგან იმით განსხვავდება, რომ ამჯერად, ცხრის ნაცვლად, შვიდი ეტაპია. საასპარეზო ფორმატის ამგვარად შეცვლით ცურვის მაღალჩინოსნებს სურთ, მსოფლიო თასი მეტად სანახაობრივი გახადონ. ისე კი, წინა გათამაშებაში, მსოფლიო თასის ისტორიაში, უპრეცედენტო მსოფლიო რეკორდების მოწმე გავხდით - სპორტსმენებმა 2001-2002 წლების სეზონში პლანეტის საუკეთესო შედეგი 21-ჯერ გააუმჯობესეს. რამდენად შესაძლებელი იქნება შვიდეტაპიან გათამაშებაში ამ ერთგვარი რეკორდის გაუმჯობესება, ამას მომავალი გვიჩვენებს. მანამდე კი სიმშვიდეა.*

გიგა გურასაშვილი

მშვიდი და მზიანი დღე იყო გათამაშების მასპინძელ რიო-დე-ჟანეიროში. ამინდზე იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ პირველი ეტაპის სარბიელი ერთადერთია დანარჩენ სათასო არენათაგან, რომელიც ღია ცის ქვეშ იმართება. გათამაშებაში, როგორც მოსალოდნელი იყო, მასპინძლები სჭარბობდნენ. ასპარეზობის 256 მონაწილიდან 162 ბრაზილიელი გახლდათ, დანარჩენები კი 23 ქვეყანას წარმოადგენდნენ. მიესიმო და სილვას სპორტულ ცენტრში არაერთმა ოლიმპიურმა, მსოფლიო ჩემპიონმა თუ რეკორდსმენმა მოიყარა თავი. თითოეულ ეტაპზე დაწესებული საპრიზო ფონდი 60 ათას დოლარია, რომელიც 34 დისციპლინის პირველ სამეულში მოხვედრილთათვისაა გათვალისწინებული. ცალკეა მსოფლიო რეკორდებისთვის დაწესებული პრემიებიც, თუმცა, რიო-დე-ჟანეიროს ეტაპის პირველ დღეს ამგვარი შედეგები არ დამყარებულა. დაწინაურდა ამერიკელი ჰეილი კოუპი, რომელმაც 50 მეტრზე გულაღმა ცურვაში გამარჯვებით ყველაზე მეტი - 999 ქულა დააგროვა. მეორე ადგილზეა 200 მეტრზე კომპლექსურში გამარჯვებული უკრაინელი იანა კლოჩკოვა (979 ქულა), რომელმაც 800 მეტრზე თავისუფალსა და 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში, შესაბამისად, ოქრო და ბრინჯაო მოიპოვა. მესამე ადგილზეა კოუპის თანამემამულე ამანდა ბერდია, რომელმაც 100 მეტრზე ბრასში ჩემპიონობით 974 ქულა მოიხვეჭა. ბერდმა 200 მეტრზე კომპლექსურში, კლოჩკოვასთან მარცხის გამო, ასპარეზობა მეორემ დაასრულა. ერთი სიტყვით, ამგვარ ჩათვლებში პირველი სამეული ქალებმა დაისაკუთრეს, თუმცა, არა ბოლომდე. არგენტინელი ხოსე მეოლანი 974 ქულით ბერდის თანაზიარად მოგვევლინა. უჩვეულო კი ის არის, რომ არგენტინელმა სანუკვარი ქულები ჰოლანდიელ ოლიმპიურ ჩემპიონთან პიტერ ვან დენ ჰუგენბანდთან 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში პაექრობისას მოიპოვა. ერთადერთხელ გავიდა სარბიელზე და აქაც ყველაზე მეტი ქულის მეპატრონე გახდა, რა თქმა უნდა, ვაჟ მოცურავეებთან მიმართებაში. რაც შეეხება არგენტინელთან მეორეზე გამწესებულ ჰუგენბანდს, იგი იმავე ჩათვლაში 969 ქულით მეხუთეზეა, ოღონდ, ჰოლანდიელმა ეს 400 მეტრზე "თავისუფალში" ჩემპიონობით შეძლო. ჰუგენბანდი დამარცხდა 50 მეტრზე ბატერფლაით ასპარეზობისასაც. ამ შემთხვევაში ოლიმპიური ჩემპიონი მასპინძელმა ფერნანდო შერერმა გაამწესა მეორე ადგილზე. არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში ბრაზილიელები, 2 "ოქროს", 1 "ვერცხლისა" და 7 "ბრინჯაოს" მედლით, მეოთხე ადგილზე არიან. პირველობა კი ჩინელებს უპყრიათ ხელთ (შესაბამისად, 4, 1, 0). მეორეზეა აშშ (2, 3, 6), ხოლო მესამეზე - ჰოლანდია (2, 2, 0).

*რაგბი*

# სამხრეთული ლელო ჩრდილოეთში გაიყინა

## სამხრეთელი ბობოლები ევროპელებს ვერაფერს უხერხებენ

*რამდენიც უნდა იძახონ, სამხრეთული რაგბი ჯერაც ჩრდილოურზე უკეთესია და მომავალ მსოფლიო თასზეც ისევ სამხრეთელები გაიმარჯვებენო, დღეს ვითარება სხვაგვარია. წინა კვირის მსგავსად, ამჯერადაც ჩრდილოეთ ნახევარსფეროს წარმომადგენლებმა დაჩაგრეს სამხრეთელები. მხოლოდ ახალმა ზელანდიამ დაიცვა იქაური რაგბის პრესტიჟი, თუ საფრანგეთთან მიღწეულ ფრეს პრესტიჟის დაცვა ჰქვია.*

პაატა თოთაძე

### ინგლისი - ავსტრალია 32:31

ანგარიშიდან გამომდინარე, კაცმა შეიძლება წარმოიდგინოს, თუ რამდენად დაძაბული და საინტერესო იყო გუშინწინდელი მატჩი თვიქნემში. წინა კვირას ირლანდიელებთან წაგებული თამაშის შემდეგ, ავსტრალიელთა მწვრთნელი ინგლისთან მატჩს უაღრესად მნიშვნელოვნად მიიჩნევდა. "ირლანდიელებთან მატჩი რამდენჯერმე გავარჩიეთ და დასკვნებიც გამოვიტანეთ. ვფიქრობ, ინგლისთან მატჩში წარმატების რეალური შანსი გვაქვს. ამასაც რომ თავი დავანებოთ, წაგების უფლება, უბრალოდ, არა გვაქვს", - მატჩამდე გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა "ვოლაბიზის" თავკაცმა ედი ჯოუნსმა.

დასკვნები ავსტრალიელებს, მართლაც, გამოუტანიათ, რადგან, ირლანდიელებთან მატჩისგან განსხვავებით, ინგლისთან შეხვედრაში ოზები გაცილებით კარგად გამოიყურებოდნენ და, მატჩის მიწურულს მეთიუ ბურკის მიერ აცილებული საჯარიმო რომ არა, სულაც გამარჯვებულები დატოვებდნენ მოედანს. ინგლისი 1999 წლის შემდეგ კვლავაც თვიქნემში დაუმარცხებელ გუნდად დარჩა. "ინგლისი, მართლაც, კარგი გუნდია, მაგრამ ნამდვილი გამოცდა მას მომავლ წელს, შორეულ ავსტრალიაში ელის. იქაური მოედნები ხომ მხოლოდ ჩვენთვის არის შინაური. დღევანდელი მატჩი კი ჩვენივე შეცდომებით წავაგეთ", - ექვსი ერის წარმომადგენლებთან ზედიზედ მეორე მარცხის შემდეგ განაცხადა ედი ჯოუნსმა.

თავად მატჩი კი ინგლისელმა და ავსტრალიელმა ჟურნალისტებმა თრილერად მონათლეს. მატჩის დასაწყისში დაწინაურებულმა ინგლისელებმა ტაიმის ბოლოს ათქულიან უპირატესობას მიაღწიეს ბენ კოენის და ჯონი უილკინსონის წყალობით. სხვათა შორის, ინგლისელთა ყველა ქულა სწორედ ამ ორი მორაგბის ანგარიშზეა - კოენის მიერ ორი ლელოს გატანით მოპოვებულ 10 ქულას უილკინსონმა 22 მიამატა. სტუმართაგან მეთიუ ბურკი გამოირჩა როგორც მის მიერ მოპოვებული 16 ქულით, ისე აცილებული დარტყმებით. უქულოდ არც ლიგიდან გადმოსულმა ვენდელ სეილორმა დატოვა მოედანი.

### საფრანგეთი - ახალი ზელანდია 20:20

გარდა იმისა, რომ ფრანგულ რაგბისთან ქართველებს მეტი სიახლოვე გვაქვს, მატჩი იმითაც იყო გამორჩეული, რომ საფრანგეთის ნაკრებში გამოიძახეს დიმიტრი იაშვილი, საქართველოს ნაკრებში მოთამაშე გრეგუარის უმცროსი ძმა.

ამ მატჩამდე ფრანგებს და ზელანდიელებს ერთმანეთთან 37 მატჩი ჰქონდათ ნათამაშები. 27 შეხვედრა ზელანდიელთა გამარჯვებით დამთავრდა. ბოლოს, პარიზში, 1973 წელს, ფრანგებმა აჯობეს მეტოქეს. გუშინწინ ევროპელებს, 29-წლიანი ლოდინის შემდეგ, გამარჯვების კარგი შანსი ჰქონდათ, მაგრამ წინა კვირას აფრიკელებთან მატჩში ზუსტი დარტყმებით გამორჩეულმა ჟელეზმა მატჩის ბოლო წუთზე საჯარიმო ააცილა და ამ გუნდების პაექრობის ისტორიაში პირველი ფრე დაფიქსირდა.

ფრანგებს რომ ჩინებული გუნდი ჰყავთ, ადრეც ვწერდით. გუშინწინდელმა მატჩმა კი ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, თუმცა, მათი ხარვეზებიც დავინახეთ. პირველ რიგში, ეს ეხებათ უკანახაზელებს, რომლებიც ზელანდიელებზე გაცილებით უარესად გამოიყურებოდნენ. მასპინძელმა მცველმა ნიკოლა ბრუსკიმ, წინა მატჩის მსგავსად, ახლაც სუსტად ითამაშა, თუმცა, შეხვედრის მიწურულს გატანილი ლელოთი ერთგვარი რეაბილიტაცია შეძლო. საერთოდაც, ფრანგთა უკანახაზელებმა შეტევაში უფრო უარესად ითამაშეს, ვიდრე დაცვაში. სამაგიეროდ, ფრანგების შერკინებამ ითამაშა შესანიშნავად.

პირველ ტაიმში ორივე გუნდი საკმაოდ ბევრ შეცდომას უშვებდა. მორაგბეებს ბურთიც ხშირად უვარდებოდათ ხელიდან. მატჩის დაწყება და ფრანგთა ლელო ერთი იყო, მაგრამ მსაჯმა ფაბიენ გალტიეს მიერ ბურთის ჩაჭრისას წინ თამაში დააფიქსირა და, შესაბამისად, არც ლელო ჩათვალა. ასეთ დროს მსაჯები ხშირად თავს იკავებენ წინ თამაშის დაფიქსირებისგან. ამიტომ ავსტრალიელი რეფერის მოქმედებას ფრანგებმა თავისებური პროტესტით უპასუხეს. საქმე გალტიეზე მიდგა და ფრანგი ნახევარმცველი, როგორც ყოველთვის, ამ მატჩშიც შესანიშნავად გამოიყურებოდა.

ბრუსკის ლელო, შეიძლება ითქვას,


REUTERS

ინგლისელი ბენ კეისა და ავსტრალიელი მეტ კოკბეინის ორთაბრძოლა

გარკვეულწილად, შემთხვევითი იყო. ფრანგებმა მშვენივრად გაითამაშეს კომბინაცია. ორმა ზელანდიელმა სცადა ბრუსკის შეჩერება და, ალბათ, მოახერხებდა კიდეც, მოედანი სველი რომ არ ყოფილიყო. სწორედ სველი მოედნის ბრალი იყო, ზელანდიელებისგან წაქცეული ბრუსკი სამი მეტრით რომ გაცურდა და ბურთი მეტოქის ჩათვლის მოედანში დაამიწა. ეს ყველაფერი ზელანდიელი უმაგას მიერ გატანილი ლელოდან სამ წუთში მოხდა. უმაგას მიერ გატანილი ლელო ჩინებული კომბინაციის შედეგი იყო. სტუმართა პირველი ლელო კი მთლიანად კის მიუსის დამსახურება გახლდათ.

### შოტლანდია - სამხრეთ აფრიკა 21:6

ეს იყო შოტლანდიელთა პირველი გამარჯვება სამხრეთაფრიკელებზე 1969 წლის შემდეგ. გამარჯვებაცაა და გამარჯვებაც - შოტლანდიელებმა მეტოქეს 6 ქულაზე მეტი არ მოაპოვებინეს. საერთოდ, აფრიკელები ცუდ დღეში არიან. გუნდი ზედიზედ მარცხდება და მწვრთნელი ამ მდგომარეობიდან გამოსავალს ვერ პოულობს. რუდოლფ სტრეულის თქმით, მის გუნდში ბევრი ახალი მოთამაშეა და გუნდს, მისთვის საკადრისი შედეგების ჩვენებამდე, კიდევ რამდენიმე თამაში სჭირდება. სტრეული კი ამბობს ამას, მაგრამ გულშემატკივრებს მისი ნაკლებად სჯერათ და მწვრთნელის გადაყენებას მოითხოვენ. ეს საკითხი სკოტებთან მარცხის შემდეგ უფრო აქტუალური გახდება, რადგან შოტლანდიელები არც ევროპული და, მით უმეტეს, არც მსოფლიო რაგბის გრანდები არ არიან.

მეტ-ნაკლებად თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ, როცა ანგარიში 6:6 იყო, მეორეში მთლიანად მასპინძლები დაეუფლნენ უპირატესობას. ამასთან, აფრიკელებმა უხეში გუნდის იმიჯს არ უღალატეს და მრავალჯერ დაჯარიმდნენ. მასპინძელთა დამრტყმელი ბრენდან ლენი უფრო ზუსტი რომ ყოფილიყო, შოტლანდიელები გაცილებით დიდი სხვაობით მოიგებდნენ.

*მოკლედ*

**ფეხბურთი.** შაბათს "რომასა" და "ინტერის" ფრედ (2:2) დასრულებული მატჩის შემდეგ დედაქალაქელთა მთავარმა მწვრთნელმა, ფაბიო კაპელომ, მსაჯების მიმართ გულისწყრომა ვერ დამალა. მისი თქმით, თუ სერია A-ში მსაჯობა არ გამოსწორდება, ანუ ობიექტური არ გახდება, იგი უცხოეთში წავა სამუშაოდ. "მე ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ. მთელი კვირის განმავლობაში სერიოზულად ვემზადებით და სულ რაღაც ორ საათში მსაჯები ყველაფერს წყალში გვიყრიან. არბიტრი რომ არა, "ინტერთან" აუცილებლად გავიმარჯვებდით", - თვლის კაპელო.

იგივე აზრზეა "რომას" პრეზიდენტი ფრანკო სანსი, რომელიც იტალიის საფეხბურთო ლიგის მუშაობაში სამი თვის განმავლობაში ვერ მიიღებს მონაწილეობას. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ "რომას" პრეზიდენტის ამ ვადით დასჯა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც სენსიმ განაცხადა, თითქოს ფედერაცია ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ჩემპიონი "იუვენტუსი" ან "მილანი" გახდესო.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ახლო წარსულში ცნობილმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა, ამჟამად იაპონიის საფეხბურთო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ზიკომ, დედის გარდაცვალების გამო დატოვა "ამომავალი მზის ქვეყანა" და სამშობლოში გაემგზავრა. ამის გამო ზიკო ვერ დაესწრება ამხანაგურ მატჩს, რომელშიც იაპონიის ეროვნული გუნდი არგენტინის ნაკრებს უმასპინძლებს.

ზიკოს დედა, მატილდა დე სილვა კოიმბრა, გუშინწინ რიო-დე-ჟანეიროს ერთ-ერთ საავადმყოფოში სიმსივნით გარდაიცვალა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "მანჩესტერ იუნაიტედისა" და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი, დევიდ ბექჰემი, სამი კვირით გამოეთიშა აქტიურ სპორტს. რენტგენის სურათმა მას ნეკნის მოტეხილობა დაუდგინა. სავარაუდოდ, ბექჰემმა ეს ტრავმა ორი კვირის წინ მიიღო.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგის მატჩების მიმართ მაყურებელთა ინტერესი წლიდან წლამდე იზრდება. უეფას ინფორმაციით, შარშანდელ სეზონთან შედარებით, ლიგის პირველი ჯგუფური ეტაპის მატჩები 10 პროცენტით მეტმა მაყურებელმა ნახა, რაც ციფრებით, დაახლოებით, 300 000-ის ტოლია. შესაბამისად, გაიზარდა მატჩზე მაყურებელთა დასწრებაც. თუ შარშანდელ სეზონში სტადიონები, საშუალოდ, 74 პროცენტით ივსებოდა, წლეულს ამ მაჩვენებელმა 79 პროცენტი შეადგინა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** რომის "ლაციოს" გოლკიპერი ლუკა მარკეჯანი ორი თვე ვერ შეძლებს თამაშს. მეკარეს უეფას თასის განმეორებით მატჩში (ბელგრადის "ცრვენა ზვეზდას" წინააღმდეგ) ხელი მოსტყდა. ორშაბათს მას ოპერაციას გაუკეთებენ. ექიმთა განცხადებით, მარკეჯანი მხოლოდ იანვარში შეძლებს თამაშს. ამან კიდევ უფრო გაართულა "ლაციოს" მდგომარეობა, რომელსაც ძირითადი მეკარე - ანჯელო პერუციც ტრავმირებული ჰყავს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** შესაძლოა, სანკტ-პეტერბურგის "ზენიტი" მომავალი სეზონიდან ჩეხმა სპეციალისტმა, 49 წლის ვლასტიმილ პეტრჟელამ გაწვრთნას. ყველაფერი დამოკიდებულია ჩეხის პროგრამაზე, რომელსაც ის მომავლ კვირას კლუბის დირექტორთა საბჭოს წარუდგენს. ყველაზე მცირე, რასაც ხელმძღვანელობა ახალი მწვრთნელისგან ითხოვს, 2003 წელს ხუთეულში მოხვედრაა, 2004 წელს კი - ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მსოფლიოს უძვირესი მცველი რიო ფერდინანდი სამი კვირა ვერ შეძლებს თამაშს. ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც "მანჩესტერ იუნაიტედის" ექიმებმა ჩემპიონთა ლიგის "ბაიერთან" მატჩში ტრავმირებული მცველი გამოიკვლიეს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** სამმა ბოროტმოქმედმა გაძარცვა პესკარას სტადიონის სალარო (ამ სტადიონზე იტალიისა და თურქეთის ნაკრებთა ამხანაგური მატჩი უნდა გამართულიყო). მძარცველებმა წაიღეს 60 000 ევრო და 30 000 ევროს ღირებულების ბილეთები.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** საფრანგეთის "ოსერი" ქვეყნის ოლიმპიურ კომიტეტში აპირებს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილების გასაჩივრებას. საქმე ის არის, რომ ფედერაციამ "ოსერს" "სედანთან" მოგებული მატჩის გადათამაშება დაავალა. ამის მიზეზი გახდა მსაჯის გადაწყვეტილება – გაშვებული გოლის შემდეგ, მან "ოსერს" თამაშის ცენტრიდან დაწყების უფლება მისცა მაშინ, როცა "სედანის" ორი ფეხბურთელი მეტოქის ნახევარზე იმყოფებოდა. თითქოს არაფერი, მაგრამ "სედანის" პროტესტი იმან გამოიწვია, რომ "ოსერმა" გოლი სწორედ მატჩის განახლების შემდეგ პირველივე შეტევით გაიტანა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მორიგი დანაკლისი განიცადა ინგლისურმა "ლიდსმა". ამჯერად ტრავმა მიიღო იორკშირელთა მცველმა ლუკას რადებემ. მანამდე გუნდს კიდევ ერთი მცველი - დომინიკ მატეო გამოაკლდა. ექიმთა განცხადებით, მატეო დეკემბრის დასაწყისში შეძლებს თამაშს, რადებეს კი იანვრამდე მოუწევს დასვენება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** დიდი ხანია, მიმდინარეობს საუბარი იმაზე, თუ სად გააგრძელებს სამწვრთნელო კარიერას ბრაზილიის ნაკრების ყოფილი დამრიგებელი ლუიშ ფელიპე სკოლარი. საინფორმაციო წყაროები სულ სხვადასხვა ვარიანტს გვთავაზობენ, მაგრამ, რეალურად, სკოლარი ისევ უმუშევარია.

და აი, გუშინ "როიტერმა" გაავრცელა კიდევ ერთი ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, სკოლარიმ უკვე მიაღწია წინასწარ შეთანხმებას პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციასთან და ახლო მომავლში ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდს ჩაუდგება სათავეში.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისის "ბელქბერნისა" და აშშ-ის ნაკრების მეკარეს, ბრედ ფრიდელს, მომავალ კვირას ოპერაციას გაუკეთებენ. უკვე დიდი ხანია, მას მარცხენა მუხლი აწუხებს და ოპერაციის გაკეთებას სეზონის დასრულების შემდეგ აპირებდა, თუმცა, აღარ დასცალდა.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** ფრანგული საინფორმაციო წყაროების ცნობით, ლეგენდარული ფრანგი პილოტი ალენ პროსტი ფორმულა 1-ში დაბრუნებას აპირებს. ჯერჯერობით დაზუსტებული არაა - რა ამპლუით, მაგრამ, როგორც ვარაუდობენ, ის "რენოში" დაიწყებს მუშაობას. ოთხმოციანი წლების დასაწყისში პროსტი სწორედ ამ გუნდის ღირსებას იცავდა.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** მიუხედავად იმისა, რომ "ფერარის" ახალი ბოლიდები უკვე მზადაა, 2003 წლის სეზონს მიხაელ შუმახერი და რუბენს ბარიკელო ძველი, 2002 წლის მოდელის ბოლიდებით დაიწყებენ. იტალიური საჯინიბოს მთავარი კონსტრუქტორის, სამხრეთ აფრიკელი რორი ბირნის თქმით, ახალი ბოლიდის გამოცდა თებერვალში დაიწყება და, დაახლოებით, ორ თვეს გასტანს. ჩემპიონატის პირველი ეტაპი კი მარტის დასაწყისში გაიმართება.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** გასაკვირია, მაგრამ იმ დროს, როცა გასულ სეზონში "ფერარიმ" და მისმა პილოტებმა ყველაფერი მოიგეს, რისი მოგებაც შეიძლებოდა, პილოტთა საუკეთესო დუეტად "უილიამს-ბმვ"-ს პილოტები - ხუან-პაბლო მონტოია და რალფ შუმახერი დაასახელეს.

■ ■ ■

**კრივი.** გუშინ ლას-ვეგასში უცნაური რამ მოხდა - კიევიდან ამერიკაში ემიგრირებულმა ებრაელმა მოკრივემ, დმიტრი სალიტამ, შაბათს ბრძოლაზე უარი განაცხადა. როგორ არ ცდილობდნენ პრომოუტერი და ბრძოლის ორგანიზატორები სალიტას დაყოლიებას, მაგრამ არაფერმა გაჭრა, სანამ საქმეში ლას-ვეგასის რაბინი არ ჩაერია. სწორედ მან შეძლო, დაერწმუნებინა მოკრივე, რომ რინგზე გასულიყო მზის ჩასვლის შემდეგ.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** რუსეთის ნაკრების კაპიტანმა შამილ ტარპიშჩევმა განაცხადა იმ ჩოგბურთელთა ვინაობა, რომლებსაც დევისის თასის ფინალურ მატჩში მოუწევთ ფრანგებთან ბრძოლა. როგორც მოსალოდნელი იყო, სლავთა რიგებში არავითარი ცვლილება არ მომხდარა, ფინალშიც ისინი ითამაშებენ, ვინც ნახევარფინალში ითამაშა – კაფელნიკოვი, საფინი, იუჟნი და სტოლიაროვი. სამაგიეროდ, ცვლილება მოხდა ფრანგების შემადგენლობაში. სებასტიან გროჟანის, არო კლემანის, ფაბრის სანტოროსა და ნიკოლა ესკუდეს მხარდამხარ ახალგაზრდა პოლ-ანრი მატიე ითამაშებს.

■ ■ ■

**ჰოკეი.** მეორე ოვერტაიმის დასრულებამდე ოცი წამით ადრე გატანილმა შაიბამ რუსი სერგეი ფიოდოროვი ჰოკეის ნაციონალური ლიგის რეკორდსმენი გახადა. "დეტროიტის" ცენტრფორვარდი ოვერტაიმებში გატანილი გოლებით ლიგის ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

■ ■ ■

**კალათბურთი.** ფიბას გადაწყვეტილებით, 2008 წლიდან ოლიმპიური თამაშების დროს კალათბურთში შეჯიბრებისას გარანტირებულ ადგილს მხოლოდ თამაშების ორგანიზატორი ქვეყანა მიიღებს. მსოფლიო ჩემპიონს კი, სხვების მსგავსად, ტურნირზე მოსახვედრად მოუწევს ბრძოლა. ასევე გადაწყდა, რომ ახალგაზრდათა შორის მსოფლიო ჩემპიონატები არა ოთხ, არამედ ორ წელიწადში ერთხელ გაიმართოს. 2003 წლიდან კი ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების დასრულების შემდეგ მსოფლიოს ექვსი საუკეთესო გუნდი ბორისლავ სტანკოვიჩის სახელობის ტურნირზე შეეჯიბრება ერთმანეთს.

■ ■ ■

**კალათბურთი.** ბოლო თვეებმა ცხადყო, რამდენად მნიშვნელოვანია შაკილ ონილი "ლეიკერსისთვის". გუნდმა, რომელსაც **ნბა**-ს საუკეთესო ცენტრი ტრავმის გამო გამოაკლდა, ბოლო რვა მატჩში ექვსი მარცხი განიცადა. "ლეიკერსის" საქმეები მალე, ალბათ, უკეთესობისკენ წავა, რადგან ონილი 22 ნოემბერს გეგმავს მოედანზე დაბრუნებას.



H1 თეონა სანიკიძე ასაკი-16, 170/90/64/92, თვალი - ცისფერი, თმა - წაბლის



H2 ნათია ნებიერიძე ასაკი-14, 182/80/61/90, თვალი - ყავის, თმა - წაბლის



H3 ქეთევან დათუნაშვილი ასაკი-16, 165/80/60/88, თვალი - ცისფერი, თმა - წაბლის



H4 ხათუნა კანდელაკი ასაკი-17, 165/83/64/85, თვალი - ყავის, თმა - წაბლის



H5 მაკა მინდიაშვილი ასაკი-22, 166/84/67/88, თვალი - მწვანე, თმა - წაბლის



H6 ნათია ღვალაძე ასაკი-18, 169/80/59/84, თვალი - ყავის, თმა - წაბლის

 გაზეთი "24 საათი" და მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი" წარმოგიდგენთ სილამაზის კონკურსს

# მის ფოტო მოდელი 2002

მონაწილეობის მისაღებად იწვევენ 15-დან 30 წლამდე ასაკის გოგონებს.

1. მის ფოტო მოდელი 2002
2. ვიცე მის ფოტო მოდელი 2002
3. საუკეთესო სახურავი კონტრაქტი

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მოგვაკითხეთ მისამართზე

მის ფოტო მოდელი 2002 1 2 3 4 5 6

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

Visage
ესთეტიკური კოსმეტოლოგიის ცენტრი "ვიზაჟი"

პირველად საქართველოსა და ამიერკავკასიაში მაღალი ტექნოლოგიების პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"

MATTIOLLI ENGINEERING
მიკროკრისტალურ დერმოგრაზიას "Aesthipeel"

- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელექტუალური სისტემით "ЭСМА"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფერიმჭამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრიები, ნაწიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.

ფალიაშვილის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური899-56-18-52

BARRISOL mondea ceilings

ფრანგული და ჰოლანდიური დასაკიდი ჭერები, ჰოლანდიური მასიური პარკეტი

რემონტი, დიზაინი

ჭავჭავაძის 74, III-15-ე სართული, ოთახი 16, ტელ: 29-91-24

სულ მალე!

ქართული ფოლკლორი

2002 წლის 29 ნოემბერს, 17 საათზე

თქვენი ელექტრონული ბიბლიოთეკისათვის!

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.